

ကမ္မဘဒ၏ 4.2016



ISSN 2346-8416

აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის ორ თვეში ერთხელ

4

სექტემბერი – ოქტომბერი

თბილისი

2016

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძლვენი” (საბა).

უკრაინის დამსებულია 2016 წ.

მაგალითობულის

მიერ

რედაქტორი


გზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი
ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი
ირაკლი უშვერიძე



აზარბაიჯანული ლიტერატურა

ელჩინ ეფენდიევი

(დაიბ. 1943 წ.)

ელჩინ ეფენდიევი აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. დაიბადა ბაქოში. მისი პირველი წიგნი, „ათას ერთი ლამიდან ერთ-ერთი”, 1965 წელს დაიბეჭდა.

ეფენდიევის ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

დათვის წითელი ბეჭი

ჯ. სალიმოვი გემთსაშენ ქარხანაში მუშაობდა და დღესაც, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ქარხანაში ორ-სამ საათს კიდევ დარჩა – კაბინეტში ნაირ-ნაირ ნახაზებს დააკვირდა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ ისევ ქაღალდები მიმოათვალიერა, მერე ჭიკარტით კაბინეტის კედელზე მიკრული ცხრილის წინ შეჩერდა. ნეტა „ნეფთჩი“ შვიდ უძლიერეს გუნდს შორის გავა თუ ისევ დამაკმაყოფილებელ ჯგუფში დარჩება?

სიტყვა „კმაყოფილება“ გაახსენდა თუ არა, ისევ მოიუამა; ვერ იტანდა ამ სიტყვას, ყველაზე ცუდი სიტყვა იყო ეს.

ქარხნიდან გამოვიდა, ტროლეიბუსში ჩაჯდა და პირდაპირ ნიზამის ქუჩაზე მდებარე თავის სახლში მივიდა; კარი ჯერ გასაღებით გააღო, შემდეგ ზარი დარეკა და შეაბიჯა.

ზარის ხმა ისე უცნაურად, ისე სხვანაირად გაისმა, რომ ჯ. სალიმოვმა თვითონაც გაიკვირვა; თითქოს ამ ჩაბნელებულმა დერეფანმაც გაიოცა, თითქოს თვეების შემდეგ მტვერდაფერფლილმა დივანმაც, სავარძელმაც, შიფონერმაც, წიგნის კარადამაც იუცხოვეს, თითქოს კედლებიც გაშეშდნენო, სავარძელში ჩასმული ეს დიდი წითელი ბეჭიც შეშინებული ნამოხტებოდა თითქოს და, ლეილაც ახლავე აყვირდებოდა – მამიკო

მოვიდა, კარი გაულეთო.

წითელი ბეჭი, შესაძლოა, გულამოვარდით ნამოვარდეს კიდევაც, მაგრამ ლეილა ანი აღარასოდეს იყვირებს – მამიკო მოვიდა, კარი გაულეთო.

ლეილას გარეშე მისთვის სიცოცხლე არ არსებობსო – ტყუილი ყოფილა, ლეილა არ არის, ის კი ცოცხლობს; ლეილა არ არის, სახლის მთელი მოწყობილობა კი თავის ადგილზეა, ტელევიზორი ისევ მუშაობს, რადიო უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემს, კონცერტებს აუდირებს, ქუჩაში მანქანები ისევ მიმოდიან; სამზარეულოში მაცივარი ზოგჯერ თახთახებს და ზოგჯერ ჩერდება, ეს წითელი ბეჭიც იმავე მდგომარეობაში, იმავე ღიმილით თავის ადგილზე დგას, კედელზე ჩამოკიდებული საათი არ წიკნიკებს მხოლოდ.

ჯ. სალიმოვმა ჯერ სიგარეტს მოუკიდა, მერე კედლის საათი მომართა. საათზე სამს ათი წუთი უკლდა, სინამდვილეში კი დრო საღამოს რვა საათსაც გადასცდენოდა, მაგრამ არ გაუსწორებია, რადგან აზრი არ ჰქონდა.

კედლის საათი წიკნიკს მოჰყვა, თუმცა ეს წიკნიკიც ამ საგნებივით, ამ წითელი ბელივით უძრავი და ჩამკვდარი იყო.

უცებ ჯ. სალიმოვს ცივმა ოფლმა

დაასხა, თმა ყალყზე დაუდგა, მოეჩვენა, თითქოს ლეილა მოკვდა. ადგა, სამზარეულოში გავიდა და წყალი შეისხა.

სამზარეულოს კედელზე ჩამოკიდებულ კალენდარზე 16 მაისი ეწერა, კალენდრის უკანა მუყაოზე გაკრული ბეთჰოვენის სურათი კი ისე ჩაყვითლებულ-ჩამჭვინარიყო, თითქოს კაკლის ფოთოლი ყოფილიყოს, შემოდგომა კი თავის ბოლო დღეებს ითვლიდეს.

დღეს 11 ივლისი იყო.

შაფიკამ ლეილას ხელი მოჰკიდა და 22 მარტს გავიდა ამ ოთახიდან: აპრილი, მაისი, ივნისი – სამი თვე, ესეც თერთმეტი დღე და კიდევ ის რვა დღე – სამი თვე და ცხრამეტი დღე იყო, რაც წავიდნენ; რამდენი წელი გავა კიდევ მათი წასვლიდან ჯ. სალიმოვის სიკვდილამდე – ათი, ოცი. ცოტა თუ ბევრი – რა მნიშვნელობა აქვს. ის შაფიკას და ლეილას გარეშეა დარჩენილი და ასე იქნება ყოველთვის. ეს ორი ოთახიც ჩამკვდარა, საგნებიც ჩამკვდარან და არც არა-სოდეს გამოცოცხლდებიან.

იმ დღეს ბაირამი იყო და სწორედ გაზაფხულის დღესასწაულზე წავიდნენ.

ლეილა გაიზრდება, გათხოვდება, ეგებ ბედნიერიც იყოს – უმისოდ.

ეგება ლეილაც გაიზარდოს, რაღაც საქმეს მოეკიდოს, მაგრამ უბედური იყოს – უმისოდ.

შაფიკაც ბებია გახდება, დაბერდება, თმა გაუჭაღარავდება – უმისოდ.

ოთახში გავიდა და ქუჩის მხარეს ფანჯარა გამოაღო, ქუჩა მიმოათვალიერა და ისეთი წინათგრძნობა შეექმნა, თითქოს ახლა კუბოს ჩამოატარებდნენ. გვერდითა ფანჯრიდან კარის მეზობელი მსახიობიც ქუჩაში იყურებოდა და, ჯ. სალიმოვი შენიშნა თუ არა, როგორც ყოველთვის, გამაღიზიანებლად გაუღიმა და მიესალმა – საღამო მშვიდობისა, მეზობელო.

მერე ჯ. სალიმოვი დივანზე ჩამოჯდა და წითელი ფერის ბელს შეხედა: საღამო მშვიდობისა, მეზობელო!

რა იქნებოდა, სასწაული რომ მომხდარიყო და ეს წითელი ფერის ბელი ამნუთას წამომდგარიყო და ყირამალა გადასულიყო.

სასწაულები მხოლოდ ზღაპრებში ხდება.

ლეილამაც იცოდა, სასწაული რას ნიშნავდა და ამბობდა, არ არის მართალი, სასწაული მხოლოდ ზღაპრებში არ ხდებაო, მე თვითონ ვნახე ტელევიზორში, ჩიტი ადამიანად გადაიქცაო.

გარდა ამისა, ლეილა ირწმუნებოდა, რომ დათვი დათვი არ არის, რადგან ზოოპარკის დათვი წითელი არაა. დათვი კი წითელია, როგორც ჩემი ბელიო.

წითელი ბელი შარშან, ლეილას ოთხი წელი რომ შეუსრულდა, პაპამ უყიდა – შაფიკას მამამ, მადადმა. გუშინნინ მოვიდა, დათვის ბელისკენ მზერას ქურდულად აპარებდა. ეტყობა, შერცხვა, თორემ წაიღებდა. ალბათ, ლეილა ყოველდღე აგიჟებს, სად არის ჩემი წითელი დათვიო.

ჯ. სალიმოვს ახლა ქვეყანაზე ყველაზე მეტად ეს წითელი ბელი ბოჭავდა, სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. იგივე გამომეტყველება, იგივე დგომა...ეს წითელი ბელი ლეილასთან ყოველთვის იცინოდა, ეთამაშებოდა; წითელი ბელი ლეილას პირველი მეგობარი იყო.

რა თქმა უნდა, ჯ. სალიმოვს შეეძლო, წითელი ბელი გადაეგდო, მაგრამ მაშინ ყველაფერი მორჩებოდა, დასრულდებოდა.

და განა ყველაფერი არ გათავებულა? – გათავებულა.

გუშინნინ მადადსაც ასე მოახსენა: ყველაფერი მორჩაო.

მადადი გუშინნინ ვითომდა შაფიკას უცოდინრად მოსულიყო. ამბობდა, ნუ ბავშვობთო, არაფრის გამო თავს ნუ იუბედურებთო. ეუბნებოდა, ადე, შაფიკასთან წავიდეთ, სხვა თუ არაფერი, დაურეკე მაინცო, დამიჯერე, ყველაფერი გამოსწორდებაო. ამან კი უთხრა, არა,

ყველაფერი დამთავრდათ. იქნებ მართლაც შაფიკასგან მალულად მოსულიყო მადადი, შესაძლოა. კარგი კაცია, ნუ ჯიუტობო, ჩააგონებდა...

მეზობელი მსახიობი ისევ კედელზე ბრახუნს მოჰყვა: ზამთარში ამბობს, კედელზე ხალიჩას ვამაგრებო (ლამის პირველ საათზე) და ამ პაპანაქება ზაფხულში რაღას შვრება?

ჯ. სალიმოვი გაოფლილიყო. ადგა და პერანგი გაიხადა – ხელი რომ მოგეჭირა, ოფლი წყალივით ჩამოუვიდოდა. შეუძლია, განუროს და აივნის თოკზე გაფინოს, როგორც უცოლობის დროს.

უცოლობა ხელმწიფობააო, უთქვამთ. მაგრამ არა დაოჯახების შემდეგდროინდელი უცოლობა.

ჰო, ცოტათი საკუთარი თავით გაერთე, გაეხუმრე, დასცინე, მცირე ხანს წიგნი იკითხე, ტელევიზორს უყურე, რადიოს უსმინე, ქარხანაზე იფიქრე, მერე კი დაიძინე. დილასისხამზე ისევ ადექი, სამსახურში წადი და ასე და ამგვარად.

როდემდე?

არ ინაღვლო, იცინე შენთვის, იხარე შენით, თითქოს ჰაერში ხვატი არ იდგეს, ადამიანებიც კარგები იყვნენ. სიგარეტი გადააგდე. აი, წითელი ბელიც ახლავე წამოდგება და ყირამალას გადავა, რა მოხდა, აიღე და შენ გადააყირავე, თანაც სიღრმებს არ ჩასდიო, კმარა დონ-კიხოტობანა – შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი.

ჯ. სალიმოვი წამოდგა და ქუჩისკენ მზირალ ფანჯარას მიუახლოვდა. იგივე სახურავები, იგივე ხეები, იგივე ხვატი; ეს იგივეობა შაფიკას და ლეილას წასვლის შემდეგ დაწყებულიყო. მსახიობმა თავი გამოყო და ისევ გაუღიმა. ჯ. სალიმოვმა ჰკითხა, რაო, რა ხდება? მსახიობმაც ჰკითხა, „უკაცრავად?“ ჯ. სალიმოვმა უთხრა: „გეკითხებით, ხდება რამე საინტერესო? გვითხარით, ჩვენც გავიცინოთ“. მსახიობი ძალიან დასერიოზულდა, ცოტათი წამოწითლდა თით-

ქოს – საღამო იყო და არ ემჩნეოდა. მერე ჰკითხა, თქვენ ბადირ ბადირლის თხზულებები თუ წაგიკითხავთო? ჯ. სალიმოვმა უბასუხა, რომ არა, ძალიან სასაცილო წიგნებიაო? მსახიობმა მიუგო, რომ ძალიან, ნერვულ სისტემაზე ოჯახური ცხოვრების დანგრევით გამოწვეულ ზემოქმედებაზე ლაპარაკობსო, და ისევ გაიღიმა. ჯ. სალიმოვმაც ურჩია, თქვენს ადგილას ბადირ ბადირლის წიგნებს აღარ წავიკითხავდიო.

ჯ. სალიმოვმა სიგარეტი საფერფლეს ჩაასრისა და დივანზე ჩამოჯდა. უცებ მოეჩვენა, რომ ვიღაც ზურგიდან დაუინებით უცქერდა, ვიღაცას თვალები მისთვის მიეშტერებინა. ბეჭები აენვა, მაგრამ უკან არ მიუხედავს, რადგან ისედაც იცოდა, რომ ეს „ვიღაც“ ტელეფონი იყო, დერეფნის თავში ჰატარა, მომცრო კარადაზე დადგმული ტელეფონი. არ მიუხედავს, რადგან მადადის სახლის ტელეფონის ნომერს ვერ ივინყებდა, თავიდან ვერაფრით ამოეგდო: 22-76-84; შაფიკაც, ლეილაც 22-76-84 - ში იყვნენ.

მერე წითელ ბელს შეხედა და შეჩეკვიფდა, თითქოს მთელ სხეულში სიცივისგან შეაურულდათ. თითქოს ამწუთას ეს წითელი ბელი წამოდგებოდა, ტორს ხელში ჩაავლებდა და ძალისძალად ტელეფონთან მიიყვანდა, ყურმილს აიღებდა და 22-76-84-ს აკრეფდა, შემდეგ ყურმილს გადასცემდა და თავზე დაადგებოდა, რომ ელაპარაკა. თავზე დაადგებოდა – წითლად გამოწყობილი ჯალათივით.

რატომ ჯალათივით?

ლეილა ამწუთას თავის წითელ ბელს იქ ელოდება – 22-76-84-ში, თავის ზღაპრებსაც იქ მიელის. იქ იცინის, იქ იბუტება, იქ ტირის, იქ სწყინდება; შაფიკაც იქ არის. არ იცინის შაფიკა, ოცდაათი წლისა დაბერებულა შაფიკა.

რატომ ჯალათივით?

მსახიობი ისევ კაკუნს მოჰყვა. ზამთარში ეკითხები, ხალიჩას ვაჭედებ კე-

დელმეო, გპასუხობს. ახლა რასდა აჭე-
დებს? რასაც გინდა, იმას დააჭედებს,
ისე, ტყუილუბრალოდაც ატეხს კაკუნს.

ჩვენ, რისიც გინდა, იმის ჩამდენნი
ვართ. თვით ყველაზე წარმოუდგენელი
რამეებისაც კი და მათ დარდსაც გავუძ-
ლებთ, ავიტანთ, რაც მთავარია. ალბათ,
ამიტომაა, რომ ასეთ რამეებს ჩავდი-
ვართ, თუმცა ამაზე წინასწარ რომ გვე-
ფიქრა, შევძრნუნდებოდით.

ყველაფერი ახდომამდეა – ტრო-
ლეიბუსში ქალის ფეხსაცმელზე დაბი-
ჯებაც, კაცის კვლაც; ახდომის შემდეგ
ყოველივე თავდება, იმსხვრევა, ნაკუნ-
დება.

ყველანი შუშისანი გახლავართ,
მაგრამ არ ვიცით ეს, არ ვიცით, შუშისა-
ნი რომ ვართ. ზოგიერთი ჩვენგანი იღე-
ნება, იმსხვრევა – მაშინაც ვერ
ვგრძნობთ, თუმცა ვიმტვრევით. ზოგ-
ჯერ ნამსხვრევებად ქცეულები ისევ
ვწებდებით, ვმთლიანდებით, მაგრამ
ჩვენი უმეტესობა ამ შეწებებას, ლაქებს,
შუშის უმცირეს ნამსხვრევებს ვერ
გრძნობს.

კმარა ეს ფილოსოფოსობანა, არა-
ვითარი საგანგებოობა არ იქნება, არ
არსებობს არავითარი ჯალათიც, ეს წი-
თელი ბელიც იმავე პოზაში, იმავე ღიმი-
ლით ასე დარჩება სამუდამოდ, სასწაუ-
ლები მხოლოდ ზღაპრებში ხდება და კი-
დევ – ტელევიზორში, როცა ჩიტი ადა-
მიანად იქცევა.

ჯ. სალიმოვი წამოდგა და ისევ სამ-
ზარეულოში გავიდა. ჩაიდნიდან წყალი
დაისხა ხელზე და პირზე შეისხა. კალენ-
დარი ისევ 16 მაისს აჩვენებდა. ის დღეე-
ბის ჩამოხევას შეუდგა: ეს – 17, ეს – 18,
ეს – 19, ეს – 20, ეს – 21 – ყველა ერთი-
მეორის მსგავსი – ეს – 22, ეს – 23, მაგ-
რამ მერე რა, რა აზრი და მნიშვნელობა
აქვს, დღეს 16, 23 მაისი კი არა, 11 ივლი-
სი რომა? ეს უაზრობა, ამგვარი უმნიშ-
ვნელობა რამდენ ხანს გაგრძელდება? ამ
სქელი კედლების ზარით გათანგულო-
ბის ნატვრა, ამ ხვატიანი ღამის უსასრუ-

ლობა, სატელევიზიო გადაცემების და
რადიოს კონცერტის სიმარტოვე, ქუჩაში
მიმავალი მანქანების მონოტონური ხმა-
ური, ამ საათის უძალო წიკნიკი, კალენ-
დარული დღეების იგივეობა და არარაო-
ბა როდემდე გასტანს? ეს წითელი ბე-
ლიც როდემდე იჯდება ასე?

ბოლომდე.

ჯ. სალიმოვი აივანზე გავიდა. აგერ,
იგივე ყვითელი სახლი, იგივე შავი ქვით
ნაგები სახლიც, იგივე ახალი მშენებლო-
ბის გასაყარზე მდგარი მილიციის თა-
ნამშრომელი, მოპირდაპირე აივნის იგი-
ვე ყვავილები, იგივე ხეხილი, აივანზე
გადმომდგარი სათვალიანი მოხუცი, ქუ-
ჩაში რომ იყურება... ასი წელია, ასე ხდე-
ბა, იმავნაირად. წინათ ეს ყვითელი სახ-
ლი ასეთი უფერული არ იყო – მიცვალე-
ბულის ფერისა, ეს შავქვა სახლიც არ
იყო ასე მგლოვიარედ, ამ ახალი მშენებ-
ლობის მტვერი და ბუღიც კი, პროექ-
ტორის შუქზე მომუშავე ტრაქტორის
რახაახივით ღამის ხვატში არეული,
გულს არ გინუხებდა, მოპირდაპირე აივ-
ნის ყვავილები კუბოს ასოციაციას არ
იწვევდა, არც კატაფალკისას, არც ეს ხე-
ხილი ჰგავდა ასე ხმელს და მოურნყავს.
არც გზასაყარზე მდგარი მილიციელი
გამოიყურებოდა ასე უხალისოდ. არც
სათვალიანი, აივნიდან ქუჩის მოთვალ-
თვალე მოხუცი იყო ასეთი საწყალობე-
ლი; უწინ – ასი წლის წინ – ახლანდელი,
ყველაფერზე გაბატონებული რუხი ფე-
რის ჭაჭანებაც არ ჩანდა; მაშინ ლეილა
ამ აივანზე იცინოდა, ამ ოთახიდან სახ-
ლის სურნელება იფრქვეოდა.

თუმცა ეს სიცილიც ხომ არ იყო
მუდმივი, არც ის სურნელება იყო სამა-
რადისო; ათი წელი გაგრძელდებოდა ეს
სიცილი, ათი წელი გადმოიფრქვეოდა
ის სურნელებაც; ოცი წელი გაგრძელ-
დებოდა ეს სიცილი, ოცი წელი გადმო-
იფრქვეოდა ის სურნელებაც, ოცდაათი,
თუნდაც ორმოცი, ორმოცდაათი წელი
გაგრძელდებოდა. მერე? მერე რა? მერე
არაფერი.

რას ნიშნავს ამ სიცილისა და ამ სურნელების მონატრება? ამ ნითელი ბელის შიში რას ნიშნავს? გამუდმებით ტელეფონის მზერის გრძნობა რას ნიშნავს?

ჰო, ასე და ამგვარად, ამხანაგო ინ-ჟინერო, პატივცემულო ჯ. სალიმოვ, საქმე არც ქარხანაში გეგმის ვადაზე ადრე შესრულებაა და არც „ნეფთჩიზე“ წუხილი და დარდი; თუ გნებავს, ააღირე ეგ ძვირფასი თავი და მირაჟიან ცას ახე-დე, ინეტარე შენთვის. ამოიგდე თავი-დან ფიქრები, ანდა შედი სახლში, ჩართე რადიო. დაე, დაუკრას მუსიკამ, შემდეგ ერთი გემოზე წაიცეკვე შენთვის, კაიძა-ლი ოფლი მოიდინე, გაუშვი, გამოვიდეს შენი სხეულიდან, რაც რამ სიცუდეა.

შემდეგ კედლის საათმა ოთხი ჩა-მოჰკრა, ე.ი. ოთხი საათი იყო, ანუ ათი იწყებოდა.

ჯ. სალიმოვი ოთახში შებრუნდა, სინათლე აანთო და დივანზე წამოწვა: დილით წამოდგომა, სამსახურში წა-ვლა, მერე სახლში დაბრუნება, ისევ ამ ნითელი ბელის პირისპირ ჯდომა, კვლა-ვაც მეზობლის მიერ კედელზე ატეხილი ბრახუნის მოსმენა და ხელახლა დილით ადგომა და ისევ სამსახურში წასვლა.

მერე მოეჩვენა, რომ ოთახში რა-ლაც სიახლეა, რაღაც ახალი ხმა მოის-მის – კოლო წუოდა. შემდეგ ხმა მიწყდა, ეტყობა, ფანჯრიდან გავიდა.

აკვარიუმია საყიდელი, ნაირგვარი თევზები უნდა გაუშვა შიგ, იცურონ თა-ვიანთვის დილიდან საღამოდე.

ანდა გალიაში ბულბულის შენახ-ვაც შეიძლება.

სამზარეულოში მაცივარი ისევ ათახთახდა. ცოტა ხანში ისევ დაწყნარ-დებოდა, მერე ისევ ათახთახდებოდა.

მსახიობი კედელს აღარ უბრახუ-ნებს, ეტყობა, ახლა სხვა კედლებს მი-ადგა. ზამთარში რომ ჰერიტავ, კედელ-ზე ხალიჩას ვაკრავო, ამ პაპანაქება სიცხეში რაღას შვრება, ნეტავი?

მოუნდა, რომ არაფერზე ეფიქრა,

თვალები დახუჭა და ფიქრები მოიშორა თავიდან; მართლაც არაფერზე არ ფიქ-რობდა, მაგრამ ვერც იძინებდა, რაღა-ცას გრძნობდა და მთლად სიღრმებში იმასაც ხვდებოდა, რომ ეს „რაღაც“ ის უძრაობაა, ის სიცარიელეა, ის იგივეო-ბაა.

მოეჩვენა, რომ ეძინა და წამოდგო-მა, გახდა და საწოლ ოთახში გასვლა სა-ჭირო არ იყო. რომ დილამდე იძინებდა ასე. მაგრამ თვითონაც ვერ გაიგო, უცებ როგორ წამოვარდა, პირდაპირ კა-რისკენ გაემართა და თავისი ზარი თვი-თონ დარეკა. თითქოს ისევ გაოცდნენ კედლები, გაკვირდნენ ოთახები; თით-ქოს შეიძრნენ კედლები, თითქოს გამო-ცოცხლდნენ ოთახებიც. მაგრამ ეს წა-მიერად გაგრძელდა მხოლოდ, ოთახში შუქის ანთებისთანავე მიდუმდა ყოვე-ლივე, რადგან ჯ. სალიმოვმა შუქი აან-თო თუ არა, იმავე ღიმილით სავარძელ-ზე წამოჭიმულ წითელ ბელს მოჰკრა თვალი და იმგვარადვე ჯდომამ, იმავე გამომეტყველებამ ის წამი ელვისებუ-რად განდევნა ოთახიდან.

ჯ. სალიმოვმა ერთბაშად საკუთარ თავში აქამდე უცნობი კატეგორიულო-ბა იგრძნო – ეს საშინელება იყო – მან წითელი ბელის ბამბის ტორს ჩაავლო ხელი, სათამაშო შიფონერში, სამოსებს შორის, შეაგდო და კარიც გასაღებით ჩაკეტა.

ჯ. სალიმოვს ძალიან კარგად ახ-სოვს, რომ სათამაშო დათვის ბელი ში-ფონერში ტანსაცმელს შორის შეაგდო და კარიც გასაღებით მიუკეტა; ამ უც-ნაურ ამბავს შემდეგში შაფიკას რომ უყ-ვებოდა, ეს ზუსტად ახსოვდა და, შაფი-კას გარდა, არც არავისთვის გაუნდვია, რადგან ამას სხვა ვერც ვერავინ დაიჯე-რებდა.

მან შუქი ჩააქრო და უნინდებურად დივანზე წამოწვა. თუმცა ეს საშინელი კატეგორიულობა არა და არ ეშვებოდა, ურულას ჰერიტავი, გულის სიღრმეში ის თვითონაც უფრთხოდა ამ კატეგო-

რიულობის მიერ მოგვრილ გზნებას.

არა! არა! არა! ასე გაგრძელება არ შეიძლება. ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას. ერთხელ და სამუდამოდ! ერთხელ და სამუდამოდ! წასვლაა საჭირო. აქედან გაცლაა საჭირო. სამარადისოდ. ყველაფერი უნდა დასრულდეს, ბოლო მოეღოს. სხვა ქალაქში, სხვა ადგილას. სამუშაო ყველაგან იშოვება. ჯანდაბას ეს სახლი, ეს სქელი კედლები, ამ ჩამოხუთული ღამის სირუხე.

დაე, შაფიკაც, ლეილაც სამუდამოდ 22-75-84-ში ჩარჩნენ, როგორც ჩანს, ასე უნდა მომხდარიყო. თუნდაც დღესვერა წასვლა საჭირო, აი, ამ წუთას-ვე, ახლავე.

შორს, ყველაზე შორს.

ჯ. სალიმოვი წამოხტა, თვითონაც ვერ მიხვდა, თუ როგორ მოუკიდა სიგარეტს, ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა, პორტფელში ჩატენა და ოთახიდან გავიდა, კარი გამოაჯახუნა და კიბეებზე თავქვე დაემვა.

მანქანაში არ ჩამჯდარა. გრძელი ნაბიჯებით პირდაპირ სადგურში მივიდა და, ახლა რომ ვერც გაეხსენებინა, ისეთ შორეულ ადგილას წასასვლელი ბილეთი შეიძინა.

მას ამ სადგურში ამგვარ ჩახუთულ ღამეებში ბევრი გაუცილებია, ისიც ბევრჯერ გაუცილებიათ. თუმცა ახლა ვერც ამჩნევდა, რომ მას არავინ აცილებდა, მისი წასვლა არავინ უწყოდა – არ განიცდიდა, რადგან იცოდა, აქ აღარასოდეს დაბრუნდებოდა. იცოდა, რომ ვერც ერთ ნაცნობ სახეს, ახლობელს ვეღარ ნახავდა; ის ამაში ასი პროცენტით იყო დარწმუნებული და ამ მგზნებარე კატეგორიულობით, როგორც მა-მაკაცი, უკვე ამაყობდა კიდევაც.

მატარებელი ჩამოდგა. ჯ. სალიმოვი ადამიანებს შორის თავისი ვაგონისკენ გაემართა. და ის უცნაური ამბავიც იქ მოხდა.

თავდაპირველად ჯ. სალიმოვმა იგრძნო, რომ პლატფორმაზე ჯერ რაღაც

ჩოჩქოლი და მერე აურზაური ატყდა. ხალხი ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. სალიმოვმა გაკვირვებით მოიხედა უკან და ადგილზევე გაიყინა.

წითელი ბელი ქოშინ-ქოშინით პირდაპირ მისკენ მობაჯბაჯებდა.

ჯ. სალიმოვმა ირგვლივ მყოფთ გახედა, მერე მოუნდა, რომ რაღაც მოემოქმედა, მაგრამ ვერაფერიც ვერ მოიმოქმედა; წითელი ბელი მასთან მივიდა, ორ ფეხზე დადგა და ჯ. სალიმოვის ხელების ლოკვას შეუდგა.

პლატფორმაზე მყოფნი მათ შემოვეოდნენ. ყველა ბელის წითელ ფერს იოცებდა.

ჯ. სალიმოვმა იცოდა, რომ ბელი წითელიც შეიძლება იყოს.

წითელი ბელი თავისი მოუქნელი თათებით ჯ. სალიმოვს მკლავში ეჭიდებოდა და გასასვლელისკენ ექაჩებოდა, მალაყებს გადადიოდა, ენას იწვდიდა და ხელებს ულოკავდა, წკმუოდა, მერე ისევ სათუთად მკლავზე ეპოტინებოდა და ეწეოდა.

მათ შემყურე ხალხს მატარებელი მივიწყებოდა და ამ უცნაური ფერის დიდრონი ბელის ჯამბაზობას გაოცებული უყურებდა.

მხოლოდ ჯ. სალიმოვს არ აოცებდა ბელის ონები; ის იცნობდა ამ წითელ ბელს; იცოდა, თუ რა ეწადა მას და არც ეუცხოებოდა და არც უკვირდა, მხოლოდ რაღაც აუხსნელს გრძნობდა; ის მგზნებარე კატეგორიულობაც სრულიად გამქრალიყო; სინამდვილეში, ახლა სათაკილო წარსულად ქცეულიყო.

ჯ. სალიმოვი ისეთი მშვიდი იყო, თითქოს ხალხში, სადგურში დათვთან შეხვედრა ძალიანაც ჩვეულებრივი რამ ყოფილიყოს; თითქოს წითელ ბელს მისთვის ხელები ყოველთვის ასე ელოკოს, ბელის ცხელი სუნთქვა ყოველთვის ასე ახლოდან ეგრძნოს.

ქუჩაში მიმავალი ხალხი ტრიალდებოდა, დაოთხილ, ხტუნვა-ხტუნვით მი-

მავალ წითელ ბელს და სიცილით მის უკან ადევნებულ ჯ. სალიმოვს უყურებდა; ყველას განცვიფრება იპყრობდა, ნუთუ შესაძლებელია, დათვი ამ ფერისა იყოს? მათ არ იცოდნენ, რომ დათვი წითელი უნდა იყოს.

საფეხურები აიარეს. ჯ. სალიმოვმა კარი გააღო და ისინი სახლში შევიდნენ. ჯ. სალიმოვმა დერეფანში შუქი აანთო და მერე ბოლოჯერ საკუთარი კარის ზარი ააწკრიალა, მაგრამ ამჯერად არც სქელი კედლები და არც ოთახები არ გაშტერებულან; ოთახის შუქიც აანთო: წითელი ბელი ისევ თავის ადგილზე – სავარძელში იჯდა, ხოლო შიფონერის

კარი ღია იყო.

კედლის საათი უკვე თავისუფლად და ლალად ცემდა. თუმცა სულ რაღაც შვიდის წუთებს აჩვენებდა, ე.ი. თორმეტი სრულდებოდა.

შემდეგ, ჯ. სალიმოვი ტელეფონის უურმილს დასწვდა: 22-76-84

... მეორე დღეს დილით ბაქოელი ბავშვები ლაპარაკობდნენ, რომ თურმე გუშინ ღამით ქალაქში წითელი ბელი დადიოდა: სასწაულია!

მაგრამ ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ სასწაული მარტო ზღაპრებში არ ხდება.

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ოქტაი ქაზუმოვმა**



არაგვის ლიტერატურა

ხატიბ ბადლა

(დაიბ. 1952 წ.)

ხატიბ ბადლა დაიბადა სირიაში, ქ. მაარათმისრინში. 1976 წელს დაამთავ-
რა ალეპოს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. აქვს ნოველების ათიო-
დე და ამდენივე კომედიური ჟანრის პიესების კრებული. აქტიურად თანამ-
შრომლობს რადიოსა და ტელევიზიასთან. არის მრავალი სერიალისა და რადი-
ოდადგმის სცენარის ავტორი. მისი კომედიები გამოირჩევა ხალასი ხალხური
იუმორით. მოცემული ნოველები ამოღებულია კრებულიდან „ცოლთან გაყრის
ჟამი“, დამასკო, 1998 წელი.

დილა

მამამ თავის პატარა ვაჟს ჰქითხა:

- რატომ გიყვარს დილა?
- იმიტომ, რომ ჩემი ფეხები გუ-
შინდელთან შედარებით გაზრდილია!
- მამას გაეცინა და უთხრა:
- საოცარია! საიდან იცი? ყოველ-
დღე იზომავ?!
- არა - უპასუხა ბიჭმა, - მაგრამ

ვგრძნობ, რომ წასასვლელად ემზადე-
ბიან.

შეშფოთებულმა კაცმა ჰქითხა:

- წასასვლელად?! სად?

უპასუხა:

- გაინტერესებს?! ბუნებრივია,
დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის!

მცერალი და პოლიციელი

თანამდებობიდან რომ გადავდექი
და წერა დავიწყე, ვინც კი შემხვდებო-
და, მეკითხებოდა:

- მართალია, ძმაო მურდას, რომ
თანამდებობა დატოვე?
- ასეა, ღმერთმანი.
- ღვთის შენევნით, უკეთესი იშო-
ვე?
- მადლობა ღმერთს.
- ვინ ხარ ახლა?
- მწერალი.

მაშინ კი გაოცებული სახით მეკით-
ხება:

- მწერალი?! სად?
- შინ.
- სიცილით ამბობს:

- მწერალი შინ!!! თექვსმეტწლიანი
სწავლის, ეკონომიკის სამეცნიერო ხა-
რისხის მოპოვების, ლექციების კითხვი-
სა და თანამდებობის მიღების შემდეგ
მწერლად მუშაობ შინ ?!!

აი, ამ დროს, იძულებული ვარ გან-
ვუმარტო მას, თუ რას ნიშნავს მწერ-
ლობა შინ.

ალბათ, უფრო დაგაინტერესებთ,
ამასთან დაკავშირებით რა შემემთხვა
რამდენიმე დღის წინ. რაღაც საქმის გა-
მო ქ. იდლიბის იუსტიციის სასახლეში
წავედი შეკოდის მარკის პიკაპით (გამო-
უვალი მდგომარეობის გამო რომ ვიყი-
დე, რადგან ჰონდას მარკის მოტოციკ-
ლი მომპარეს). მისვლისას ვნახე, რომ

შენობის ორივე მხარეს აკრძალული იყო გაჩერება. მოსაზღვრე ქუჩაზე ავუხვიე და იქ გაჩერებული მანქანების უკან და-ვაყენე. საქმეს რომ მოვრჩი და უკან დავბრუნდი, ჩემს პიკაპთან საგზაო პო-ლიციელი შევნიშნე – ხელში კალამი და საოქმო დავთარი ეკავა. დამინახა თუ არა, ჩემკენ წამოვიდა.

- ბატონოჩემო, თქვენია ეს პიკაპი?
- დიახ.
- აქ რატომ გააჩერეთ?
- იუსტიციის სასახლეში საქმე მქონდა.
- მოსამართლე ხართ?
- არა.
- ადვოკატი?!?
- არა.
- მწერალი?!
- ცოცხლად ვუპასუხე:
- დიახ, მწერალი ვარ.
- რომელ სამდივნოში?
- გავიცინე და ამაყად წარმოვთქვი:
- არა, არა. მე ნოველებს, სერია-ლებისა და ფილმების სცენარებს ვწერ.
- მართლა?!
- ღმერთმანი!!! არ გჯერათ ?
- მჯერა. გააღე კარი და საბუთები

მომეცი.

- რატომ?!!
- ჯარიმა უნდა გამოგინერო.
- სიცილით ვუთხარი:
- იმიტომ, რომ მწერალი ვარ?
- არა. მაგიტომ არა, მაგრამ ჯარი-მას იმიტომ გამოგინერ, სატელევიზიო სერიალებისა და ფილმების სცენარებს რომ წერ.

მეგონა, მეხუმრებოდა.

- ღმერთმა უწყის, მოგწონს თუ არა ის სერიალები, ტელევიზია რომ უჩ-ვენებს, მაგრამ ჩემი სერიალები შესა-ნიშნავია... ეგაა, რომ ჯერ არ გადაუდი-ათ. საოცარი რამ მოიმიზეზეს: რეჟისო-რი სხვა საქმითაა დაკავებულიო. ვინ დაიჯერებდა ამას?!

პოლიციელმა ღრმად ამოიოხრა:

- ნუ მიედ-მოედები! საქმე მაქვს.

მომეცი საბუთები!

- მიზეზი ხომ უნდა ვიცოდე?!
- ბატონოჩემო, ეს ადგილი იუსტი-ციის სასახლისთვისაა გამოყოფილი... ე.ი. მოსამართლების, ადვოკატებისა და მწერლებისთვის. სასიამოვნოა, რომ მწერალი ხარ, მაგრამ არა სასამარ-თლოსი. მომეცი საბუთები!!!

ალ-ბუნაია

-1-

პატარა ვიყავი. ჯერ არ ვიცოდი, რომ საყვარელი ქალი მამაკაცისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე დედა, ბებია, და, მამიდა, დეიდა, ბიცოლა... ასე იყო, ვიდრე ქალის გულისთვის მაჰმუდ ალ-ფარარმა თავისი მეგობარი, ალ-აზიზ ხალდუნი, არ მოკლა.

კალოზე ვთამაშობდით, როცა და-ვინახეთ, რა თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. მაჰმუდი იარაღით ხელში ხალდუნს მისდევდა და თან ზურგში უმიზნებდა. მერე დავინახეთ, როგორ

გამოვიდა იმ მძიმე იარაღიდან ყვითელი ალის ენა, რომელსაც გამაყრუებელი ხმაც მოჰყვა. ხალდუნი მიწაზე დაეცა. სათამაშო ადგილი მივატოვეთ და მის-კენ გავიქეცით სხვა ცნობისმოყვარებ-თან, პოლიციასა და მანქანებთან ერ-თად.

ამბობენ, ქალიაო მიზეზი.

- ქალი? რომელი ქალი? – ვიკითხე.
- მაჰმუდის ცოლი.
- მაჰმუდმა თავისი მეგობარი სა-დიკი ცოლის გამო მოკლა? თუ ცოლია მიზეზი, რატომ ის არ მოკლა?

— ვინ გითხრა, რომ არ მოუკლავს? ისიც მოკლა.

— რატომ?

ჩემმა უფროსმა ძმამ გაღიზიანებით მითხრა:

— იმიტომ მოკლა, რომ ხალდუნთან ეძინა.

— ეძინა?! განა ძილი ისეთი დანაშაულია, რომ მოკვლას იმსახურებს?

— აუ, აუ... ძნელია, რამე გაგაგებინო! ჯერ არ დაკაცებულხარ!

-2-

მაშინვე ჩემს ორ მეგობარ მუსტაფასთან (მუსტაფა დიდი და მუსტაფა პატარა) წავედი. ჩვენ შორის ორივე ბინიერებით გამოირჩევა.

ვკითხე მათ:

— რას ნიშნავს დაკაცება?

დიდმა მუსტაფამ მიპასუხა:

— იმას, რომ ქალი გინდება.

— ქალი მინდება?! როგორ?

პატარა მუსტაფამ თქვა:

— გინდება, როგორც წესი და რიგია.

— როგორ?

დიდი მუსტაფა პატარას მიუბრუნდა:

— არ გეუბნებოდი, რომ ჩოჩორია?! ვინც ყველა საგანს კარგად სწავლობს და, განსაკუთრებით, ინგლისურს, მას ქალის არაფერი გაეგება.

— გავიგებ, თუ რომელიმე თქვენგანი გამაგებინებს.

უფროსმა მუსტაფამ თქვა:

— კეთილი. მე გაგაგებინებ.

გამაგებინა ყველაფერი... ბოლოს ვკითხე:

— კარგი, მაგრამ ქალსაც უნდება ქალი?

პატარა მუსტაფა სიცილით გადაბურდა, თითქოს სიგარეტის ბოლს

დაეხრჩოს:

— ქალს კაცი უნდება, დათვო. არა-სოდეს მოსურვებიხარ ქალს? შეეცადე, გაიხსენო.

დავიბენი. ღრმად მოვქაჩე სიგარეტი და ამოვლერდე:

— არა.

-3-

შეკითხვა, რომელიც პატრა ეშმაკის ფეხმა მოულოდნელად დამისვა, გამყოფი ხაზი აღმოჩნდა ჩემს უზნეობასა და ზნეობას შორის. როდესაც სიგარეტის კვამლით პირგამოვსებულმა „არა“ ვთქვი, მივხვდი, რომ ცხოვრებაში პირველი ტყუილი წამოვაყრანტალე. „დიახ“ უნდა მეთქვა, მაგრამ ამ წუთამდე ქალი ღირსშესანიშნაობით გამორჩეული არ ყოფილა. ნამდვილად, მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე ის. მივხვდი, რომ მწარედ ვუნდივარ, თუმცა წინ და უკან არ უვლია ჩემი სახლის წინ და არც დამლოდებია, მაგრამ, შემთხვევით თუ გადავანყდებოდით ერთმანეთს, სახე აულაპლაპდებოდა, ან კიდევ მაშინ, როდესაც ბაგაში ცხვრების მოსავლელად მოდიოდა — ეს კი ისეთი უსიამო საქმე იყო, რომ მათი მეოთხედი ნაწილის დათვალიერების შემდეგ ცხოვრება აღარ მოგინდებოდა.

ბაგის კარებთან მიდი-მოდიოდა, ჩერდებოდა, გასაღებით ბოქლომს აწვალებდა ისე, რომ ზედ არც უყურებდა. თვალებით მჭამდა. ტუჩებს მოამრგვალებდა, წინ გამოწევდა, თითქოს შორიდან კოცნიდა ვიღაცას. ახლაღა მივხვდი, რომ მე მკოცნიდა. ერთხელაც, როცა ბოქლომს გასაღები ვერ მოარგო, რადგან არც სურდა, ვუთხარი:

— არასწორად არგებ...

— ვერ ვხედავ... ხელს ვერ ვიმორჩილებ. შეგიძლია, დამეხმარო?

მასთან მივირბინე. ყველას დასანა-

ხავად ტკიპასავით მომევრა. მისი სუნ-თქვა კისერს მწვავდა, იქამდე, რომ ვი-ფიქრე, სუნთქვის პრობლემა ჰქონია-მეთქი... მერე გაჭირვებით ამოთქვა:

- ძალიან ლამაზი ხარ...
- გმადლობთ, - ვუპასუხე.

კარი რომ გავაღე და გასაღები და-ვუბრუნე, სათამაშოდ წავედი.

-4-

დიდმა და პატარა მუსტაფამ ერ-თდროულად მკითხეს:

- რატომ განითლდი?

ვერაფერი ვუპასუხე. აღელვებული შემოვბრუნდი და სასწრაფოდ შინ წავე-დი. ალ-ბუნაიას უნდა დაველოდო ბაგის კართან. მოთმინება აღარ მყოფნის. ვთხოვ, კარის გაღებაში დამიხმაროს. მის კისერს ჩემი სუნთქვით დავწვავ, სირბილში უფრო მეტად რომ ამიჩქარდა.

-5-

კარის სიახლოვეს დავდექი. ახლა აღარ მახსოვს, რამდენ ხანს შეაგვიან-და. უჩვეულოდ შეშინებული და აღელ-ვებული ჩანდა. ვერ მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი: ან ის, რაც ხალდუნისა და მისი საყვარლის შესახებ მოისმინა, ან მე რომ დამინახა. დიახ, ჩემმა დანახვამ შეაშინა, რაც მის დამფრთხალ სიარულ-

სა და სახის ფერს დაეტყო. ბაგის კარი რომ გააღო, მისკენ გავემართე, რამაც შიშისაგან გული საგულედან ამოუგდო. თავის დასაცავად ორივე ხელი წინ წა-მოწია და ენის ბორძივით მითხრა:

- არა, გთხოვ. არ მომიახლოვდე, ადგილზე დარჩი.

პირგამშრალმა ვკითხე:

- რატომ?

პასუხი არ გაუცია.

დავინახე, როგორ გაიშვირა ხელი კედელზე დაკიდებული ლამპისაკენ, ბოლომდე რომ აეწია და ბაგა გაენათე-ბინა. ცხვრები რაღაცას ღეჭავდნენ. ალ-ბუნაიამ წყლის ვედროს ხელი დაავ-ლო და ბაკში ჩაცალა. ცხვრების ნაწილი წყლის დასაღევად წინ წამოვიდა. შე-ვატყვე, რომ გოგო ცოტა დამშვიდდა. ჩემკენ გამოიხედა და გამიღიმა. მერე ბაგიდან ნახევარი ტანით გადმოიხარა და შუკას, სადაც ვიდექი, თვალი მოავ-ლო. როცა დარწმუნდა, რომ კაცი არ ჭაჭანებდა, მითხრა:

- შემოდ!

აღელვებული სწრაფად მივუახ-ლოვდი და შევედი. კარი მოხურა. ორივე მკლავი მხრებზე შემომხვია და თვალე-ბი დახუჭა. შევნიშნე, როგორ შეწყვი-ტეს ცხვრებმა ჭამა-სმა და ჩვენ მოგ-ვაშტერდნენ.

ნერვიული კაცი

ზღვის სანაპიროზე მოულოდნე-ლად ჩემს მეგობარს, დოქტორ მუჰა-მედს, გადავეყარე. სამი დღე გვერდიგ-ვერდ კოტეჯებში გავატარეთ და აღნიშ-ნა, რომ მე „ზამთრის ტალახზე“ ცივი გული მაქვს! ერთ საღამოს, როცა ნარ-გილეს ვენეოდით, ჩემი ბავშვებიდან ორი ერთმანეთს წაეჩინდა. მოსაწევი შლანგი ნარგილეს შემოვახვიე და წა-

მოვდექი. ორივეს მოვუხმე. კარგად გა-ვარკვიე ყოველი მათგანის ჩხუბის მი-ზეზი. პატივი ვეცი მათ თვალსაზრისს... და შერიგდნენ. იქ დავბრუნდი, სადაც ვიჯექი – მეგობრის გვერდით. იმდენად შეშფოთებული დამხვდა, რომ მომეჩვე-ნა, ნარგილეს შლანგს ღრღნიდა.

- რა გჭირს? – ვკითხე.

- შეშფოთებული ვარ.

– ვის გამო?
 – შენ გამო! – მიპასუხა.
 – რატომ?

– ვერ ხვდები, რატომ? მელაყბები...

მერე ბავშვების აღზრდაზე თავისი თვალსაზრისი გამაცნო და თქვა, რომ ეს დემოკრატია დამღლელია; ძალ-ღონეს აცლის და ნერვებს აგდეჯს. მეც ჩემი აზრი გავუზიარე – ის, რომ სიმკაცრე ბავშვის ინდივიდუალობას სპობს და ზოგჯერ ტყუილსა და თავის დაძვრენა-

საც აიძულებს და იმან, ვინც ზღვაზე ახლავს მათ, არ შეიძლება, ჯალათის როლი შეასრულოს!

ვერ დავარწმუნე. მითხრა:

– ჩემო ძმაო, მე ნერვიული კაცი ვარ, ვერ შევძლებ. როცა სახლში ჩემი ბავშვები ჩხუბობენ, იცი, რას ვაკეთებ?

– რას აკეთებ?

– ვტოვებ მათ და ჩემს კაბინეტში მივდივარ... შევალ და შიგნიდან კარს ვკეტავ!!

**არაბულიდან თარგმნა
იზოლდა გრძელიძემ**

მიხაელ ნუაიმე (1889-1988)

მიხაელ ნუაიმე – ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული ლიბანელი მართლმადიდებელი პოეტი, ესეისტი, მწერალი და დრამატურგი – ახალი არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლისა და მაჰჟარის (ამერიკაში არაბული ემიგრანტული ლიტერატურის) ცნობილი წარმომადგენელი, საზოგადოება „არ-რაბიტა ალ-კალამიას“ დაარსების ერთ-ერთი მოთავე და სულისჩამდგმელია.

ლიბანის მთიან სოფელ ბასქინთაში დაბადებულმა, აქვე მიიღო პირველადი განათლება რუსულ სკოლაში, ერთ-ერთში იმ სკოლებიდან, რომელიც მართლმადიდებელთა მფარველობის დეკლარირებით გახსნა რუსეთმა პალესტინაში, სირიასა და ლიბანში. 1911 წლის ნოემბერში ნუაიმე ძმასთან და რძალთან ერთად ვაშინგტონში აღმოჩნდა, მალე დაეუფლა ინგლისურ ენას და სიეტლის უნივერსიტეტში ჩააბარა. 1918 – 1919 წწ. ის ამერიკის ჯარშიც მსახურობდა. 1919 წელს ნიუ-იორკში დაბრუნდა და ჩამოაყალიბა „არ-რაბიტა ალ-კალამია“.

1932 წელს მიხაილ ნუაიმე მშობლიურ ლიბანში დაბრუნდა და თავი ლიტერატურას მიუძღვნა. ლიბანში დაბრუნების შემდეგ ნუაიმეს შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის სახის წარმოჩენა გახდა. მოთხოვბა „გუგულის საათი“ ნუაიმემ 1925 წელს დაწერა უმცროსი ძმის – ნაჯიბის წერილის საპასუხოდ, რომელიც ემიგრაციაში წასვლის სურვილს გამოთქვამდა. ნუაიმემ მოთხოვბა ძმას გაუგზავნა, შედეგად კი ნაჯიბმა ემიგრაციაში წასვლა გადაიფიქრა.

გუგულის საათი

ყველაზე ძვირად ის ძღვენი ფასობს, რომელსაც უცნობი გჩუქნის.

ჩანთაში ერთი წერილი მიდევს და ის ყველაზე ფასეულია მათ შორის, რაც კი დღემდე ჩემთვის გამოუგზავნიათ. წერილი 1922 წელს, მაისის დასაწყისში მივიღე, წავიკითხე, ვერც გამომგზავნის და ვერც მისი მისამართის კვალს ვერ წავაწყდი. წერილის შინაარსითა და კონვერტზე საფოსტო მარკით მივხვდი, რომ გზავნილი ერთი პატარა ლიბანური სოფლიდან იყო. წერილი დღემდე შევინახე იმ იმედით, რომ მისი დამწერი დაბრუნდებოდა, დაამატებდა ერთ-ორ ხაზს, გამიმხელდა თავის სახელსა და

მისამართს, მეც მადლობას გადავუხდიდი საჩუქრისთვის და ნებართვას ავიღებდი მისი გასაჯაროებისთვის, რადგან ამ წერილის ძველ, მიგდებულ ფურცლებში ჩაკარგვა მენანებოდა.

ჩემი იმედი არ გამართლდა. ამიტომ საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას და დღეს ვაქვეყნებ ამ უცნაურ წერილს, რადგან მისმა დამწერმა ვერ იტვირთა თავისი წილი ამ ცხოვრების საზრუნავისა; თუ მოხდა ისე, რომ მან თვალი მოჰკრა ამ სტრიქონებს, ხომ ამოიკითხავს მადლობას ადამიანისგან, რომელიც სიკეთით გაიხსენებს მას უკანასკნელ გულისცემამდე და თუ მისმა

სულმა უკვე გადალახა უფსკრული, მა-შინ ჩემი სულისგან ათას ერთი წყალობა ჰქონოდეს! მოკითხვების, მისალმებები-სა და ყოველგვარი პირადულის გამოკ-ლებით, წერილი მკითხველს:

„...გუშინ ამ სოფელში დიდებული კაცი გარდაიცვალა. დღეს დავკრძა-ლეთ, ამ წერილს გწერ და ხელებზე საფ-ლავის მიწის კვალი ჯერაც არ გამქრო-ბია. ჩვენ დავასაფლავეთ, სოფლის კა-ცებმა და ქალებმა, ყველაზე უფროსით დაწყებულმა და ყველაზე უმცროსით დამთავრებულმა, მღვდლებისა და საეკ-ლესიო რიტუალების გარეშე. ორივე, – აღმოსავლური და დასავლური ეკლე-სია, – თავის მრევლად მიითვლიდა მიც-ვალებულს, თუმცა ამას ვერც ერთი ვერ ამტკიცებდა, რადგან ან გარდაცვლილი მთელი თავისი ცხოვრება ორივე ეკლე-სიას ერთნაირი ეჭვით უყურებდა, ღიად არასდროს განუცხადებია, რომელ რე-ლიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებდა თავს, საღვთო საიდუმლოებებს კი არც ერთ ეკლესიაში არ ეზიარებოდა. ამი-ტომ, უთანხმოების თავიდან ასაცილებ-ლად, ჩვენვე დავკრძალეთ, ყოველგვა-რი მღვდლის, საცეცხლურისა და სან-თლების გარეშე. ასეთ დაკრძალვას ცხოვრებაში პირველად დავესწარი. არც მწერალი ვარ და არც პოეტი, სათა-ნადოდ რომ გადმოვცე, მაგრამ, უბრა-ლოდ, დამიჯერე, თუკი გეტყვი, რომ იმ საფლავის მიწის თითოეული მუჭა, რო-მელიც დღეს სხვებთან ერთად საკუთა-რი ხელით ამოვიდე და შემდეგ უკან ჩავყარე, ყველას ცრემლებით უხვად ირწყვებოდა. ის სიდიადე, რომელსაც თქვენ, – პოეტები და მწერლები, – აღ-მოაჩენთ საკუთარ თავებსა თუ ხალხში, უმეტესად ქვაბში ჩარჩენილი ძვლების რაკარუკს ჰეგავს, კარგი საკვებით სავსე ჭურჭლის ჩუმი დუღილი კი არ გესმით და ვერც მის შიგთავსს ხედავთ. ვინც შეთხზა და გაავრცელა წიგნი ან ლექსე-

ბის კრებული – დიდებულია! ვინც კა-ცობრიობისთვის ახალი გასართობი გა-მოიგონა – დიდებულია, ვინც ლამაზი სურათი გადაიღო – დიდებულია, ვინც ომი მოიგო – დიდებულია! აი, ასეთ დი-დებულებას ხედავთ და უსმენთ, რად-გან ის ხმაურობს. ჩუმი დიდებულების-თვის კი თქვენი ყურები დახშულია, თვალები – ჩამქრალი და დაბრმავებუ-ლი. მაშ, რას შეიძლება ხედავდეთ თქვენ, თუკი ჩუმი ღირსების ხმა არ გესმით?! ან რას უნდა უყურებდეთ, თუ დაფარულ სიდიადეს ვერ ხედავთ?!

იმ ადამიანს, რომელიც დღეს და-ვასაფლავეთ, არც წიგნი დაუწერია და არც პოემა, არც ქანდაკება გამოუთლია და არც წამალი აღმოუჩენია, კაცობრი-ობისთვის არც ახალი მომაკვდინებელი იარაღი გამოუგონია, მაგრამ ის მაინც იყო დიდებული გუშინ, დიდებულია დღეს და დიდებული იქნება ხვალაც!.. და რატომ?! იმიტომ, რომ საკუთარი თა-ვი დაკარგა და შემდეგ ისევ იპოვა, იმი-ტომ, რომ შეეპრძოლა გუგულის საათს და გაიმარჯვა მასზე. დღემდე არ მსმე-ნია, რომელიმე თქვენგანს გამარჯვება მოგეპოვებინოთ გუგულის საათზე. რო-ცა დაკარგავ შენს თავს, ჩემო ბატონო, შემდეგ კი იპოვი, როცა გაიმარჯვებ გუგულის საათზე, შენი დიდებულების პირველი მოწმე მე ვიქნები!

ეს კაცი ორი წლის წინ მოვიდა ჩვენთან, ის არავის იცნობდა სოფელში, არც სოფელი იცნობდა მას. დღემდე არავინ იცნობს მას ჩემსავით კარგად. სიკვდილამდე მან თავისი საიდუმლო გამანდო, ახლა კი მე შენ განდობ ამ საი-დუმლოს. ისეთი გულუბრყვილოც არ ვარ, რომ გთხოვო საიდუმლოს შენახვა. კარგად ვიცნობ თქვენს საზოგადოებას! მწერლებსა და პოეტებს არ შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა და არც პირობების

შესრულება. თქვენ ყველანი დამსმენები ხართ, საიდუმლოს ენით თუ არა, კალმით მაინც გაამჟღავნებთ, არც საკუთარის გამოაშკარავებას მოერიდებით.

შენ ლიბანელი ხარ და იცნობ ლიბანელთა ზნეს სოფლებში, განსაკუთრებით, ასეთ პატარა სოფელში. თუ ვინმე უცხო გამოჩნდა, კარს ცხვირწინ არავინ მიუხურავს, მაგრამ ადამიანები აქ ლუკმის გაყოფაში არ არიან ისეთი გულუხვები, როგორიც – კითხვების დასმაში. უცხო პირის გამოჩენას ყველგან კითხვების კორიანტელი მოჰყვება ხოლმე: ვინ?.. საიდან?.. რატომ?.. და ა.შ. ამიტომ ძალიან მალე სოფელში ყველამ იცოდა, რომ ეს უცხო კაცი ამერიკელია, სახელად ტომსონი, ლიბანში დაიბადა, თავისი ბავშვობა და ყმაწვილობის გარკვეული პერიოდი აქ გაატარა, შემდეგ კი ზღვის გადაღმა თავის ქვეყანას დაუბრუნდა, ოცი წელიწადი იქ იმუშავა, ძალა გამოელია, გაიხსენა ლიბანი და დაბრუნება მოისურვა, რომ ისევ ძველ საზრუნავსა და აქტივობას მისცემოდა. ჩვენი სოფელი კი აირჩია კარგი კლიმატისა და მდებარეობის გამო.

ჩამოსვლიდან მეორე დღეს ეს კაცი სოფელში დავინახე, მისი მოკრძალებული თვალები თითქოს თავისკენ მიხმობდნენ: „მომიახლოვდი, ძმაო!“ მაგრამ თან შიშნარევი სახით მაფრთხილებდნენ: „არ შემეხო!..“ მეც მივუალოვდი და არ შევეხე. ასე დავრჩი მასთან თან ახლოს და თან შორს, მაგრამ დადგა დღე, როცა შევეხე კიდეც და გადავეხვიე, თითქოს ერთინი გავხდით. ამ დღეს გადამიშალა გული და მითხრა:

– განა ვერ ხედავ, რომ ადამიანები ცხოვრებაში საიდუმლოებებს ატარებენ. ერთი მეორეს უახლოვდება, გარეგ-

ნულად ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ერთსაც თავისი საიდუმლო აქვს და მეორესაც. მათი სიახლოვე იქ მთავრდება, ადამიანი ადამიანს მაშინ შორდება, როცა მისი საიდუმლოს დამალვას ძალისხმევა დასჭირდება! ხოლო იმ დროს, როცა ერთი მეორის საიდუმლოს აღმოაჩენს, იქ იშლება დროისა და სივრცის საზღვრები და ძმა ძმას ხვდება.

გეტყვი ერთ ამბავს: შენს ცხოვრებაში თუ გიფიქრია იმაზე, რომ ბუნება სუფთა ჭეშმარიტებაა, ცივილიზაცია კი – მოქარგული ფარისევლობა?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბუნების შვილები ყოველთვის მიისწრაფვიან, აღსანიშნავისთვის გამოიყენონ შესაბამისი აღმნიშვნელი. თუ იგრძნეს ამ ორს შორის შეუსაბამობა, მაშინ ქუნიებს და ლაკაბებს¹ მიმართავენ, ანუ თვითონ უწოდებენ აღსანიშნს თავიანთ შერჩეულ სახელებს.

მისტერ ტომსონი. მისტერი... ტომსონი... ეს იყო ორი სიტყვა, რომელიც არაფერს ნიშნავდა ლიბანური სოფლის შვილებისთვის, თან მათ წარმოთქმასაც არ იყვნენ მიჩვეულები. ეს ორი სიტყვა არაფერს გამოხატავდა მათთვის იმის აღსანიშნად, რაც ამ კაცში აღმოაჩინეს. ამიტომაც შეურჩიეს მისტერ ტომსონს ქუნია „ბუ მა'რუფი“.

ბუ მა'რუფი... იცი, ლიბანელი სოფლელი რას გულისხმობს სიტყვით „მა'რუფი?!..“ აიღე ყველა სათნოება, რაც კი კაცობრიობისთვის ცნობილია ადამიდან დღემდე – სიყვარული, სიკეთე, სიმამაცე, პატიოსნება, სამართლიანობა, მშვიდობა, თავაზიანობა, თვინიერება, „მეს“ უარყოფა და სხვებისთვის თავდადება. აიღე ყველა ეს სათნოება, აურიე ერთმანეთში და მიიღებ

¹ ქუნია და ლაკაბი არაბული საკუთარი სახელის შემადგენელი კომპონენტებია. ქუნია აღნიშნავს მამობას ან დედობას, ხოლო ლაკაბი მეტსახელია, რომელიც ხან პატივისცემის ნიშნადაა შერქმეული, ხან კი დაცინვით.

მა'რუფს!.. და თუ ლიბანური სოფლის ხალხმა ერთხმად შეურჩია ამ კაცს სახელად ბუ მა'რუფი, ჩათვალე ეს ყველაზე სანდო მტკიცებულებად იმისა, რომ ის ამ დროის ერთ-ერთი აღმოჩენაა!

რამდენიმე კვირაში ბუ მა'რუფი დიდმა თუ პატარამ, ყველამ შეიყვარა, ის გახდა ჩვენი მეგობარი ჭირსა თუ ლხინში, დამხმარე ჩვენს საქმეებში, მომგვარებელი ჩვენი პრობლემებისა, ჩვენი გაჭირვების ტალკესი. იშვიათად გავიდოდა დღე, მისი ახალი კეთილი საქმე რომ არ გაგვეგო, რომელსაც ჩუ-მად აკეთებდა, მაგრამ ჩვენი სიყვარული მას ასაჯაროებდა. მისი საგმირო საქმეების ჩამოთვლა რომ დავიწყო, ვერ მოვრჩები, მაგრამ ერთს კი ვახსენებ! მას შემდეგ, რაც ეს კაცი ამ სოფელში დასახლდა, არავინ წასულა ემიგრაციაში. მანამდე კი ათობით ემიგრანტს ვა-ცილებდით და უკან მობრუნებული არავინ გვინახავს. დაფიქრდი, აბა! ამას იმიტომ გთხოვ, რომ, თუ დაუკვირდები, ამაში სასწაულს დაინახავ.

და როგორ მოახდინა ბუ მა'რუფმა ეს სასწაული? უბრალო გულუბრყვილობით, რომელიც ყველაზე ლამაზი რამ არის ამქვეყნად და ყველაზე იშვიათი თვისებაა ადამიანებში. ეს სასწაულია! ბუ მა'რუფმა შეგვაყვარა ჩვენი სოფელი, მისი მიწა, წყალი, ჰაერი, კლდე-ლრე, დაბლობები, ხეობები, მთები. ჯერ მან შეიყვარა ეს ყველაფერი მთელი ძალით და შემდეგ ეს სიყვარული ჩვენც გადმოგვედო მისგან. ბუ მა'რუფმა გვაიძულა, გვეგრძნო, გაგვეგო და გვერწმუნა, რომ ჩვენს სიცოცხლეს აზრი არა აქვს ამ მიწის გარეშე და მიწისგანაც საპასუხო სიყვარულს ვიღებთ. თუ ჩვენი მიწა არ შეგვიყვარებს, მაშინ არც მაშრიკსა და არც მაღრიბში არ მოიძებნება სხვა მიწის ნაგლეჯი,

რომელიც წყალობას მოიღებს ჩვენზე! ხოლო ვინც არ იცის, როგორ შეიყვაროს საკუთარი მიწა, ის სხვა მიწასაც ვერ შეიყვარებს! ვინც მიწის სიყვარული დაკარგა, მან სიცოცხლეც დაკარგა, ყველგან მიუსაფარი გახდა, სადაც კი დასახლდა, თუნდაც ფულის გორები დაეგროვებინოს! ბუ მა'რუფის ნათქვა-მებიდან ბევრი რამ მახსენდება და ნე-ტავ ისიც მახსოვდეს, როგორ წარმოთ-ქვამდა მათ. აი, შენ ზოგიერთი მათგანი, ოღონდ ჩემი ენით დამახინჯებული:

მიწისგან გეძლევა სამოსი, საკე-ბი, თავშესაფარი. რა უმეცარი ხარ, რო-ცა ცხოვრებაში სიცრუით ცდილობ ეს ყველაფერი მოიპოვო, მიწასთან შეხე-ბის გარეშე!

აუცილებელია, რომ ადამიანმა მი-იღოს პური არსობისა მეგობრისგან და ნეტარ არს ის, ვისაც მიწა გაუხდია თა-ვის მეგობრად, რადგან მას სძინავს ღრმა ნეტარი ძილით.

ვაჭრობა მახეა ფულის მოსაპოვებ-ლად, ფული მახეა მიწის ნაყოფის მოსა-პარად მისი მეგობრებისგან, მაგრამ მიწა მახეა თაღლითების დასახოცად.

როცა მიწაში ერთ მარცვალს ჩა-დებ და უკან ათს მოგცემს, მაშინ სად არის ის კაცი, რომელიც გაბედავს, თი-თით მიანიშნოს შენზე და თქვას: ქურ-დიო! თუ დახარჯავ ერთ მონეტას და უკან დაგიბრუნდება ორი, ეს ხშირად ის თითებია, რომლებიც შენზე მიანიშნებენ, თუმცა შენ ვერ ხედავ მათ! ან ის ენებია, რომლებიც ამბობენ, ქურდიო, თუმცა შენ არ გესმის მათი! მაგრამ ცხოვრება ხედავს იმ თითებს და ესმის ის ენები. ცხოვრება კი იმახსოვრებს იმას, რასაც ხედავს და ესმის.

ჭეშმარიტად მიწაშია ისეთი სუნა-მო, რომლის შესახებ არც კი სმენიათ პარფიუმერთა დუქნებში!

მიწა არსებობის წიგნის გამხსნელი სურაა.¹ ვინც ის წაიკითხა, მას არ სჭირდება სხვა წიგნები.

ბედნიერია ის, ვინც ბედნიერება ჰპოვა იქ, სადაც იყო და უბედურია ის, ვინც ბედნიერების საძებნელად სხვაგან წავიდა.

ჩემთვის ბინძურ სხეულში სუფთა სული უფრო ძვირფასია, ვიდრე სუფთა სხეულში – ბინძური სული, ორივეზე ძვირფასი კი ჯანსაღი სულია ჯანსაღ სხეულში! მიწა უმწიკვლო სულია უბიწო სხეულში, მიეკარით მას თქვენი სულებით და სხეულებით, თუ გსურთ, განწმენდილები იყოთ.

ადამიანები ერთმანეთის მონები არიან. მე იმის მონა ვარ, ვისაც შეუძლია ჩემი სურვილის შესრულება, ეს უკანასკნელიც მონაა იმისა, ვინც მის სურვილს შეასრულებს და ასე შემდეგ, ადამიანი ერთის მონაა და მეორის – ბატონი და რომელია ამათგან უფრო ბელი?! მონა, რომელიც ბატონობს თუ ბატონი, რომელიც ემონება?! ისინი კი, რომელთა სურვილი მიწის ფლობაა, თავისუფლები არიან, რადგან მიწა არ ბატონობს და არც ემონება. ის არის ღვთაებრივი სამართლიანობის სასწორი.

მიწას არ რცხვენია, გაახაროს ვარდი, ეკალი, ხორბალი, სარეველა ბალახი, რადგან ყველაფერი, რაც მის წიაღშია, სუფთა და უმანკოა. ხალხი კი მალავს ეკლებსა და სარეველა ბალახს და მთელი ძალით ცდილობს მათ დახრჩბას, მაგრამ ეკლები და სარეველა ბალახი იქით წაახრიობთ მათ! ისწავლეთ პატიოსნება და სიმართლე მიწისგან!

ერთხელ დავინახე, კაცი ცრიდა მიწას, გამოარჩევდა და ინახავდა

მბრნყინავ ყვითელ მარცვლებს, დანარჩენ მიწას კი ყრიდა. დავინახე მეორე, პირველის გადაყრილ მიწაში როგორ თესავდა ხორბლის მარცვლებს. ერთი წლის შემდეგ დადგა შიმშილობა. დავინახე პირველი, დაჩოქილი მეორესთან, ხელში მბრნყინავი ყვითელი ფული ეჭირა, მოვისმინე, როგორ სთხოვდა: არ მომყიდიო ცოტაოდენ ხორბალს 20 დინარად? მეორემ უპასუხა: მე ჩემი მიწის მოსავლით ვარ კმაყოფილი, შენ კი შენს მოსავალს დასჯერდი!

ნეტავ ბუ მა'რუფის ყველა სიტყვა ჩამენერა. მისი სიტყვები ქადაგებებს ჰგავდა, რომელსაც წარმოთქვამდა ყოველგვარი ძალდატანებისა და თვალთმაქცობის გარეშე, არა კათედრიდან ან ხალხმრავალ შეკრებებზე, არამედ მინდვრებსა და ვენახებში, გუთნით, თოხით, ცელითა და ნიჩბით ხელში, რადგან ის, როგორც გითხარი, გახდა ერთ-ერთი ჩვენთაგანი, ჩვენს სამუშაოებს ასრულებდა, ჩვენი ტანსაცმელი ეცვა, იმას ჭამდა და სვამდა, რასაც ჩვენ. როგორ მიყვარდა მისი დანახვა აბაიაში, შარვალსა და ლაბადაში გამოწყობილის! ყოველთვის, როცა თვალწინ წარმომიდგება, ცრემლები მახრჩობს. აი, ახლაც ვტირი, ცრემლი ამ ფურცელზე ვარდება და ვაი, რომ იკარგება, რადგან შენ ვერ დაინახავ მას, ვერ იგრძნობ და ვერ გაიგებ იმ სიყვარულს, რომელიც მასშია! ვშიშობ, იქნებ ვერც ბუ მა'რუფის გამონათქვამები გაიგო, რადგან შენ არ იცი, რას წიშნავს სიყვარულის ცრემლები და არც მიწის ენა გესმის, ბუ მა'რუფს კი ესმოდა მიწის ენა და იცოდა სიყვარულის ცრემლები.

ბუ მა'რუფი, ბუ მა'რუფი!.. ის მოკვდა და ჩვენ დავასაფლავეთ! მაგრამ ის

¹ გამხსნელი სურა – ფათიშა, ყურანის პირველი სურა.

² აღმოსავლური ფართო შემოსაცმელი.

ცოცხლობს ჩვენს მინდვრებში, ვენა- ხებში, სახლებსა და გულებში, ყველა- ფერი მასზე მეტყველებს, ყველაზე მე- ტად კი მას ის უზარმაზარი, მაღალი კლდე მახსენებს, რომელსაც ამ მხარეში „ლრუბლების სვეტს“ ვეძახით. მე და ბუ მა'რუფი ერთად ავიდოდით ხოლმე მას- ზე და მაღლა პატარა, გაშლილ პირზე დავწვებოდით პირალმა, თვალს შევავ- ლებდით ცისფერ სივრცეს და სიოს ვე- გებებოდით; ან პირდალმა გავიშლებო- დით და ჩავცქეროდით ლრმა ხეობას, რომელიც დაფარული იყო მუხისა და ალვის ტყეებით, მთის გულიდან კი წყა- რო მოჩუხებულებდა და ნელა მიედინებო- და კლდეებსა და ხეებს შორის.

ორი კვირის მანძილზე გავწვებო- დით ხოლმე იმ კლდის ზედაპირზე, იდაყვებს კლდეს ვაყრდნობდით და თა- ვი ხელებით გვეჭირა, ხეობას დავცქე- როდით და ფიქრით გაზაფხულის სუ- ლებს ავედევნებოდით. კვირა სალამო გადასულიყო. ხეობიდან ათასობით ფრთოსანი ქმნილების უღურტული ამო- დიოდა. ორმა ყვავმა ჩაგვიფრინა და დაგვჩხავლა. ბუ მა'რუფი მომიბრუნდა და მითხრა:

— რა ლამაზია ყვავი, ყვავების ენა- ზე ლაპარაკობს და არ შურს ბულბუ- ლის ხმის! რა ლამაზია ბულბული, ბულ- ბულის ენაზე ლაპარაკობს და არ შურს ყვავების ძალის! ორივე ბუნებამ შვა და ორივე ერთნაირად უყვარს. ასე არ ხდე- ბა ადამიანებს შორის! მათში რამდენი ყვავი იტანჯება იმის გამო, რომ ბულ- ბულის ხმა არა აქვს და რამდენი ბულ- ბული ჯავრობს და შენატრის ყვავის ძალას!

დიდხანს ვიყავით დადუმებულები.

უცებ ჩემი მეგობარი წამოჯდა, ხე- ლებით საფეთქლები დაიზილა და თვა- ლები დახუჭა, თითქოს ეპილეფსიის ძლიერი შეტევა დაემართაო. შევხედე

სახეზე, ზაფრანის ფერი დასდებოდა, მივუახლოვდი, შიშით ხელ-ფეხი ამიკან- კალდა. სანამ რამეს ვიტყოდი, მიმითი- თა, ჩემს ადგილას დავბრუნებულიყავი: „არაფერია, არაფერი, არა მიშავს რა!“

საწყის პოზიციას დავუბრუნდით, ბუ მა'რუფსაც სახეზე თავისი ფერი და- ედო და ღიმილი დაეფინა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მეორედ მივუ- ახლოვდი, წამოდგა, ხელზე ძლიერად მომეჭიდა და მითხრა: „წავიდეთ, წავი- დეთ აქედან!“ პატარა ბიჭივით დავე- მორჩილე. ერთხანს გავჩერდი, ბუ მა'რუფი მომიტრიალდა, თვალებში ტანჯვა და სინანული შევნიშნე, უცებ თავაზიანად მკითხა:

— რა გაიგონე? რა?!..

გავოცდი, ვიფიქრე ჭკუიდან ხომ არ შეიშალა-მეთქი, რადგან არც უცნა- ური ხმა გამიგია და არც უჩვეულო რამ დამინახავს.

— უსმინე, უსმინე! — მითხრა ბუ მა'რუფმა და ხელი მკლავზე დამადო, მისმა სულიერმა მღელვარებამ მაშინვე დამძაბა. გავჩერდი, რომ კარგად განმე- საზღვრა ყველა მოძრაობა და ხმა, რა- საც ჩემი მეგობრის უცნაური საქციე- ლის ახსნა შეეძლო. გავიგონე მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი, ფოთლების შრიალი და წყლის ჩხრიალი ხეობაში.

— მოუსმინე, მოუსმინე!.. გაიგონე ახლა? გაიგონე?!.. — ისე ძლიერად შე- მარყია ბუ მა'რუფმა, მეგონა, ჩემს ფეხ- ქვეშ „ლრუბლების სვეტიც“ შეირყა- მეთქი. გაკვირვებული გავჩერდი და ვე- ცადე, გამეხსენებინა ბოლო ხმა. გავიხ- სენე, თუმცა მის უცნაურ საქციელს ვე- რანაირი ახსნა ვერ მოვუძებნე. ვუთხა- რო:

— დიახ, გავიგონე!

— რა გაიგონე?..

— გუ-გუ, გუ-გუ!.. ეს ხომ იმ ჩიტის

ხმაა, რომელიც ამ მხარეში გაზაფხულობით ხშირად გვხვდება, ჩვენ მას გუგულს ვეძახით.

ამ დროს ბუ მარუფს სახის ფორმა ოცჯერ მაინც შეეცვალა ელვის სისწრაფით ისე, თითქოს ადამიანთა მთელ ჯგუფს ერთად ერთ წამში გამოეხატოს ყველა სახის გრძნობა, რაც კი არსებობს. ბუ მარუფი კლდეზე გაწვა და გაიშალა, მეც თავაზიანად მიმიხმო, რომ იგივე გამეკეთებინა და მის გვერდით დავწოლილყავი, როგორც უნინ. მეც დავწექი, ვითარცა მოჯადოებული და არ ვიცოდი, რა მეთქვა ან რა მეფიქრა. ბუ მარუფმა არც კი მაცალა, გავთავისუფლებულიყავი მისი ჯადოსგან, ისე მომიტრიალდა უნინარი თვალებით, გახსნა თავისი წითელი ტუჩები და მშვიდად მომმართა:

— ყურადღებით მომისმინე და მოგიყვები გუგულის ისტორიას:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლიბანელი მშრომელი გლეხი, რომელსაც ჰყავდა ცოლი. კაცი მინას ამუშავებდა და თავისი ოფლით შოულობდა პურს, მცირედითაც კმაყოფილი და ბედნიერი იყო თავისი ცოლთან და ერთადერთ ვაჟთან ერთად, რომელსაც ხატარი ერქვა. ცოლ-ქმარი ღმერთს ერთხელ იფიცებდა და შვილს – ოცჯერ. ასე ცხოვრობდნენ ბედნიერად და უფალს ამისთვის მადლობას სწირავდნენ. ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთი ქვრივი მეზობელი კაცი, რომელიც ასევე მინას ამუშავებდა და მცირედით კმაყოფილდებოდა, მას ერთადერთი ქალიშვილი ებადა, სახელად ზუმრუდი. ის კაციც ღმერთს ერთხელ იფიცებდა და შვილს – ოცჯერ. ამ ორმა ოჯახმა და მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ხატარი ზუმრუდისთვის იყო გაჩენილი და ზუმრუდი – ხატარის-თვის. თვითონ ზუმრუდი და ხატარი ამ ამბავს ყმაწვილობიდანვე შეეჩივნენ

და ერთმანეთის გარეშე ვერც კი წარმოედგინათ ეს ცხოვრება. ასე ჯადოსნურად შეაერთა დღეებმა მათი სულები.

ამბობენ, სიყვარული ბრმააო, მაგრამ ეს შეცდომაა. სიყვარული ყველაფერს ლამაზად ხედავს, ამიტომ ის ყოველთვის იყო სიცოცხლის არსი. როცა ადამიანებმა ერთმანეთი შეიყვარეს, სილამაზის აღქმა დაინტეს და როცა სილამაზის აღქმა დაინტეს, სიყვარული ისწავლეს. როცა სიყვარული ისწავლეს, სიცოცხლე შეიმეცნეს. რადგან ზუმრუდმა და ხატარმა სიყვარული ისწავლეს, ერთმანეთში მხოლოდ სრულყოფილებას ხედავდნენ.

იდგა 1900 წელი, დიდმარხვის პერიოდი. ხატარისა და ზუმრუდის მშობლებს შვილების დაქორწინება აღდგომის დღესასწაულის შემდეგ გადაეწყვიტათ, ამიტომ ქორწილის დიდ სამზადისში იყვნენ. ამ დროს ამერიკიდან დაბრუნდა სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები, ფარის ხაიბარი, ორმოციოდე წლის. სოფელმა გულითადად მიიღო თავისი შვილი და გამოჰკითხა ემიგრაციაში წასული სხვა შვილების ამბებიც. სოფლელები ბრუნდებოდნენ ფარისის სახლიდან გაოცებულები, ზოგი აღფრთოვანებული იყო მისი უცხოური სამოსით, ზოგი – მოყოლილი ისტორიებით ამერიკის საოცრებებზე, ზოგიც – იმ საჩუქრებით, რომლებიც უცხო ქვეყნიდან წამოექმნა და მათ შორის იყო გუგულის საათი.

გინახავს ოდესმე გუგულის საათი?! ის მაღვიძარა საათია, მაგრამ ზარით კი არ იტყობინება დროს, არამედ მასში ჩაბუდებული ხელოვნური ჩიტით. მაგალითად, როდესაც 12 საათი დადგება, მაღლა ფანჯარა იღება, გამოდის ჩიტი და 12-ჯერ შემოსძახებს „გუ-გუ“-ს. შემდეგ ისევ შიგნით შედის და ფანჯარაც იხურება.

ხატარი, ზუმრუდი და მათი

მშობლები, ფარის ხაიბარის სახლიდან წამოსულები, მთელი გზა ამ გუგულის საათზე საუბრობდნენ. ზუმრუდი ყველაზე მეტად იყო გაოცებული, როგორ უნდოდა, რომ კიდევ შესძლებოდა ფარის ხაიბარის სახლში დარჩენა და საათობით იმ უცნაური ჩიტის ყურება, რომელიც გამოდის თავისი უცნაური ფანჯრიდან და იძახის „გუ-გუ“-ს!

გავიდა ერთი კვირა და მთელი სოფელი გუგულის საათსა და მის პატრონზე ალაპარაკდა. ზოგი გაოცებული იყო ფარის ხაიბარის ინგლისურით, ზოგიც – მისი ჯოხით, რომელიც ერთდროულად ჯოხიც იყო და ქოლგაც, ზოგი კი – კალოშებით, რომელსაც მისი პატრონი ყოველთვის მაშინ იცვამდა, როცა ღრუბლებიდან წვიმის თუნდაც მცირე წვეთები წამოვიდოდა ხოლმე. ზუმრუდის გაოცება გუგულის საათით კიდევ უფრო იზრდებოდა.

მოახლოვდა ქორწილის დრო, მთელი სოფელი ფაციფუცობდა, ნელ-ნელა მიივიწყეს ზღვების გაღმიდან ახლად დაბრუნებული. და აი, დადგა ქორწილის დღე, ყველაფერი უმაღლეს დონეზე მოამზადეს. ხატარი, მისი მშობლები და ზუმრუდის მამა ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ. ზუმრუდი კი არც ერთ ცაზე ჩანდა და არც მიწაზე, მოიკითხეს და ვერ იპოვეს.

მოკლედ, ზუმრუდი ფარის ხაიბართან ერთად გაიქცა. სანამ სოფელი გონს მოეგებოდა ამ შემზარავი ტრაგედიისგან და ბეირუტში გაგზავნიდა ვინმეს მათ მოსაძებნად, გაქცეულები უკვე გემზე ისხდნენ და დასავლეთისკენ მიემართებოდნენ.

ორი კვირის შემდეგ ზუმრუდის მამა გარდაიცვალა, შვილზე დარდმა, სირცხვილმა და იმედგაცრუებამ შეიწირა. ის იყო გუგულის საათის პირველი მსხვერპლი.

ხატარის მშობლები კი მოთმინე-

ბით შეხვდნენ ამ ამბავს, ამაში მათ თავად ხატარი დაეხმარა, რომელსაც ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია თვალებიდან, ერთი ლანძღვაც არ დასცდენია პირიდან და ერთხელაც არ ამოუხვნეშია. თქვა: ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.

ერთ დღეს ხატარი მინდვრის მოსახვნელად გავიდა, მუშაობის დროს უცებ შეჩერდა შუა ორმოში, თვალი მოავლო ყველაფერს თავის გარშემო და ერთ ადგილას გაიყინა, შემდეგ საკუთარ თავთან დაიწყო ლაპარაკი:

– როდემდე, ხატარ! როდემდე?!.. ამ მიწაში შენი ოცი წელინადი ჩაგიფლავს და შედეგად რა მიიღე?! რა სხვაობაა შენსა და ამ კლდეს შორის?! ისიც ყრუ-მუნჯია და შენც! რა სხვაობაა შენსა და ამ ხარებს შორის?! ისინიც მიწას ხნავენ, ბალახი რომ შეჭამონ და შენც მიწას ხნავ, მარცვლეული და ნაყოფი რომ მიიღო საკვებად. შენ ისევ ჭილოფი გახურავს, ხატარ, შენი ცხოვრება კი არც ხანმოკლეა და არც ხანგრძლივი. რატომ გიღრღნის იმედგაცრუება გულს?! ფარის ხაიბარსა და ზუმრუდზე შურისძიების ფიქრმა დაგიკარგა მოსვენება! ვინ ხარ შენ ამ ხალხში?! რა გაბადია?! რა იცი?! შენ არავინ ხარ, არაფერი გაქვს და არც არაფერი იცი!

ზუმრუდმა მიგატოვა, ზურგი გაქცია, გუგულის საათი არჩია შენს თავს! და რა უფლებით კიცხავ მას, ხატარ?!.. სად შენ და სად გუგულის საათი!.. სად შენი ჭკუა და სად მისი გამომგონებლის!.. სად შენი ქვეყანა და სად ის ქვეყანა, რომელმაც შექმნა საათის ნაწილები და ააწყო ეს უცნაური და სასწაულებრივი მოწყობილობა! ან საიდან იცი, რომ იმ ქვეყანაში არ არის გუგულის სა-

ათზე ბევრად უფრო საოცარი რამე?!.. რა ბედნიერია ის ქვეყანა და მისი ხალხი და რა უბედური ხარ შენ შენს ქვეყანაში!

გრცხვენოდეს, ხატარ! შენს გულს ისეთი კაცი დაპეატრონებია, როგორიც ფარის ხაიბარია. ფარის ხაიბარი ვერ შეძლებდა შენი გულის მოპარვას, მისი ფული, ჭკუა და ცოდნა რომ გქონოდა! ფარის ხაიბარმა ზღვები გადალახა ზუმრუდის გულისთვის, შენ კი რამ მიგაბა ამ კლდე-ღრეს?! ან მშიშარა ხარ, ან – მიცვალებული და ჯერ ვერ მიმხვდარ-ხარ ამას! გრცხვენოდეს, ხატარ, გუგულის საათმა რომ გაჯობა!

ასე ელაპარაკებოდა ხატარი საკუთარ თავს და ცხოვრებაში პირველად ყველაფერი, რასაც კი მისი თვალი მისწვდა, საზიზღრობად და სამარცხვინოდ მოეჩვენა – ხარები, გუთანი, ხეები, ვენახები, კლდეები... თვით ნედლი მიწაც კი, რომლის სურნელითაც ხარობდა და ფეხებს ასვენებდა მასში, ახლა აყროლებულ ნაგვად ეჩვენა. ორმო, რომელსაც გუთნით თხრიდა მიწაში, საფლავს მიამსგავსა, თავისი ხელით საკუთარი თავის-თვის რომ გაემზადებინა. მინდვრის სიგრძე-სიგანეზე გაშლილი კლდეები, კლდეებს შორის მოშრიალე ხეები, ხეებზე მოჭიკვიკე ჩიტები თითქოს დასტიროდნენ და თან დასცინოდნენ ხატარს. ხატარმა გუთნიდან ხელი აიღო, ხარები მიატოვა, მინდორს ზურგი აქცია და სოფლისაკენ გაეშურა. იქ მშობლებს განუცხადა, რომ ამერიკაში გადაწყვიტა გამგზავრება და რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. იყო გოდება, იყო ვაება, იყო კამათი, მაგრამ უშედეგოდ. ხატარი ამერიკაში გაემგზავრა.

გამგზავრებისთანავე დაიწყო ხატარის ტანჯვა. დასევდიანდა, ბევრჯერ ინანა, იტირა, სულში სასოწარკვეთამ დაისადგურა, გულში – იმედგაცრუებამ, მაგრამ სასოწარკვეთილს შინაგანი

ხმა აფხიზლებდა: „გრცხვენოდეს, ხატარ! გამაგრდი და გაიხსენე გუგულის საათი!“

გამაგრდა ხატარი და მიხვდა, რომ ისეთ ქვეყანაში აღმოჩნდა, რომლის გასაღებიც ფულია. ვისაც ეს გასაღები არ უჭირავს ხელში, ის იქ ვერ იცხოვრებს და ვინც არ იბრძოლებს ამ გასაღებისთვის, უცხოდ იგრძნობს თავს, ან მას სხვა მებრძოლთა ფეხები გადათელავენ. ხატარი ჩაება ბრძოლაში ხელებით, ფეხებით, ფრჩხილებით, კბილებით. მისი ერთადერთი ინტერესი სიმდიდრის დაგროვება გახდა, რომელიც მას ამოუხსნიდა ამერიკის საოცრებებს, სასწაულებს, საიდუმლოებებს და გუგულის საათის დონემდე აიყვანდა. წარმატებამ არ დააყოვნა და ხატარის წინაშე გაიხსნა მოგების კარი, შემდეგ ერთმა კარმა სხვა კარებიც გააღო, რადგან ფული ფულს იზიდავს!.. და პირველი ნივთი, რომელიც ხატარმა პირველი მოგებით შეიძინა, იყო გუგულის საათი. შემდეგ ახალი მიზანი გაჩნდა, რადგან იგრძნო, ბრძოლის ველზე პირველი გამარჯვება მან მოიპოვა. გამარჯვებით ტკბობა კი აპრუებს გამარჯვებულს და უბიძგებს ახალ ბრძოლებში ჩაბმისკენ, ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

გავიდა დღეები, იყო დიდი ბრძოლები, გაიღვიძა ხატარმა და აი, ის უზარმაზარი სავაჭრო საწარმოების მეპატრონეა, მისი ქონება მიღიონამდე გაიზარდა. მდიდრული სახლის კედელზე დაკიდებული გუგულის საათი იშვიათად თუ ახსენებდა ხატარს მის მშობლებს, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენ და იმას, თუ ვინ იყო ის და რად იქცა.

ცხოვრების მეგზურად ხატარმა აირჩია ამერიკაში დაბადებული სირიელი გოგო, სახელად აღისა.

უბედურება ადამიანს აფხიზლებს.

რამდენი ბედნიერება გვეწვევა ხოლმე უბედურების სამოსში და რამდენი უბედურება – ბედნიერებისაში! ხატარის უბედურება იყო მისი მეუღლე ალისა. კაცმა მაღლევე გააცნობიერა, რომ მათ შორის დიდი უფსკრული არსებობდა და მასზე ხიდის გადებაც კი შეუძლებელი იყო. ქალის სიყვარული ემყარებოდა ფულს, რომლითაც შეეძლო დამტკარიყო ამქვეყნიური სიამებით, ხატარისა კი – სიმარტოვის ფარულ შიშს. ადამიანი რაც უფრო მეტად ცდილობს, გაეკცეს მარტოობას, უფრო მეტად იძირება მასში.

ცხოვრებაში სხვადასხვა გზა არსებობს. თითოეულ ადამიანს თავისი გზა აქვს. თავისი გზა აქვს თითოეულ ერს, თითოეულ კონტინენტსაც კი! ეს გზები ერთმანეთს ხვდება და შორდება ხოლმე უკიდეგანო ქსელში და, ალბათ, ყველაზე უცნაური ამ ქსელში არის წერტილი, სადაც ერთმანეთს ხვდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზები, რადგან აღმოსავლეთი მიდის ცხოვრების წმინდა გზაზე და მისი სამგზავრო ეტლი გულია, ცხენები კი – გრძნობები და ფიქრები, სადავეები – რწმენა და მარადიული ტრადიციები. მაშინ, როცა დასავლეთი მიდის ეტლით, რომლის სული ორთქლი ან ელექტროენერგიაა, კუნთები კი – ფოლადისა და რკინის ხრახნები და თვლებია, სადავეები მისი თავდაჯერებულობაა, მთლიანად კი თავისი გამოგონებებისგანაა აწყობილი. დასავლეთი აღმოსავლეთს მიუბრუნდება და დამცინავად ესალმება: „გამარჯობა, მეზობელო, გხედავ, როგორ ცდილობ, შრომობ, შრომობ და მაინც ერთ ადგილას რჩები!“ – და მიდის ამაყად თავისი გზაზე ეტლით, თან ფიქრობს, რომ გადაუსწრებს აღმოსავლეთს წმინდა გზაზე, რადგან აღმოსავლეთის ეტლს დასავლეთი ვერ ხედავს.

აღმოსავლეთი კი დასავლეთს უცქერს და ამჩნევს მისი ეტლის დიდებულებას, ესმის მისი მომაკვდავი ხრიალი და ჭრიალი, მაგრამ აღმოსავლეთს აპრმავებს დასავლეთის ეტლის მოძრაობა, ინუსხება მისი სისწრაფით და ამბობს: „დიდება შენდა, მეზობელო! დიდება შენდა! სად ჩემი ეტლი და სად შენი! არ შემიცოდებ?! არ მომცემ უფლებას, ჩავეჭიდო შენი ეტლის თვლებს?!“ ასე იქცევა აღმოსავლეთი, როდესაც ხვდება დასავლეთს, ტოვებს თავის ეტლს, ყიდის სულს, მეზობლის ეტლში რომ გადავიდეს. ხატარსაც ასე დაემართა იმ დღეს, როცა ზურგი აქცია თავის ხარებს, მინდორს და პირი ზღვისკენ იბრუნა. გაიმზადა ეტლი, რომელიც დასავლეთის ეტლს გადააბა და ერთ საათში გაიარა ის მანძილი, რასაც ერთ წელიწადშიც ვერ დაფარავდა. სისწრაფემ დათრო და იმის დროც არ დარჩა, უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ მიბრუნებულიყო და საკუთარი თავისთვის ეკითხა, საით მიდიოდა, მაგრამ, როცა მისი ეტლი პირველად წაპორდიკდა გზაზე საკუთარი სახლის მონატრებისგან, მიხვდა, რომ უკვე დაავადებულიყო და ცივსისხლიანი გამხდარიყო.

ხატარის გამოფხიზლება ქორწინებიდან ორი კვირის შემდეგ დაიწყო. უცნაურია, რომ მისი გამოღვიძების მიზეზი გახდა ის, რამაც თავის დროზე გააბრუა – გუგულის საათი! ყველაფერი კი ასე მოხდა: ერთ დღეს ალისამ სთხოვა ხატარს, კედლიდან ჩამოეხსნა და გადაეგდო გუგულის საათი, რადგან მისი სიძველე ამახინჯებდა ოთახის სილამაზეს. ქალს ახალი საათით სურდა ძველის ჩანაცვლება. როდესაც ხატარმა თხოვნა არ შეუსრულა, ცოლმა ლანდღვა-გინების კორიანტელი დააყარა, უთხრა, რომ ის იყო ძველმოდური, გონებითა და გემოვნებით გლეხი, რომ მან

ქვეყანაზე არაფერი იცოდა ვაჭრობის გარდა და მხოლოდ ფულის ენა ესმოდა, რომ მას რცხვენოდა საკუთარი ქმრის გამო თავისი მეგობრების წინაშე. ბოლოს კი დაწყევლა ის დღე, როცა ცხოვრება ხატარს დაუკავშირა. ამ ჩხუბს სხვებიც მოჰყვა და ხატარმა საკუთარ თავს უთხრა: „რა უბედური ხარ, ხატარ! ეს რა უყავი შენს თავს?! ოცი წელია, რაც შენი ეტლი ჩააბი ამ ეტლის თვლებს და იმით დაამთავრე, რითაც დაიწყე – გუგულის საათით! მეტიც, უკან-უკან წახვედი!.. და ვინ ხარ შენ დღეს?!.. რა იცი?.. ან რა გაბადია?!!..

კაცი იყავი, ძლიერი მარჯვენით, გახსნილი გულით, მამაცი და ჯანსალი, ბატონობდი შენს სახლში, მინდორსა და ვენახში, მშობლებს უყვარდი, სოფელი პატივს გცემდა. დღეს კი ვინ ხარ?!.. პატიმარი, მიბმული იმ ეტლის ბორბლებს, რომელიც არასდროს ჩერდება, მიქრის და მიქრის, ღმერთმა უწყის, საით. თუ მასთან კავშირს გაწყვეტ, დავარდები გზაზე გათელილი. თუ კვლავ მას ჩაეჭიდები, შენი თვალით წახავ, როგორ გამოგეცლება სული და ნელ-ნელა ბორბლების ქვეშ განადგურდება. გინდოდა, გუგულის საათი დაგემონებინა და აქეთ დაგიმონა! გინდოდა, დაუფლებოდი და აქეთ დაგეუფლა! მას საკუთარ სახლში შეეჭერი და დალაშქრე, მან კი გულითად მიგილო და თავის ერთ-ერთ ხრახნად გადაგაქცია. მეტიც, ამ ჯოჯოხეთურ მოწყობილობაში შენ ლურსმანსა და ხრახნზეც კი უმნიშვნელო ხარ! რა უბედური ხარ, ხატარ! მთელი ეს წლები იმ კატას დაემსგავსე, ქლიბს რომ ლოკავს და ტკბება იმ სისხლის გემოთი, რომელიც მისი ენიდან მოდის, ამ დროს არც კი იცის, რომ ეს სისხლი მისია!

და რა იცი შენ, ხატარ?!.. ახალი ენა, ახალი ქვეყანა, ახალი სამოსი.

სჯობდა, ისევ არაფერი გცოდნოდა, რადგან მაშინ ის მაინც იცოდი, რომ უმეცარი იყავი, დღეს კი იმასაც ვერ ხვდები, რომ არაფერი იცი! და რა გაბადია, ხატარ?!.. იყო დრო, ხარები, ცხვრები გყავდა; მინდვრები, ვენახები და შენი ნამდვილი სახლი გქონდა! დღეს კი... ახალ ბაბილონში ფლობ უზარმაზარ შენობას, შენობაში – მრავალ ოთახს, ოთახებში – თაროებს, თაროებზე – უცნაურ ქსოვილებს, რომლებიც ადამიანს არც სიცივისგან და არც სიცხისგან არ იცავენ. აი, ეს ქსოვილებია შენი სიმდიდრე, მაგრამ მაგით ვერ ამოივსებ გულის ნახეთქებს, ვერც ახალ ოცნებებს მოიქსოვ და ვერც სუდარად გამოიყენებ შენი შავი ფიქრებისთვის.

ახალი ბაბილონის ერთ-ერთ ბანკში ფოლადის სალაროებია. ერთ-ერთ ასეთ სალაროში ქალალდები, ობლიგაციები და ანაბრებია. ესეც შენი სიმდიდრეა, მაგრამ ამით ვერ იყიდი უშფოთველ ძილს შენი ქუთუთოებისთვის, ვერც სიმშვიდეს – ფიქრისთვის, ვერც თავისუფლებას – სულისთვის! ვერც შენს მშობლებს დაიბრუნებ და ვერც ზუმრუდს!..“

თვალწინ დაუდგა ზუმრუდის სახე, შემდეგ ალისა გაახსენდა და უნებლიერ დაიწყო მათი შედარება – რა ლამაზი იყავი, ზუმრუდ, და რა მშვენიერი! რა სუფთა და ნაზი კანი გქონდა! უმანკო გული ნათელ ფერს აძლევდა შენს წმინდა სახეს, როგორი ხალასი და წრფელი იყო ის! შენი ნუშისებრი თვალები, მოკრძალებული და წმინდა! და შენი კოცნა... ოპ, შენი კოცნა... კეთილდღეობისა და უებარი წამლის უშრეტი წყარო... აბრეშუმი არ გეცვა, არც მარგალიტი გიმძიმებდა ყელს, არც რბილ საწოლზე გეძინა, მაგრამ შენს სახლში მცველი ანგელოზი იყავი, მინდორში კი – უმნიკ-

ვლო მიწისგან ნაშობი ქალწული! შენ ამ ცხოვრებით კმაყოფილდებოდი, ცხოვრება კი – შენით. შენმა გულმა ღალატი არ იცოდა, შენ არც ჩემი ფიცისთვის გიღალატია, გუგულის საათმა მოგატყუა. ამის გამო სულაც არ გეიცხავ, შენ ხომ ევას ასული ხარ! ევაც ხომ აკრძალული ხილის სილამაზემ აცდუნა! არც საკუთარ თავს ვიდანაშაულებ, მეც ხომ ადამის ძე ვარ, ადამი კი ევამ აცდუნა! სად ხარ შენ დღეს?! ნეტავი კმაყოფილი თუ ხარ ამ ცხოვრებით და ცხოვრება – შენით?! და ალისა!.. აი ის, მისი მოშიშვლებული მხრები და მოღებული მკერდი, შეჭრილი თმა, შეღებილი ტუჩები, ფერუმარილით გაჯერებული ლოყები, ჩაშავებული წამნამები, ამაღლვებელ სანახაობებს მოწყურებული თვალები, სამკაულებით მოკაზმული რბილი ხელები, გამხდარი წელი, გამჭვირვალე აბრეშუმით შემოსილი წვივები, ლაქის ფეხსაცმელებში გაჭიმული და ჰაერში მდგარი ტერფები. აი, ეს ქალია სიკვდილით შენიღბული სიცოცხლე; ნიღაბია ქალის რწმენაც, რომ სწორედ მისი ცხოვრებაა სიცოცხლის სიმბოლო, რომელსაც ის თავისუფლებას, ცოდნას, ცივილიზაციას, პროგრესს, სილამაზეს და ბედნიერებას უწოდებს. აი, მასაც შეეყარა მუდმივი მოძრაობის სენი, ბედნიერებას ეძებს იმ მტვერში, რომელიც მოძრაობისგან ჩნდება საცეკვაო და გასართობ ადგილებში, მანქანებში, სამკაულებსა და სამოსში, დროდადრო საგარეო ტანსაცმლით სეირნობაში, საქმეებზე ჭორაობაში, თითქოს ის ცხოვრების ქაფისგანაა შექმნილი და უსულოა. რაღაც ფარულ ძალას მიჰყავს ერთი მდიდრული საჩუქრიდან მეორისკენ, ერთი საკვებიდან მეორისკენ, ღამით კაბას ხდის და დილით აცმევს.

განა არ გმობ მის საქციელს, ხა-

ტარ?!.. ზუმრუდი ხელიდან გაგისხლტა და შენ აღარ ხარ მასზე პასუხისმგებელი, ალისა კი შენთანაა და შეგიძლია, ამოათრიო ქაფიდან, მაგრამ როგორ ამოიყვან, როცა მასავით შენც ჩაფლული ხარ შიგ!

ხატარმა ამოიოხრა, ზუმრუდზე, ალისაზე და საკუთარ თავზე გაბრაზებულმა, სცადა, ფიქრებს გაჰქიცეოდა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ფიქრები ყოველდღე ახალი ძალით უტევდნენ ხატარს იქამდე, სანამ თავისი თავი საბრძოლო შუბებში მომწყვდეული არ აღმოაჩინა. ამაოდ ცდილობდა, ლაზათი მუშაობაში ეპოვნა, ან მარტოობაში. ხატარისთვის ვაჭრობა გადაიქცა ცხელ თონედ, რომელიც მის ცხოვრებას წვავდა. ვაჭრობიდან მიღებული მოგება კი დამწვარი ცხოვრების ფერფლად ეჩვენებოდა. იგრძნო, თითქოს ის სული გამოეცალა, რომელთანაც საუბარს მიჩვეული იყო, ახლა კი საშინელ მარტოობაში აღმოჩნდა და აქედან გაქცევა სურდა. ასეთი სულიერი აშლილობის დროს ხატარი ყოველთვის თავის მოახლე სირიელ ქალთან გარბოდა. ამ ქალისთვის ჰქონდა ხატარს მიბარებული სახლის საქმეები ჯერ კიდევ დაქორწინებამდე, ქორწილის შემდეგაც დაიტოვა. სუდი მხცოვანი ქალბატონი გახლდათ, მაგრამ გულით – მგრძნობიარე, სულით კი ერთი გადაშლილი წიგნი იყო. წლებმა, რომელიც ამერიკაში გაეტარებინა, ვერაფერი დააკლო მის ბუნებრივ, შინაგან სილამაზეს, ვერც ის უბრალოება და ქალური სინაზე წაართვა, რომლისთვისაც სამსახურს ახალი ხიბლი შეემატებინა. ხატარი ისე უყვარდა და მასზე ისე ეჭვიანობდა, თითქოს საკუთარი შვილი ყოფილიყოს, ასეც ეძახდა მუდამ: „შვილო!“ ხატარიც ისე ექცეოდა, თითქოს საკუთარი დედა ყოფილიყოს. როცა მარტოობის სიმძიმე უძლი-

ერდებოდა, ხატარი სუ'დისთან მიიჩქაროდა, მის კალთებს რომ ამოჰფარებოდა ისე, როგორც წინილები გარბიან ხოლმე კრუხთან ძლიერი ქარის დროს, დედის თბილ და რბილ ბუმბულს თავი რომ შეაფარონ.

ერთ საღამოს ხატარი ცოლის ნებას დაჲყვა, რომელსაც სურდა, ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში ევახშმათ და თან ამერიკელი მეგობარი დაეპატიუებინათ. ალისას ამერიკელი მეგობარი ისეთი კაცების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთათვისაც ღმერთს მეტისმეტად გრძელი ენა უბოძებია, მისი მამოძრავებელი ძალა კი გულისა და თავის ნაცვლად მუცელში მოუთავსებია!.. და რა მრავლად არიან ასეთები ამ მიწის პირზე!

მაგიდას სამნი მიუსხდნენ. ალისა და მისი მეგობარი ახალ ცეკვაზე საუბრობდნენ. უცებ მიმტანი, რომელსაც საჭმელი მოჰქონდა, ხატარს მიუახლოვდა, გადასცა პატარა, დაკეცილი ფურცელი და უთხრა: ეს იმ ქალბატონისგანაა, აი, იმ ფანჯრის გვერდით რომ დგას ფარდის უკან... ხატარმა გაიხედა და იქაც მიმტანი დაინახა, ფურცელი გახსნა და ნაწერი წაიკითხა, უცებ გაფითრდა. ალისამ თვალებიდან ნაპერნკლები გადმოყარა და პირქუში სახე მიიღო, მისმა ამერიკელმა მეგობარმა ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, კოპები შეკრა და თითქოს თვალებით ეუბნებოდა: „საიდუმლო გამჟღავნდა, საქმე გაიხსნა და განშორება გარდაუვალია“. ხატარი გონს მოეგო, ადგა და იმ ფანჯრისკენ გაემართა, სადაც უცნობი ქალი ელოდებოდა, მცირე ხანს ესაუბრა, გაოცდა, შეცბა, ხელი ჩამოართვა, ჯიბიდან პატარა ქალალდი ამოიღო, რომელზეც მისი სახელი და მისამართი ეწერა, გადასცა, მეორედ ჩამოართვა ხელი და გაღიმებული დაემშვიდობა, ქალმაც გაუღი-

მა. კაცი თავის ადგილს დაუბრუნდა, ცოლი და ამერიკელი მეგობარი უკვე ჩაცმულები დახვდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ. ხატარი მიხვდა, რომ მისმა საქციელმა რევოლუციის ცეცხლი დაანთო.

სამივენი სახლში მანქანით დაბრუნდნენ, გზაში არც ერთს ხმა არ ამოუღია, მაგრამ, როგორც კი სახლში შევიდნენ, ალისამ ლანძღვა-გინების კორიანტელი ამოუშვა პირიდან: „სირცხვილო და თავის მოჭრავ! დღისით-მზისით, პატივსაცემი ხალხის წინაშე მამცირებ?!. ან, თუ მაინცდამაინც საყვარელი უნდა გყოლოდა, რესტორნის მსახურზე მეტი ვერავინ იპოვე, შე მოღალატევ?!. არც ბოდიში მინდა შენგან და არც ახსნა-განმარტება, მორჩა, ყველაფერი დღესავით ნათელია, ჯერ არ დავბრმავებულვარ, ამ საღამოს შემდეგ შენთან არაფერი მაქვს სალაპარაკო, ერთ ჭერქვეშ ვეღარ ვიქნებით, თუ რამის თქმა გინდა, ადვოკატს მიმართე!“

ალისა არ ცხრებოდა, მისი ამერიკელი მეგობარი კი კვერს უკრავდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ისიც საშინლად დაამცირეს, სახეზე კი ეწერა: „ალისა მართალია! აბა, ვინ მოითმენს ასეთ შეურაცხყოფას?! ცხოვრებაში არ მინახავს მსგავსი სიბინძურე!“

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა, შემოვიდა ქალი, რომელსაც ხატარი რესოტრანში შეხვდა და ესაუბრა. სამუშაო ფორმა გაეხადა და უბრალო, ღარიბული სამოსი ჩაეცვა. როგორც კი ალისამ ქალი შენიშნა, მისმა ხმამ სახლს ჭერი ახადა, პირიდან სეტყვასავით მოსდიოდა სალანძღავი სიტყვები.

ხატარი კლდესავით იდგა. სუ'დი, რომელიც თავისი ქალბატონის ხმაზე გამოვარდა, ხან მარჯვნივ ეცა, ხან – მარცხნივ, მაგრამ ვერაფერი გაიგო. გა-

ოგნებული თვალებით, პირჯვარს იწერდა და ბუტბუტებდა: „ღმერთო, შენ გვიშველე! ღმერთო, გადმოგვხედე!“

უცნობი ქალი ერთ ადგილას გაიყინა, თითქოს მოჩვენება ყოფილიყოს სხვა სამყაროდან! ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მის გამო ხდებოდა. ალისას მიუახლოვდა და რაღაცის ახსნა სურდა, მაგრამ ალისამ სიტყვა არ დააცდენინა, ისე შეჰყვირა: „გადი, გამშორდი! არ შემეხო!“ ხელი ძლიერად ჰკრა და ამერიკელ მეგობართან ერთად თვალის ერთ დახამხამებაში გაქრა. კარი ისე გაიჯახუნა, მთელი სახლი შეზანზარდა. უცნობი ქალი ძლიერი დარტყმისგან დაეცა და სუ'დი, რომელიც მის უკან იდგა, ქვეშ მოიყოლა. ორივენი ძირს ეყარნენ. სუ'დიმ წამოიყვირა: „ღმერთო, გვიშველე!..“ ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რაც საცოდავს აღმოხდა.

ამ დროს თორმეტჯერ შემოსძახა საათმა: „გუ-გუ, გუ-გუ...“ ხატარი შეცბა, გონს მოეგო და თვალებს არ უჯერებდა, რასაც ხედავდა: სუ'დი, რომელიც მისთვის ყველაზე დიდი ნუგეში იყო, საკუთარი სამშობლოს სახე, ბუნების, სიმართლისა და შეუნილბავი უბრალოების ასული; სუ'დი, რომელსაც გულის ყველაზე ღრმა წერტილიც კი სიყვარულით ჰქონდა გაჯერებული, ახლა მიწაზე ეგდო უმოძრაოდ. მის გვერდით კი იწვა ის უცნობი ქალი, ძალანართმეული და ფიქრჩამქრალი, მიუსაფარი, ღარიბი და საცოდავი. ამ ქალს, რომელიც სურნელოვანი ვარდი იყო თავის მიწაზე, ეგონა, ზღვების გადაღმა უფრო ჯანსაღ და მდიდარ მიწას ნახავდა და აი, ის ახლა ახალ მიწაზეა, უსუნო, უფერო, ეკლებით და დამჭენარი ფურცლებით!.. რომც მოენდომებინა თავის მიწაზე დაბრუნება, ამას ვეღარ შეძლებდა, უკან დასახევი

გზა მოჭრილი ჰქონდა ხუთი ვაჟის დედას, ის ხომ შვილებისთვის ერთადერთი იმედი იყო, რადგან ქმარს ჭიქის აწევის, დალევისა და კარტის თამაშის გარდა არაფერი ეხერხებოდა.

ალისა?!.. ალისა უცნაური ნარევია აღმოსავლურად მოკაზმული სიცოცხლის წყურვილისა და დასავლეთის ხმაურიანი ცხოვრების ზღვაზე მოტივტივე ქაფიანი ბუშტუკებისა.

და თვითონ ხატარი? გამაბედნიერებელი!.. ვინ არის ის და რა საერთო აქვს ამ სანახაობასთან?!.. წარსულის კადრებმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ელვასავით თვალწინ ჩაუარა ხატარს, თავისი თავი მინდორში დაინახა, გუთნით ხელში, ორ ერთგულ ხართან ერთად, ფეხებეში უხვი და რბილი მიწა დაიგულა; მიწის, ბალახების და ყვავილების სურნელება იგრძნო, ყურში ხეების ტოტებზე მოჭიკვიკე ჩიტების ხმა ჩაესმა.

შემდეგ დაბრუნდა და ირგვლივ მიმოიხედა, მარჯვნივ სიკვდილი დაინახა, მარცხნივ – იმედგაცრუება. იმ ქალაქის ხმაური ჩაესმა, რომელსაც არასდროს სძინავს. მოეჩვენა, რომ ქალაქი უზარმაზარი კოშკია, მას იჭერს ათასობით ბორბალი, რომელიც ეშმაკისეული სისწრაფით ტრიალებს. ეს ჯოჯოხეთური ეტლი იმ მთიდან ეშვება, რომლის წვერი ღრუბლებს სცდება, ძირი კი უსასრულო უფსკრულია. ეტლმა წინ ჩაუქროლა და დაინახა, მისი მგზავრები როგორ კბენენ და ჭამენ ერთმანეთს, ხორხოცებენ, ღრიალებენ, ერთმანეთს უსწრებენ, მაგრამ საით მიეჩარებათ, თვითონაც არ იციან. განა იქ მიდიან, სადაც სურთ?!.. არა!.. იქ, სადაც ეტლს მიჰყავს!..

მილიონ ადამიანს შორის ათასობით თავისნაირი დაინახა, სურვილებმა და ილუზიებმა რომ ამოაყოფინეს თავი იმ მგზავრთა შორის. ზოგიერთი წინ წასულთა ფეხებმა გადათელა, სხვები ეტ-


ლის ბორბლებს მოეჭიდნენ და ზუზუნით ჩაიქროლეს გაბრუებულებმა და გაკვირვებულებმა. უკან იხედებიან, გაქცევა და დაბრუნება სურთ, მაგრამ გზას ვეღარ პოულობენ. მწვერვალიდან ათასობით ბორბალზე შემდგარი და დაშვებული ეტლის თავზე ხატარმა უზარმაზარი საათი დაინახა, საათის მალლა – ფანჯარა, საიდანაც დროდად-რო გამოდიოდა დიდი მექანიკური ჩიტი და კოშკის ბინადართათვის გაჰყვიროდა: „გუ-გუ, გუ-გუ!“ ხალხი კი მუხლს იყრიდა საათის წინაშე.

ხატარი სუ'დის წინ მოდრკა, შემდეგ მის გვერდით უცნობ ქალს მიუბრუნდა, ცრემლები ახრჩობდა, ქალს უთხრა: „ზუმრუდ, მომეხმარე!“ სუ'დის სხეული წინა ოთახში გადაასვენეს.

აქ გაჩერდა ჩემი მთხრობელი, ლრმად ამოიოხრა, გასწორდა და თქვა:

– და დღეს, ჩემო ძმაო, შენ გიყვები გუგულის საათის ისტორიას და უნდა დაიჯერო ის, რადგან მისი მთხრობელი თავად ხატარია!

არაბულიდან თარგმნა
ნინო სურმავამ



တော်မြန်မာရှိသူများ

აბდულჰაკ ჰამიდი

(1851-1937)

პოემა „საფლავი“ აბდულჰაკ ჰამიდმა გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა. იგი პოეტის პირველი ვრცელი ლირიკული პოემაა, რომელსაც ექსპრესიისა და ემოციური ზეგავლენის ძალით თურქულ ლიტერატურაში ბადალი არ მოეპოვება. ჩვენ ხელთ გვქონდა ამ ვრცელი პოემის (2360 მისრა) მცირე ნაწილი (189 მისრა), რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.¹

საფლავი

მე მიძნელდება ამ მიწაზე პოვნა ადგილის,
რადგან ალარ მყავს საყვარელი, მეგობარი დავკარგე გულის.
ახლა აქ მყავდა და ხელიდან გამომეცალა თითქოს უეცრად.
ის მარადიულ სამყაროდან მოვიდა ქვეყნად და
მარადიულ სამყაროში წავიდა კვლავაც.
მე წამოვედი, ის ცივ სამარეს მივაბარე და დავტოვე მარტოდ, ეულად.
ბეირუთში დარჩა მხოლოდ საფლავი ცივი – მეგობარის ჩემის გულისა.
სად ვეძებო გულწარმტაცი მიჯნური ჩემი?
ან ვის მოვკითხო სიყვარულის ჩემის ამბავი?
უზენაესო, შენ მაუწყე, სად არის იგი;
ვინ მარგუნა მე ხვედრი მძიმე, მამცნე, უფალო.
მეუბნებიან, მეგობარი დაივიწყეო, წავიდა იგი და
არასდროს დამიბრუნდება.
ძალმიძს განა, დავიჯერო ეს რეალობა, შემიძლია,
შევურიგდე მე ამ სიმართლეს?
აშკარაა ჩემი სწრაფი ფერისცვალება,
უკვე საკუთარ თავსაც ვეღარ ვცნობ.
რასაც კი ვხედავ, საფლავია იგი (მხოლოდ) ჩემს თვალში
და შიგ მე ვხედავ მხოლოდ სახეს ჩემი საყვარლის.
უძილო ღამე დიდ ტანჯვას და ვაებას იტევს,
დრო ვერ ანელებს ტკივილსა და დარდს
და ჩემი ხვედრი, მეტად მძიმე, მე ჯერ არ ვიცი,
როდის განუჩენს ამ ჩემს ტანჯვას აღსასრულის უამს.
ფატმა, აღსდეგი მაგ საფლავიდან,
კვლავაც განაგრძე შენ ცხოვრება ჩემს არსებაში.
თუნდ ერთი სიტყვით მიმანიშნე მე საიდუმლო,
სიტყვით, რომლის გაგონებაც მე ძლიერ მინდა.
კვლავ გამიღიმე ვარდის ღიმილით
და მაგ ღიმილით განმიკურნე წყლულები გულის,

¹ პოემის რამდენიმე სტროფი, თარგმნილი სერგი ჯიქიას მიერ, დაბეჭდილია კრებულში „არმალანი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977

შენი მზერით, ნაზითა და ალერსიანით, შენი სიცილით
სრულყავ დღეები ჩემი სიცოცხლის.

საფლავი – ჩვენი ყოფის საიდუმლოს ეს დასასრული,
უზენაესის საიდუმლო შესანიშნავი.

მისი სინათლე ჩვენ სასთუმალს გვიმზადებს ძილის,
აი, ჩვენ ვწევართ და გულს გვაწევს სიმძიმე მიწის.

ბორცვთა შორის ყველა ბორცვზე ამაღლებული;
ო, ეს საშიში ჭეშმარიტება,
კაცთ გონებისთვის შეუცნობი, მიუწვდომელი,
თუმც აშკარაა ამა ქვეყნად მისი დიდება.

სამკაულია განა ფარდის ეს ფანტაზია?
ანდა რომელი ჭეშმარიტი ნიმუში მნახე?

არ დასრულდება სატანჯველი ამა სოფლისა?

ლოცვას აღვალენთ ჩვენ შენდამი, უზენაესო!
გთხოვ, დაასრულო ეს წამება და შვება მოგვცე,
შენი შექმნილი რეალურის მცნობლად გახადო.

ვირწმუნეთ, რომ ხარ შემოქმედი ჩვენის არსობის
და მხოლოდ შენში ირეკლება ჩვენი წუხილი,
რაკი არსებობ, საიქიოც არსებობს, ალბათ,
მწყალობელი ხარ, მეუფეო, ჩვენ ესეც ვიცით.

ვიცი, შენამდეც მოაღწია ჩემმა ამბავმა,
სიყვარულს ჩემსას რადგანაც შენ ხსნა ვერ მიეცი,
შეგთხოვ, ხელახლა შთაბერო სული.

უსარგებლოა ჩემი ჯაფა, ჩემი ვაება,
შენ ხარ მცნობელი ერთადერთი მხოლოდ ყოველის.
მე კი რას ვაქნევ სიდიადეს ადამიანის.

ლოცვას არ ძალუძს, მომიტანოს მე სარგებელი,
მიწამ წაილო ჩემი ლოცვები.

ხომ დაგინახეთ, რაც ყოფილხარ, უზენაესო.
ეი, ვითომ ხსნას აძლევ ხომ ავადმყოფებს.

ჩემი თავი რომ კაცი მეგონა, შენ დამანახე ყოველი ნაკლი,
არარაობა ვყოფილვარ მე, პირუტყვი,
ვაგლახ! გამაშიშვლე ქვეყნის წინაშე.

სატრფოვ, ასეთი რა მოგივიდა,
ჩემ გვერდით იყავ და ნეტავ ახლა რა დაგემართა?

ცხოვრებაში ხომ ჩემი მოყვარული იყავ.
უმწეო ვარ, ისე ვით არს შენი ცხოვრება,
შენ რომ მოკვდი, სწორედ მითაა ჩემი ვაება.

რაც რომ მოხდა, იმ მშვენიერ ერთ წამში მოხდა
და ფიცი ჩემი, რომ მეც შენს გზას დავადგებოდი,
დრო გადის, მაგრამ დაპირებად დარჩა ის კვლავაც.
ღმერთო, შეგთხოვ, რომ კვლავ მიჩვენო ეს ანგელოზი.
ასეთი თუნდაც რომ მომიწყო გამოცდა ერთხელ:
რომ ამოვიდეს კვლავაც მთვარე,
ნათელი და მენი სხივი მოეფინოს არეს.

განმიცხადე სასურველი ცხოვრება ჩემი,
მარქვი, რა არის მომავალი კაცობრიობის.
ჩემი სული მის სულს შთაბერე ან
მიწას მისას შეურიე, გთხოვ, ჩემი სული.
სამშობლოც ჩემი განმერიდა თითქოს უეცრად,
უცხოობაში დავრჩი მარად, ყარიბად ვიქეც.
თუნდ რომ ერთი დღით არ მომეკრა სატრფოსთვის თვალი,
თვით ერთი წამი განშორების სამძიმო იყო,
ან განშორების სნეულებას მე ვერ გადვურჩი,
მით მე სული დამისახირდა.
ის შეიგრძნობდა, რა რისხვაა სამარისაგან მოგვრილი ჩემში,
რომ დავენახე საიქიოდან.
ის მეგობარი იყო ჩემი, არ ჰყავდა ტოლი,
მე მომევლინა სულის მეურნალად.
დღეს ის აღარ მყავს ჩემად ნუგეშად
და ეს სამყაროც მეუცხოება.
უცხო ქვეყნად ჩვენი ყოფის დასასრული ესაა ნუთუ.
ნეტავ შენამდის შევმდგარიყავ იმ დიად გზაზე,
მარადიულის საუფლოსკენ რომ მიგვიძლვება,
თუ ჩემი ხვედრი ამას მიქადდა.
ღმერთო, მაუწყე, მოვკვდე, თუ სხვა ვიღონო მე რამ,
ძალმიძს სიცოცხლე სატრფოსაგან მოშორებულსა?
უბედურებამ, შენ რომელიც თავს დამატეხე,
მე სიყვარულს გადამამტერა.
ნუთუ არ სწყალობ მონას შენსას, უზენაესო?
მაშ, ეს სიკვდილი ნაადრევი არ არის განა?
მე ის დავკარგე სამუდამოდ და ვეღარასდროს ვიხილავ კვლავაც.
ეს მოხდა მაშინ, როს მეჯნუნივით სიყვარული მე მისი მწვავდა.
ფატმა, წახვედი შენ უჩემოდ ამა სოფლითგან,
ან ჩემი გული შენ გარეშე იცოცხლებს განა?
და მე სიცოცხლე, ან სიკვდილი, ან აგონია მომელის თუკი,
ოღონდ რაიმე შეიცვალოს – მე თანახმა ვარ.
შენა ხარ ვარდი უეკლო,
შენ სიცოცხლე ხარ, ლალი, სვიანი,
რად მინდა მე ეს ქვეყანა მდელოს გარეშე,
რად მინდა მე ეს ქვეყანა მდელოიანი.
ამოიზარდონ ქმნილებები დედამიწიდან,
თბილმა ნიავმა თვისი ალერსი მოჰყინოს რიყეს,
ტანჯვა მჭირდება, ყველაფერში ცვლილება მინდა,
ციდან კვლავ უკან დაგვიბრუნდეს ლოცვები ჩვენი.
დღითი დღე ჩემი ჯანმრთელობა უარსედება,
გული ათასგვარ სიმწრით აივსო
და თუ ხანდახან ჩემი სახე ღიმილსაც სახავს,
შინაგანად ეს გული ტირის
და დარდი ჩემი ამ ღიმილით არს დაფარული.

მაშინ მე ყველა ბედნიერად, მხიარულად მთვლის,
 ეს კიდევ უფრო მიძლიერებს უიმედობას
 და კიდევ უფრო მიცხოველებს ამ ჩემს სიყვარულს.
 სად დაიკარგა ჩემი ჯაფა და ჩემი შრომა,
 შენ ყვავილები გეტყვიან ამას.
 ჩემს გულის მსგავსად, საფლავის ქვავ, შიგ დამარხულს
 ეს სინათლე თუ ხვდება ნეტავ?
 ანდა ვინ ელის იქ ამ ნაყოფს? მარქვით, ჩიტებო.
 ო, სულო, გახსენ ცის კამარა?
 მაგ კეკლუც სხეულს ძიგნიან მგლები,
 თუ ანგელოზი პატიჟებენ ცად წასაყვანად?
 ეს გაზაფხული შენ ხარ, სატრფოვ,
 ეს ზღვაც და მიწაც,
 ზოგჯერ ხეებში მქროლი ნიავიც შენა მგონიხარ
 და ის ცრემლიც, თვალთაგან რომ ჩამომდის მტირალს,
 ხოლო შენს საფლავს როს დავინახავ, მაშინვე ვხვდები:
 შენ დარაჯი ხარ ჩემის საფლავის,
 ჩემს სიკვდილს რომ ელის დღემუდამ.
 კუბო... საფლავისკენ გზის გამკვალავი,
 კუბო... დალონებული ქადაგი,
 კუბო... მდუმარე მეტყველი,
 კუბო... განსხეულებული სიცივე,
 კუბო... თავიდან ბოლომდე სიჩუმე,
 კუბო... გამეორებული უბედურება,
 კუბო... ჯიუტი სიცარიელე,
 კუბო... მოსიარულე საფლავი.
 ჩვენი სულები მსგავსი იყო, ჩვენ ვმეგობრობდით,
 მე ძმა ვიყავი მისი ერთგული,
 ეს ძმობა ხომ დიდ სიყვარულს იტევდა წმინდას,
 ეს მეგობრობაც იზრდებოდა დღითი დღე ძლიერ.
 ბედნიერი და მხიარული ანგელოზი იყო ის ჩემი.
 მდგომარეობის შესაბამისი იყო ყოველთვის ჩემი ქმედება.
 თუმც ცოლი იყო იგი ჩემი, ქალიშვილივით ვხედავდი მაინც
 და დედასავით ვექცეოდი, როს ბავშვი იყო ჯერ კიდევ იგი.
 მე გავასრულე ჩემი კვნესა, რომ მკვდართა სულებს
 ზედმეტად აღარ დავურღვიო მე მშვიდი ძილი.
 გულის სიღრმიდან მოდიოდა ყველა ეს ოხვრა
 და ჩემს ყურებსაც არაფერი გაუგიათ ამ ოხვრის მეტი.
 ახლა კი ვრჩები სიჩუმეში განმარტოებით,
 სულის მეგობარს დასტრიალებს კვლავ ჩემი ფიქრი.

თურქულიდან თარგმნა
 ასმათ ჯაფარიძემ

რეშათ ნური გუნთექინი

(1889 – 1956)

რეშათ ნური გუნთექინი დაიბადა სტამბოლში, სამხედრო ექიმის ოჯახში. მიიღო უმაღლესი ლიტერატურული განათლება. იყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პედაგოგი. წერდა რომანებს, მოთხოვნებს, პიე-სებს. თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთებში; კრიტიკული წერილებით აქტიუ-რად ეხმიანებოდა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებს. მუშა-ობდა სახელმწიფო თანამდებობებზე; გუნთექინის, როგორც მწერლის, მთა-ვარი ინტერესის საგანი იყო ადამიანის ცხოვრება და ადამიანური ურთიერ-თობები მოცემულ გარემოში.

რეშათ ნურიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკური პერიო-დის თურქული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

სასიყვარულო პარაটეპი

ერთ საღამოს სკოლიდან დაბრუნე-ბულმა რასიმმა წერილი მიიღო. კონ-ვერტში მოთავსებულ ყვავილიან ფურ-ცელზე ახალი თურქული შრიფტით ნა-ნერი შემდეგი სტრიქონები ამოკითხა: „რასიმ ბეი, მე ვარ გოგონა, რომელიც თქვენ შორიდან გეტრფით. თამამად შე-მიძლია გითხრათ, რომ ძალიან ლამაზი ვარ. ჩემი ერთადერთი ოცნებაა, შემიყ-ვაროთ და ცოლად შემირთოთ; იმის გა-მო, რომ ჯერ კიდევ პატარები ვართ და ეს შეუძლებელია, ვფიქრობ, რამდენიმე წელი მოცდა მოგვიწევს. ჯერჯერობით ვინაობას არ გაგიმხელთ;“ მისა-მართზე დაზღვეული წერილები გამო-მიგზავნეთ. მე ძალიან მკაცრი მამა მყავს; ქუჩაში დიდი ხნით გასვლის უფ-ლებას არ მაძლევს. იქნებ მოვახერხოთ და ერთ დღეს რამდენიმე წუთით მაინც შევხვდეთ ერთმანეთს. თავს უკვე თქვენს შეყვარებულად და დანიშნულად მივიჩნევ; ამიტომ არ მგონია, უხერხული იყოს ჩვენი შეხვედრა. სახლში მარტო ყოფნა ძალიან მომბეზრდა; თქვენი წე-რილები ჩემთვის დიდი ნუგეში იქნება.“

რასიმისთვის, ისევე, როგორც თექვსმეტი წლის ყველა მოზარდის-თვის, ცხოვრებაში სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერი იყო; როგორც კი წერილი ნაიკითხა, გულში ცეცხლი ჩაუვარდა; მთელი არსებით შეუყვარდა უცნობი გოგონა. იმ საღამოს კინოში უნდა ნასულიყო. გადაიფიქრა, თავის ოთახში განმარტოვდა და გრძელი წე-რილი მისწერა შეყვარებულს. კონვერ-ტი საფოსტო ყუთში რომ ჩააგდო, ისე-თი სიამაყის გრძნობა დაეუფლა, თით-ქოს უცებ ათი წლით გაიზარდა.

გოგონა, რომელსაც სახელად ბე-დია ერქვა, დაუყოვნებლივ პასუხობდა რასიმის მიერ გამოგზავნილ სასიყვა-რულო ბარათებს. თუ ვაჟის წერილი რამდენიმე დღით დაიგვიანებდა, ერთ ამბავს ატეხდა: „ნუთუ შეიძლება, პასუ-ხი დაუგვიანოთ ადამიანს, რომელიც გამოგიტყდათ, რომ თავდავიწყებით უყვარხართ და თქვენი წერილების გარ-და ვერაფერი ანუგეშებს?! თანაც ძალი-ან მოკლედ მწერთ... და კიდევ: თქვენი ნაწერის ნაკითხვა ცოტა მიჭირს; თუ

შეიძლება, უფრო გასაგებად წერეთ.“

რასიმი საღამოობით თავის ოთახში იკეტებოდა; გოგონასთვის რომ თავი მოეწონებინა, საათობით იქექებოდა წიგნებში; წერილებს ჯერ შავად წერდა, შემდეგ ათეთრებდა.

ბედია საკმაოდ ცნობისმოყვარე აღმოჩნდა; ზოგჯერ ასეთ რამესაც ეკითხებოდა: „თაფლობის თვის გასატარებლად იტალიაში წავალთ თუ შვეიცარიაში? ნეტავ, როგორია ეს ორი ქვეყანა? როგორ ცხოვრობს იქ ხალხი? რას საქმიანობენ? რომელ ზღვებს ან ქვეყნებს გავივლით, იქ რომ გავემგზავრებით?“ ან კიდევ: „აბდულჰაკ ჰამიდის „ემბერი“ თუ წაგიკითხავთ? მითხარით, რომელი ადგილები მოგეწონათ ყველაზე მეტად და მეტ წავიკითხავ“....

შეყვარებულის წინაშე თავი დამცირებულად რომ არ ეგრძნო, ვაჟი გაუთავებლად ფურცლავდა გეოგრაფიისა და ლიტერატურის წიგნებს; ცდილობდა, გოგონასთვის საინტერესო ინფორმაცია მოეპოვებინა.

ერთ წერილში ბედია კიცხავდა: „გადავწყვიტე, შეგხვედროდით; გუშინ, სკოლიდან რომ ბრუნდებოდით, გზაში გელოდებოდით; საშინლად გამოიყურებოდით. ალბათ, დაგავიწყდათ, რომ შეყვარებული გყავთ. ერთიანად ტალახში იყავით ამოსვრილი. როგორც ჩანს, მეგობრებთან ბავშვივით ჭიდაობდით. ასეთ მდგომარეობაში რომ დაგინახეთ, თქვენს შერცხვენას მოვერიდე და არ მოგიახლოვდით.“

რასიმი საშინლად შეწუხდა; იმ დღის შემდეგ განსაკუთრებულად ზრუ-

ნავდა საკუთარ გარეგნობაზე.

ბედიამ ერთხელ იმის გამოც უსაყვედურა, რომ სკოლიდან დროზე არ ბრუნდებოდა და საღამომდე ქუჩაში დაეხეტებოდა. იმ დროს, როცა მისი შეყვარებული სახლში მარტო იჯდა და მონატრება ტანჯავდა, იქნებ რასიმი სხვა გოგონებთან ერთად დასეირნობდა?!

ვაჟი ეფიცებოდა, რომ მის გარდა სხვას არასოდეს შეიყვარებდა. იგი ქუჩაში ხეტიალსა და გოგონებისკენ გახედვას ვეღარ ბედავდა. ერთ საღამოს რასიმის დედამ, ნედიმე ჰანიმმა ქმარს, აპმეთ ბეის, შეწუხებულმა შესჩივლა:

— დავიღუპეთ, ბატონო. ჩვენს ვაჟს ვიღაც გოგო, სახელად ბედია, გადაეკიდა; მოსვენებას არ აძლევს. დღეს, სახლს რომ ვალაგებდი, მის ოთახში წერილები ვიპოვე. შვილი ხელიდან გვეცლება... იღონე რამე...

აპმეთ ბეის ეს სიტყვები არ გაჰკვირვებია; პირიქით, ჩაიცინა და ცოლს მშვიდად, ხმადაბლა მიმართა:

— ნუ გეშინია, ქალო; გოგონა, რომელიც რასიმს სასიყვარულო ბარათებს უგზავნის, მე ვარ. ჩვენი შვილის უსაქმურობას ბოლო არ უჩანდა; მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, ვერც მასნავლებლები და ვერც მე ვერაფერს გავხდით; წესიერად წერაც კი ვერ ვასწავლეთ. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ეს გამოსავალი მოვძებნე... დარწმუნებული ვარ, რასიმი გოგონასთვის მიწერილი ბარათების წყალობით წერასაც ისწავლის და შემდეგ კლასშიც გადავა. სიმართლე თუ გინდა, ერთ დროს ძველი შრიფტი მეც შენი წერილების წერით ვისწავლე.

თურქულიდან თარგმნა
მერი წიკლაურმა

ომერ სეიფედინი

(1884-1920)

თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ომერ სეიფედინი დაიბადა გონიერი (ბალიქესირი). სამხედრო განათლების დასრულების შემდეგ მუშაობდა პოლკის მეთაურად. ეწეოდა პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას; თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთებში; თავგამოდებით იცავდა ენის ხალხურობასა და ლიტერატურის ეროვნულობას. მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, ომერ სეიფედინმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა თურქ ხალხს. მას ეკუთვნის არაერთი ლექსი, რამდენიმე რომანი და მოთხოვების ათი კრებული.

ომერ სეიფედინი თურქული ნოველის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მხატვრული სიტყვის აღიარებული ოსტატია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

აპენდიცი

ვახშამზე ქლიავის კომპოტი მოიტანეს. პატარა, ყვითელი მარცვლები ისეთი გემრიელი იყო, რომ... ჩქარ-ჩქარა ვჭამდი და კურკებს ყურადღებით ვაცლიდი. ბოლოს თევშის ფსკერზე დარჩენილი ოთხი ცალი ქლიავი კოვზით ავიდე და ერთიანად გავიქანე პირში. ერთ ლუკმად დადნა. კურკები თევზზე გადმოვყარე; მხოლოდ სამი ცალი აღმოჩნდა... მაგრამ პირში რომ ოთხი ქლიავი ჩავიდე?!.. ნეტავ, ერთი ცალი შეუმჩნევლად ხომ არ გადავყლაპე-მეთქი, გავიფიქრე. არა, ამას აუცილებლად ვიგრძნობდი. თუ ასეა, ერთი ქლიავი უკურკო ყოფილა. ყავას ვსვამდი და ვფიქრობდი: შეიძლება, ქლიავი უკურკო იყოს? მთელი ღამე ვერ დავიძინე; ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ კურკა, რომელიც პირიდან გამოღებისას დამაკლდა, გადავყლაპე.

კურკას კუჭი ვერ გადაამუშავებს; ეს კი შეიძლება ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდეს. არა, შეიძლება კი არა,

ნამდვილად გახდება! ბრმა ნაწლავში მოხვდება, იქ ჩარჩება და ანთებას გამოიწვევს. ბრმა ნაწლავის ანთება კი იგივე აპენდიციტია...

თვალწინ წარმომიდგა საოპერა-ციო მაგიდა, პრიალა ლანცეტები, ქლოროფილმის ბოთლები, ყასბების მსგავსი თეთრხალათიანი ქირურგები... მარჯვენა მხარეს ძლიერი ტკივილი ვიგრძენი. მაგრამ ასე სწრაფად, ღმერთო ჩემო?! საჭირო იყო, როგორმე თავი დამემშვიდებინა: ეს მხოლოდ ფანტაზია-მეთქი, გავიფიქრე და ვეცადე, დამძინებოდა.

დილით მუცელი თითქოს შებერილი მქონდა. მარჯვენა მხარეს ისე მტკიოდა, ხელს ვერ ვიდებდი.

საჭმელი არ მიჭამია. გარეთ გავედი; ფეხით სიარული სახიფათოდ მივიჩნიე და ტრანსპორტში ჩავჯექი; სირქეჯისკენ გავეშურე. ერთი ნაცნობი ექიმის ამბულატორიაში მივდიოდი. შემთხვევით შევიხედე სასადილოში,

რომელსაც წინ გავუარე. უცებ ჩემს ნაცნობ ქირურგს მოვეარი თვალი; გვერდით მჯდომ შავგვრემან კაცს ელაპარაკებოდა; თან დიდი თეფშიდან ბალს მადიანად შეექცეოდა.

შიგნით შევედი: „ოჳ, ექიმო, ძალიან მჭირდებით-მეთქი”, ვუთხარი. გამიღიმა: „დაბრძანდით, ამას დავამთავრებ და ერთად გავიდეთო”, მიპასუხა. დავჯექი; ჭამდა და გვერდით მყოფს ზეითუნის ზეთის შესახებ რაღაცას უყვებოდა. მაგიდაზე ერთი კურკაც არ იყო. უცნაურია! მაგიდის ქვეშ შევიხედე, არც იქ იყო. კარგად დავაკვირდი. ექიმი პირში ჩადებულ ბლის მარცვლებს კურკას არ აცლიდა. დიდი თეფში დაცარიელდა. ბალი ერთ კილოზე მეტი იქნებოდა.

ქირურგი, რომელსაც პატარა და მოგრძო თავი, ვიწრო შუბლი და ძალიან დიდი პირი ჰქონდა, საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებოდა. ლოყების სინითლე და მრგვალი თვალების ციმციმი მისი სახის სიუშნოვეს ცოტათი ამსუბუქებდა. სიგარეტს მოუკიდა; მზერა თეფშის ფსკერზე დარჩენილ მღვრიე წყალზე გადაიტანა, რომელშიც ბლის ყუნწები ეყარა. ექიმი სკამის საზურგეს მიეყ-

რდნო; მე გაოცებით მივაჩერდი მის გაბერილ მუცელს. დიახ, ამ მრგვალ, მსუქან სხეულში, სულ მცირე, ნახევარი კილო კურკა მაინც იქნებოდა.

ვკითხე:

– ძვირფასო ექიმო, სად არის თქვენი ბლის კურკები?

– ო, მეგობარო, გადავყლაპე, – თან დაამატა: – ბალს თუ კურკა გამოვაცალე, გემოს ვერ ვუგებ. პატარობიდან ასე ვარ...

– კარგი, მაგრამ აპენდიციტის არ გეშინიათ?

– რა აპენდიციტი?! ეს ძველი შეხედულებაა, ჩემო კარგო, ბლის კურკები აპენდიციტს არ იწვევს.

დაუდევარი ექიმის მიერ ნათქვამმა ამ კატეგორიულმა სიტყვებმა ტკივილი დამიამა. მაშინვე ფეხზე წამოვდექი... საოცარია... ვიგრძენი, რომ მშიოდა; შარვლის ქამარი მოშვებული მქონდა; მარჯვენა მხარეს ტკივილის შეგრძნება მთლიანად გამქრალიყო. სულ დამავიწყდა ექიმი და მასთან მისვლის მიზეზი. ოფიციანტს შევეხმიანე:

– მეც მომიტანეთ ბალი...

**თურქულიდან თარგმნა
ნინო გორგაძემ**

შვილებსა და შვილთაშვილებს (თურქი პოეტები პატარებს)

„არმაღანის“ მკითხველს ვთავაზობთ სახელოვანი თურქი პოეტების ოცდაათამდე საბავშვო ლექსს, რომელიც მას ზოგად წარმოდგენას შეუქმნის იმ ლიტერატურულ პროცესზე, გასული საუკუნიდან რომ იღებს სათავეს და დღესაც უდიდესი წარმატებით ხორციელდება. ეს ლექსები სხვადასხვა ასაკის მოზარდებზეა ორიენტირებული და მათი გაცნობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს პატარებს, ხოლო უფროსებისთვის საუკეთესო სასწავლო-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულების ინსტრუმენტია. შემთხვევით არ წერს ცნობილი თურქი პოეტი იალვაჩ ურალი, რომ „წიგნი ბავშვის ფანტაზიის სამკაულია“, რადგან ის პარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში ეხმარება ჩვენს პატარებს. იალვაჩ ურალი დაიბადა 1945 წელს და დღემდე წარმატებით მოღვაწეობს ლიტერატურის ასპარეზზე, ისევე, როგორც 1973 წელს დაბადებული ბულენთ ოზჯანი.

ოქთაი რიფათი (1914-1988)

ვარსპოლავები

წიგნთან რვეული,
რვეულთან ჭიქა,
ჭიქასთან ბავშვი,
ბავშვთან ფისო და
უსაზღვრო ცა –
ასპარეზი წვრილ-წვრილ
ვარსკვლავთა.

თვითმფრინავები

თვითმფრინავები რომც მოფრინდნენ,
არ მეშინია.
ქალალდისაგან გაკეთებულ ამ ჩემს ხომალდებს,
კალისაგან დამზადებულ მამაც მეომრებს –
საბრძოლველად გამზადებულებს,
თუკი ისევ გამიფუჭებენ,
ჩემი მამიკო
მაშინათვე მიყიდის ახალს...

პეიზაჟი

სურნელოვან წითელ ყვავილს
ახვევია გარს ფუტკარი.
და როგორც კი გაიფიქრებ,
რომ ყაყაჩოს სიკეკლუცემ
მიგიზიდა მთელი ძალით,
მაშინათვე გაიხსნება
ცათა კარი.

უკვდავება

უწინ, ძველად, ძალზე შორს –
ასაფრენად გამზადებული ჩიტი.
ჩვენი სახლის კარზე
ზღვისებრ მოშრიალე ზარი.
გამარჯობა, ქარაბაშ,¹
ნეტა, ჩემი რად არ ხარ?

¹ ქარაბაში – მეცხვარის ძალლი თურქეთში

ნავსაყუდელი

ზღვას გავხედავ და
მოგონებად დამრჩება ნავი.
ხეს რომ ავხედავ –
ღრუბელი და:
ჰო, კარგი, კარგი –
ნავსაყუდელი

პური და ვარსკვლავები

პური მუხლებზე,
ვარსკვლავები შორს,
უსაზღვროდ შორს.
პურს მივირთმევ და
შევყურებ ვარსკვლავს.
ისე მიტაცებს,
არა მკითხო,
განცვიფრებული,
პურის ნაცვლად,
რატომა ვკბეჩ
ხანდახან ვარსკვლავს.

ორჰან ველი (1914-1950)

ჩიტპატონა

გულჭრელო ჩიტო, ბავშვობაში
ჩვენი ბალის ქლიავის ხის
ცაში აწვდილ ტოტს შემოჯდარი,
ვხედავდი, როგორ დასტრიალებდი
მახეს, დაგებულს შენთვის.
და...
ჩიტბატონას სულაც არ ჰგავხარ
მშვენიერებით,
ვფიქრობდი ჩემთვის.

შინდი

პირველი ნაყოფი,
სამიოდ კუმპალი
წელს გამოიღო შინდმა,
მომავალ წელს ხუთ ცალს მოიწევს;
და გაგრძელდება ასე ცხოვრება.
ვნახოთ ერთი, მომავალში
რა გველოდება.

ადამიანი

ო, როგორ მიყვარს ადამიანი,
კაცი, რომელიც გადასაღები ქაღალდების
ფერად, მარტივ სამყაროსავით,
ქათმებთან და კურდღლებთან ერთად,
ძალლების და ხარების გვერდით
მცხოვრებ კაცსა ჰგავს.

შ06

ჩემო ფანჯარავ, ფანჯრებს შორის ტოლი არა გყავს;
სხვა რომ არ იყოს, აკვირდები ჩიტებს გაფრენილს;
დარჩენილო ოთხი კედლის ამარა.

ლექსი ფრენა-ფრენის

გავიღვიძე და ვხედავ, ერთ დილით
მზე შემოჭრილა ჩემში;
ჩიტებს და ფოთლებს დავაკვირდი
გაზაფხულზე და ვხედავ, დაფრენენ ტყეში.
ჩიტებს და ფოთლებს დავაკვირდი და
ვხედავ ფორიაქს ტევრში;
ჩიტებს და ფოთლებს
მთელი მათი დიდებულებით.

სილამაზე

ვიშ, რა ლამაზი, რა კარგია
ფერი მდინარის
დილ-დილობით,
როცა დარია.

ვიშ, რა ლამაზი, რა კარგია
ნაკადული და
პატარა ბიჭი,
როცა ლალია.

მელიჼ ჯევდეთ ანდაი (1915-2002)

ხვალისათვის

ყველა საქმე ხვალისათვის გადაიდო,
მიძგერს გული სიხარულით,
ცოტა, ცოტა, კიდევ ცოტა, რადგან ისევ...
არემარეს მზე დაჰპატის სიყვარულით.

სტუმრად

სტუმრად რომ მივალ,
სუფთა ლოგინს გამიშლიან და
საკუთარი სახელიც კი დამავიწყდება,
უმალ ტკბილად ჩამეძინება.

ხე და ფოთლები

რომც მოინდომო, ვერ შეწვდები,
რადგანაც მხოლოდ ეკუთვნით ჩიტებს,
მზესა და ღრუბლებს.
შემოჯარული ხეებს ფოთლები,
არც ერთ ჩვენგანს
არ ანდობს ფიქრებს.

გელურა

სარეცხის თოკზე შემოსკუპულო
მობუზულო ჩიტო, ბელურა,
რატომ დამყურებ, გეცოდები,
რომ გითვალთვალებ და გელოდები,
როდის, სად, როგორ გაფრინდები,
მზესა და ფოთლებს შეფარებული?.

პაპჩეთ ნეჯათიგილი (1916-1979)

08230

გულისყური მიაპყარ
გარეგნობას, სამოსელს,
ზედ არავინ გიყურებს
გაწენილს და ჩაუცმელს.

ბატონი ხარ, ფაშა ხარ
მხრებზე სიასამურით.
ვფიცავ, ჰოჯა ნასრედინ,
ქურქით, ჩემო სიცოცხლევ,
უფრო დიდხანს იცოცხლებ.

ჯაპით ქულები (1917-1997)

წვიმა

გვეპკურე ციდან, ჰე, მადლიანო
შხაპუნა წვიმავ!
განბანე ქვები, ააბიბინე ველ-მინდვრები,
გაულინთე მიწა.

გამქრალა სადლაც დლენი მოწყენის,
გვამხიარულე, აგვახასხასე –
შენით გვეძლევა პური არსობის,
ნუ მოგვეშალოს შენი იმედი,
შხაპუნა წვიმავ!

განბანე ქვები,
შხრიალ-შხრიალით აავსე მიწა,
ხოდაბუნები უკვე გელიან – საზრდო ბავშვების.
გააკრიალე დედამიწის ზურგი ბებერი,
ჰე, მადლიანო შხაპუნა წვიმავ!.

შემოდგომა დგება

შემოდგომა დგება, ბელურა,
რატომ არა წნავ ბუდეს,
ვიდრე კომში აყვავილდება,
ნაყოფს მოიწევს,
სულ სხვაგვარად დაბერავს ქარი,
გაგწუნავს წვიმა.
რატომა ხარ
ესოდენ მშვიდი,
ეს მაინც მითხარ.

ავტოპუსი

ჰე, შარაგზებზე
ლალად რომ დაქრი
ახალი ძარით,
ქალწულივით უზადო ძრავით,
ბენზინის სუნით,
საღი ბორბლებით.
მძღოლი რომ ვიყო,
გატარებდი სულ ფრენა-ფრენით!

მუსტაფა ილჰან გეჩერი (1917-2004)

სიყმაწვილე

რა მოხდება, ბავშვებო,
თქვენი ტოლი რომ ვიყო.
ფიქრებით, ოცნებებით
ლალი პეპელასავით
ღრუბლებს გაკიდებული.

გაკნაჭული მკლავებით,
ხასხასა იმედებით,
დაუდგრომელ სიცელქით
ქარებს ადევნებული.

დროის სამანს ეხებით,
სხარტი, მხიარულები.
ცხოვრების გზებს დაეძებთ
თვალებანთებულები.
კაცთა ჭაპანწვალებას
ვერა გრძნობენ სრულებით
თქვენი ნორჩი გულები.

თქვენშია სიხასხასე,
ნროველი გრძნობა თქვენშია,
თქვენშია სილაუვარდე,
ქარი, ცა და ზღვის ღელვა
– ყოველივე თქვენშია.

თაპსინ სარაჩი
(1930-1989)

დედის დარიგება

ყვავილები არ გასრისო,
ყვავილი ხომ ჩვენს გულსა ჰგავს,
ყვავილს ვინც სრესს, ის კაცსა ჰკლავს.

ჩიტუნებს ნუ ესვრი, შვილო,
დედამიწის დიდ ოჯახში
ფრინველი ხომ შენი ძმაა.

თოფს არ ეთამაშო, ბიჭო,
ხუმრობითაც არ იფიქრო,
ცოცხალ არსებას უმიზნო.

მოდი, შენც ყვავილად იქეც
შენი ქვეყნის ფერთა წნულში,
დედამიწის თაიგულში.

იალვაჩ ურალი
(დაიბ. 1945 წ.)

დიდებსა და საპავშვო წიგნი

კვირის მიწურულს,
როცა წიგნის სახლს მივაშურებ,
იმ დახლთან, სადაც პატარების
წიგნით ვაჭრობენ,
ზორბა ბიძები ყიდულობენ
ყმაწვილთა წიგნებს.
კეთილი, აბა, გამოიცანი,
ჩუმ-ჩუმად და განმარტოებით,
გაზეთსა და გაზეთს შორის,
რად კითხულობენ უფროსები
საბავშვო წიგნებს?

ამ ერთსაც გკითხავ

ძევ ადამისა, ჩემო პანიავ,
ნაგრამი ცხვრისა – ბატკანია,
ირმისა – ნუკრი,
ცხენისა – კვიცი,
აქლემის კი არის კოზაკი.
მგლისა – ლეკვია,
გველის – წიწილი,
და მელისა რატომ არის
მარტოდენ მელა,
ჩემო კუდრაჭავ,
არ გიფიქრია
ამაზე, ნეტავ?

ბულენთ ოზჯანი (დაიბ. 1973 წ.)

იპიონე მეტი

მეტი რომ იცოდე,
წინ რომ წახვიდე,
ცხოვრებას რომ უსწორო მხარი,
იკითხე მეტი!
მშვიდობის და ბარაქისათვის –
გონიერი, ღონიერი ცხოვრებისათვის,
ბედნიერი მომავლისათვის,
იკითხე მეტი!

სიზარმაცეს უნდა ვძლიოთ,
მხოლოდ სწავლის გზას მივსდიოთ,
ლამპარია კითხვა ცოდნის,
ამიტომაც გევედრები,
წაიკითხე უფრო მეტი!

დაგალობანა

დღისით, ლამით – დღედაღამ
მე ვარ “დამალობანა”...
სწრაფად დაიმალე და,
თუკი ვინმე დაგასწრებს,
“ტუკ-ტუკ” – იტყვის უმალვე.

ჭიანჭველა

ხორბლის მარცვალს
ოთხივ ხელით
მოხვევია ჭიანჭველა,
ზარმაცებს და ძილისგუდებს
რომ უყურებს, სწყინს ძალიან.

მუყაითი მწერისგან,
გამრჯე ჭიანჭველისგან
მაგალითი აიღე.
ზარმაცებს და უქნარებს
აბა, მითხარ, პაწიავ,
რა ელით დუნიაზე?

ტკბილო დედა

მშიერს გვაჭმევ,
შიშველს გვმოსავ,
საყვარელო, ტკბილო დედა.
დღენიადაგ ჩვენზე ზრუნავ
– თავს არ ზოგავ.
გვარიგებ და გვაფრთიანებ,
ცოდნასა და ძალას გვმატებ,
ვკისკისებთ და გულით ხარობთ
– ტკბილო დედა.

ფასტუნჯი

ქარიშხალი რომ ამოვარდება,
ზურგზე მოგიგდებს,
სულ არ გატკენს,
ისე ციმ-ციმ
მოგატარებს ზღაპრულ სამყაროს.
პატარები უსაზღვროდ უყვარს,
უკიშინებს: “მიდით, იცინეთ!”
და უზრუნველ ბავშვებთან ერთად
ხარობს, ხითხითებს . . .

თურქულიდან თარგმნა
ქეთევან ტომარაძემ



სომხური ლიტერატურა

კულტურის მელია (სომხური ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დე-
დაბერი.

დედაბერმა თხა მოწველა, რძე
გვერდზე დაიდო და წავიდა ფიჩისა და
შეშის მოსატანად, რათა ცეცხლი დაენ-
თო და რძე აედულებინა. მოვიდა ერთი
მელია, თავი ჩაყო რძის ჭურჭელში და
რძე დალია. დედაბერი ეცა და ცულით
მელიას კუდი მოაჭრა. კუდმოჭრილი მე-
ლია გაიქცა, ერთ ქვაზე შედგა და
სთხოვა:

- ბებო, ბებო, კუდი დამიბრუნე,
მივიკრა და მეგობრებს ისე დავენიო,
რათა არ მკითხონ, კუდმოჭრილო მელი-
ავ, სად იყავიო?

დედაბერმა უთხრა:

- მაშინ რძე მომიტანე.

მელია წავიდა ძროხასთან:

- ძროხავ, ძროხავ, რძე მომეცი,
რომ რძე მივუტანო დედაბერს, დედა-
ბერმა კუდი დამიბრუნოს, კუდი მივიკ-
რა და მეგობრებს ისე დავენიო, რათა
არ მკითხონ, კუდმოჭრილო მელიავ,
სად იყავიო?

ძროხამ უთხრა:

- მაშინ ბალახი მომიტანე.

მელია წავიდა ყანასთან:

- ყანავ, ყანავ, ბალახი მომეცი,
რომ ბალახი მივუტანო ძროხას, ძროხამ
რძე მომცეს, რძე მივუტანო დედაბერს,
დედაბერმა კუდი დამიბრუნოს, კუდი
მივიკრა და მეგობრებს ისე დავენიო,
რათა არ მკითხონ, კუდმოჭრილო მელი-
ავ, სად იყავიო?

ყანამ უთხრა:

- მაშინ წყალი მომიტანე.

მელია წავიდა წყაროსთან:

- წყაროვ, წყაროვ, წყალი მომეცი,
რომ წყალი მივუტანო ყანას, ყანამ ბა-
ლახი მომცეს, ბალახი მივუტანო ძრო-
ხას, ძროხამ რძე მომცეს, რძე მივუტანო
დედაბერს, დედაბერმა კუდი დამიბრუ-
ნოს, კუდი მივიკრა და მეგობრებს ისე
დავენიო, რათა არ მკითხონ, კუდმოჭ-
რილო მელიავ, სად იყავიო?

ხას, ძროხამ რძე მომცეს, რძე მივუტანო
დედაბერს, დედაბერმა კუდი დამიბრუ-
ნოს, კუდი მივიკრა და მეგობრებს ისე
დავენიო, რათა არ მკითხონ, კუდმოჭ-
რილო მელიავ, სად იყავიო?

წყარომ უთხრა:

- მაშინ დოქი მომიტანე.

მელია წავიდა გოგონასთან:

- გოგონავ, გოგონავ, დოქი მომე-
ცი, რომ დოქი მივუტანო წყაროს, წყა-
რომ წყალი მომცეს, წყალი მივუტანო
ყანას, ყანამ ბალახი მომცეს, ბალახი მი-
ვუტანო ძროხას, ძროხამ რძე მომცეს,
რძე მივუტანო დედაბერს, დედაბერმა
კუდი დამიბრუნოს, კუდი მივიკრა და
მეგობრებს ისე დავენიო, რათა არ
მკითხონ, კუდმოჭრილო მელიავ, სად
იყავიო?

გოგონამ უთხრა:

- მაშინ მძივი მომიტანე.

მელია წავიდა მეწვრილმანესთან:

- მეწვრილმანევ, მეწვრილმანევ,
მძივი მომეცი, რომ მძივი მივუტანო გო-
გონას, გოგონამ დოქი მომცეს, დოქი
მივუტანო წყაროს, წყარომ წყალი მომ-
ცეს, წყალი მივუტანო ყანას, ყანამ ბა-
ლახი მომცეს, ბალახი მივუტანო ძრო-
ხას, ძროხამ რძე მომცეს, რძე მივუტანო
დედაბერს, დედაბერმა კუდი დამიბრუ-
ნოს, კუდი მივიკრა და მეგობრებს ისე
დავენიო, რათა არ მკითხონ, კუდმოჭ-
რილო მელიავ, სად იყავიო?

მეწვრილმანემ უთხრა:

- მაშინ კვერცხი მომიტანე.

მელია წავიდა ქათამთან:

- ქათამო, ქათამო, კვერცხი მომე-
ცი, რომ კვერცხი მივუტანო მეწვრილმა-
ნეს, მეწვრილმანემ მძივი მომცეს, მძივი
მივუტანო გოგონას, გოგონამ დოქი
მომცეს, დოქი მივუტანო წყაროს, წყა-

რომ წყალი მომცეს, წყალი მივუტანო ყანას, ყანამ ბალახი მომცეს, ბალახი მივუტანო ძროხას, ძროხამ რძე მომცეს, რძე მივუტანო დედაბერს, დედაბერმა კუდი დამიბრუნოს, კუდი მივიკრა და მეგობრებს ისე დავენიო, რათა არ მკითხონ, კუდმოჭრილო მელიავ, სად იყავიო?

ქათამმა უთხრა:

- მაშინ საკენკი მომიტანე.

მელია წავიდა მეკალოესთან:

- მეკალოევ, მეკალოევ, საკენკი

მომეცი, რომ საკენკი მივუტანო ქათამს, ქათამმა კვერცხი მომცეს, კვერცხი მივუტანო მეწვრილმანეს, მეწვრილმანემ მძივი მომცეს, მძივი მივუტანო გოგონას, გოგონამ დოქი მისცა. დოქი მიუტანა წყაროს. წყარომ წყალი მისცა. წყალი მიუტანა ყანას. ყანამ ბალახი მისცა. ბალახი მიუტანა ძროხას. ძროხამ რძე მისცა. რძე მიუტანა დედაბერს. დედაბერმა კუდი დაუბრუნა. მელიამ კუდი მიიკრა და მეგობრებს დაეწია.

ბალახი მომცეს, ბალახი მივუტანო ძროხას, ძროხამ რძე მომცეს, რძე მივუტანო დედაბერს, დედაბერმა კუდი დამიბრუნოს, კუდი მივიკრა და მეგობრებს ისე დავენიო, რათა არ მკითხონ, კუდმოჭრილო მელიავ, სად იყავიო?

მეკალოეს მელია შეეცოდა. ერთი მუჭა საკენკი მისცა. მელიამ საკენკი ქათამს მიუტანა. ქათამმა კვერცხი მისცა. კვერცხი მიუტანა მეწვრილმანეს. მეწვრილმანემ მძივი მისცა. მძივი მიუტანა გოგონას. გოგონამ დოქი მისცა. დოქი მიუტანა წყაროს. წყარომ წყალი მისცა. წყალი მიუტანა ყანას. ყანამ ბალახი მისცა. ბალახი მიუტანა ძროხას. ძროხამ რძე მისცა. რძე მიუტანა დედაბერს. დედაბერმა კუდი დაუბრუნა. მელიამ კუდი მიიკრა და მეგობრებს დაეწია.

**სომხურიდან თარგმნა
ვერონიკა ხითარიანმა**



სპარსული ლიტერატურა

მას'უდ სა'დ სალმანი¹

(1040-1121)

თითქოს ფშვიაღი სიო კი არ ძრის

ქარმა უანგარო² სინგურს³ შეასხა
და ლორთქო მიწას მისცა სინაზე.
ღრუბლები მორთო, –
იაგუნდები
ჩამოუკიდა ცარგვლის მინაზე.
მოდის რიურაჟი და მინდვრებს თრობის
მომგვრელი ვარდის სურნელი უდის.
სიო საცეცხლურს იქნევს და იქნევს
და საცეცხლურში იწვება უდი.
როგორ ჩაუდგა ზეფირმა სული
იას და სუმბულს,
სოსანს და ტიტას!
თუ სადმე კვირტი ესხა ყვავილებს,
სუყველამ გარეთ გამოიჭყიტა.
იტყვი: რაც ჰერიეს ყვავილი ქვეყნად,
დილის ნიავის მადლით ჰერიესო;
თითქოს ფშვიაღი სიო კი არ ჰერის,
არამედ ძილში ფშვინავს იესო.

ნიავეა მართლა...

ბულბულთა ცისკრის ნამაზის ხმაზე
(სხვა რა ნიშანი უნდოდათ მეტი!)
ტკბილი ძილისგან გამოიღვიძეს
ვარდის კოკრებმა თვალების ფშვნეტით.
ია ტიტის წინ სულ მოიკაკვა,
თითქოს მეპრაბთან⁴ ლოცვა გააბა, –
ეგონა, ტიტის ფურცლების ღრმული

¹ რედაქციის შენიშვნა: მაგალი თოდუას მიერ თარგმნილი ეს ლექსები, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა, „არმალანს“ გადმოსცა მ. თოდუას ქალიმებილმა ხ. თოდუამ.

² უანგარო – „სპილენძისაგან შემზადებული სახატავი“ (საბა).

³ სინგური – გოგირდითა და ტყვიით შემზადებული წითელი ფერის სახატავი.

⁴ მეპრაბი – ნიშა მეჩეთში, რომელიც მლოცველს მექისკენ მიუთითებს.

მიანიშნებდა მლოცველს ქაბას.¹
 ნიავმა მართლა ხომ არ ადარა
 მთავარანგელოზ გაბრიელს თავი,
 თორემ აყალო მიწა სად იყო,
 რომ შობდა ასე საყვარელ ყვავილს?!
 იესოს სულთქმა ხომ არ გამოჰყვა
 ვარდების სუნთქვას ისევ და ისევ?
 თორემ ასეთი ზეცისმიერი
 გონიერებით სულს როგორ გვივსებს?!

გასაოცარი თუ არის რამე

გასაოცარი თუ არის რამე,
 ეს არის ლერწმის ყალმის ბუნება:
 ბრმაა და ირგვლივ ყველაფერს ხედავა,
 ყრუა და ესმის გაფაჩუნებაც.
 მას სხვა ღირსებათ თუ ვადრი რამეს,
 წინასწარმეტყველთ თვისებას ვადრი,—
 არსთავამრიგის განაგებს ხვდება
 და იცის არსის ფასი და ყადრი.
 ყალამს ქრისტეს თუ ვამსგავსებ (თორემ
 მასთან ვერ მოვლენ ადამის ძენიც):
 აკვანში ისეთ სიტყვებს იტყოდა,
 საფეხვნოში² რომ ვერ იტყვის ბრძენი.
 ის მიწამ შვა და მიწამ გაზარდა,
 არ მიჩვევია ვინმეს ლოლიავს.
 მასაც, ვით ქრისტეს, დედა ჰყავს მხოლოდ,
 მამა, ვით ქრისტეს, არც მას ჰყოლია.
 ყველა ბრძანებას იგი წერს და მას
 ემოწაფება ის, ბრძანებს ვინაც,
 დღისით სამელნის რძეს ეწაფება,
 ღამით საკალმის აკვანში სძინავს.
 ჩაკლული აზრის გამოცოცხლება
 თავს იდო და დღეს მისი წესია.
 გასაოცარი არ არის განა:
 სად ლერწმის ლერი და სად – მესია!
 რა დაგიდგებათ თვალწინ, რომ ახლა
 ყალამი ნახოთ თითების ახლოს?
 ყალამი თითზე გადადებული –

¹ მექა – მუსულმანთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში. მუჰამედის მშობლიური ადგილი. მექაშია ქაბის ტაძარი, რომელშიც ინახება მუსულმანთათვის ყველაზე სანუკვარი სალოცავი – შავი ქვა.

² საფეხვნო – საბაასო; საჭირბოროტო საკითხების გასარჩევი ადგილი.

ჯვარია! მეტი რა გინდათ, ხალხო?
სიცოცხლით ქრისტეს ხომ ჰგავს, სიკვდილიც
მისი მაცხოვრის ჯვარცმის მსგავსია;
ოღონდ თუ ქრისტე ერთხელ აწამეს,
მას თავს ყოველდღე ათვერ აცლიან.
მაგრამ როს თითის ჯვარზე აცვამენ
(ეს გახლავთ მისი დიდი ლირსება),
ის კვლავ, ვით ქრისტე, აღსდგება მკვდრეთით
და კვლავ ღვთიური მადლით ივსება.

სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუამ

მუ'ეზი
(1058 – 1148)

რასაც იესო იქმოდა

რასაც იესო იქმოდა, –
ცხედარს
რომ ულოცავდა და აცოცხლებდა
ან, როგორც მოსე, უსწორდებოდა
მტრებს იმით, თავის
კვერთხს რომ მოსცხებდა.
მეფევ, შენ კალმით ქმენ საქმე იგი,
რისი ქმნაც კვერთხით შეიძლო მოსემ,
ხოლო სიკეთით ხალხს, როგორც ქრისტემ,
ჩაუდგი სული და შვებით მოსე!

**სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუამ**

სანაი

(1080 – 1140)

სიცოცხლის ტყვე ვარ

სიცოცხლის ტყვე ვარ და მინდა, სარკმლით
გავფრინდე, რათა სულვითქვა უკეთ,
მაგრამ ვაი, რომ ვერ შევიძელ ეს! –
იქ მტერმა ჩემმა მიმასწრო უკვე.
ვერა და ვერა, ვერ მოვერიე
ამ მტერს: ჩემს სურვილს,
ვნებას და ნდომას.
თუმც მან მაკრატლით დამაჭრა ფრთები,
თავი ისევ ამ სარკმელთან მომაქვს.
მოყვასი ჩემი ნოეს კიდობანს
გაჰყვა და, ვიცი, უკვე გადარჩა,
მე კი უძირო ზღვაში ვიხრჩობი
(ღმერთო, საშველი ჩემი რად არ ჩანს!).
ბობოქრობს ზღვა და ტალღები ტალღებს
ეხეთქებიან ზავთით და ზათქით.
მე შიშით ვძრნივარ, ვაი თუ მართლა,
ვერ მივატანო იმ აღთქმულ ადგილს!
ხან მაქვს იმედი, შემრჩეს თვით სულიც,
ხან ვშიშობ, დავთმობ სულაც სამშვინველს;
ხან ქრისტეს ბაკმი ვარ, ხან კი ქრისტეს
ვირის ავშარა ვარ (ეს მაშინებს!).

სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუამ

ხაყანი შირვანელი (გარდ. 1199)

სთხოვე ხელმიფას!

ჰეი, ხაყანი, გეყო, რაც დღემდე
სევდა ფეხდაფეხ გდევდა და გდევდა
(ეს ეშმაკია, სევდას რომ ბადებს
და კაცის გულში აბუდებს სევდას).
შენ, ვისაც ძარღვში კეისრის სისხლი
გიჩქეფს და ქრისტეს გამკობენ ზნენი,
გაფიცებ, შენთვის წმინდათაწმინდა
რაც საფიცრები ებოძოთ ზენით:
პირველ, გაბრიელ მთავარანგელოზს, შემდეგ, რაც
გვჯერა და გვნამს უფიცოდ:
სულს, უფლის ნებით, რაც მან შთაბერა
მარიამს, ქალწულს ყოვლადუბიწოს.
შემდეგ კი ქრისტეს მოციქულები
საფიცრად შენად გიხსენო უნდა.
კვლავ: სახარებას გაფიცებ (“ინჯილს”),
წინ სასოებით რომ გიდევს მუდამ;
და რწმენას მისას, რომ სარეცელი
არ გაუყვია მარიამს ქმართან
და არც მომყოლში¹ მჯდარა იესო,
თუმც მსგავსად სხვათა ის იშვა მართლა.
ქრისტესმოსავთა ტაძართ მამების
გაფიცებ წირვებს, გალობებს, ლოცვებს, –
სთხოვე ხელმწიფეს: იერუსალემს
ლოცვად მსურს წასვლა და ნება მომცეს!

¹ მომყოლი – გარსი, რომელშიც მოთავსებულია ნაყოფი დედის მუცელში.

ხაყანი, შენ

ხაყანი, შენ, ვინც, ვითარცა ქრისტე,
 სულს უდგამ კაცს და ხამს შენი ქება,
 ქერის მჭადს რატომ გაჭმევენ, როცა
 ხალხს დოლის პურის ლექსებით კვებავ?!
 კაცური კაცი ხარ, შენ კი ბრბოში
 წანწალებ, როგორც ღლაპი უცები;
 ლომი ხარ, შენ კი გამვლელ-გამომვლელთ
 ძუკნა ძალლივით ელაქუცები.
 ამ ქვეყანაზე მისანდო მოყვასს
 რომ ეძებ, საქმე გამოგელია? –
 მორიელია ყველა მოყვასი
 და ყველა კაცი (ვაგლახ!) გველია.

სპარსულიდან თარგმნა
 მაგალი თოდუამ

ნიზამი განჯელი

(გარდ. 1203)

არ მომპა ღვარძლი!

არც დიდკაცობა და არც მეფობა,
არც ვის ძლევა და არც ფრის ხელყოფა,
არ მსურვებია და არ მსურს, ხელში
ერთი მარცვალი მაქვს და მეყოფა.
ვინც ის მიბოძა,
ვესავ და ვლოცავ,
გახარებული ამით ისე ვარ:
ერთი მარცვალი კი ჰქვია, მაგრამ
თავთავს იყრის და ასად იქცევა!
შენც თესლს რომ პოვებ,
უნდა იცოდე,
თუ თესლი იგი ჯიშად რაც არის, –
ეშმამ ღვარძლი არ შემოგაჩეჩოს,
არ მომკა ღვარძლის ასი მარცვალი!
წესი მთავარი დაიცვა უნდა,
რომ არ წაგიხდეს ამაოდ შრომა.
როცა მკერვალი
საკერავს კერავს,
ჯერ მუშტარს კარგად აუღებს ზომას.
ქვეყნის პატრონად არ ვარგა ყველა,
ტახტებიც პატრონს მიტომ იცვლიან.
ვირი ბევრია, მაგრამ იესოს
ტარების ლირისი მხოლოდ კიცვია.
კი, ჭინჭველს ღონეს
ვუქებთ, მაგრამ ის
მხოლოდ კალის ბარძაყს¹ თუ ასწევს.
სპილოს კი შებმას
ვერვინ შებედავს,
მარტოვა მას თუ
მარტორქა დასძლევს.

¹ კალის ბარძაყი – აღმოსავლური მითის მიხედვით, სოლომონ ბრძენს, რომელიც არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა და ფრინველთა მეფეც იყო, მისმა ხელქვეითებმა დღესასწაულზე ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. მეფემ ყველაზე მეტად ჭიანჭველას დაუმადლა და ის მიიჩნია სხვებზე უფრო ძლიერ, ერთგულ და გულუხვ ქვეშევრდომად, რადგან მან სოლომონს მიართვა მისთვის, ჭიანჭველისთვის, ყველაზე ძვირფასი და ძნელადსათრევი საჩუქარი – კალის ბარძაყი.

ზღვას თუმც იმდენი მდინარე ერთვის,
არც რას იმატებს და არც რას იკლებს,
მაგრამ ღელეს რომ ღვარი ჩაუდის,
ნაპირზე გადის
და სოფელს იკლებს.

სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუამ

ათთარი (1136-1229)

არ ვიცი

არ ვიცი, ქრისტეს სჯულის მესავი
ასე ურჯულოდ რატომ გვექცევა?!
მას, გულგალელილს და ფეხებაშლილს
რომ ვუცქერთ, ზეცა თავზე გვექცევა.
სირაჯხანიდან გამოტეული
გზა-გზა ისწორებს დაშლილ დალალებს.
ტკბილად იღიმის.
იღიმოს ტკბილად,
მაგრამ ჩვენ მწარედ რად გვავალალებს?!

იმის პადალი

სხვამ ასი შვება რომ მომცეს,
მიჯობს,
მე შენგან ერთი ვიწვნიო ვნება;
ასი მალამოც მცხონ,
რომ დამიჭრი
ამ გულს, მე უფრო ის მეამება.
ტრფიალის შენის ცეცხლზე ვიწვი და
გულიდან ცივი ამომდის ოხვრა.
ამ ოხვრას არც ამ
და არც იმ სოფლის
შვებაზე გავცვლი
(დაურჩეთ ოხრად!).
ფერი მრავალი გვხიბლავს (შეხედე:
ზურმუხტი ცისფერს როგორ დართვია!),
მაგრამ სხვა, იმის ბადალი ფერი
იცი, რა ფერიც ქრისტეს კვართია?

სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუამ

აპმად შამლუ (1925-2000)

თანამედროვე სპარსული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი აპმად შამლუ თეირანში დაიბადა. იგი სპარსულ პოეზიაში თეთრი ლექსის ფუ-
ძემდებლად მიიჩნევა. შამლუ თოთხმეტი პოეტური კრებულის ავტორია.

იგი აქტიურად და წარმატებით მოღვაწეობდა, ასევე, მთარგმნელობით,
საგამომცემლო, სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროებში. განსაკუთრებით
უნდა აღინიშნოს მისი ხალხური სიტყვა-თქმებისა და ანდაზების თერთმეტტო-
მეული.

აპმად შამლუ დაჯილდოებულია არაერთი პრემიით ლიტერატურის დარ-
გში. ასევე, ადამიანის უფლებების დაცვისა და სიტყვის თავისუფლების ხა-
ზით.

1984 წელს აპმად შამლუ წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერა-
ტურის დარგში.

საფლავის ქვე

არც წასვლაში იგრძნობოდა მოძრაობა
და არც დარჩენაში – უძრაობა,
ტოტები არ იყო მოწყვეტილი ფესვებს
და ჭორიკანა ქარმაც
ფოთოლთა შრიალით
ჭორად გაავრცელა საიდუმლო.

ჩემი სიყვარულის ქალწული უცნობი დედაა,
ხოლო სულსწრაფი ვარსკვლავი
მარადიულ ორბიტაზე მიუყვება
სასოწარკვეთილების ბილიკს.

სპარსულიდან თარგმნა
ნინო თუშიშვილმა

მეჰქდი ახავან სალესი (1928 -1990)

მეოცე საუკუნის სპარსული პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი მეჰქდი ახავან სალესი ქ. მაშქადში დაიბადა. პოეტური მოღვაწეობა მან კანონიკური ლექსით დაიწყო, მოგვიანებით კი „ახალი პოეზიის“ გზას მიჰყვა. მან დატოვა ცამეტი პოეტური კრებული და არაერთი თეორიული ნაშრომი როგორც პოეზიის, ასევე, სამუსიკო ხელოვნების სფეროში.

შეხვედრის წამი

ახლოვდება შეხვედრის წამი.
კვლავაც გადარეული ვარ, მთვრალი,
კვლავაც მითრთის ხელები, გული,
განმეორებული თხრობა ვარ, ოღონდ სხვა სამყაროში...
მახვილო, ნუ დასერავ ჩემი ლაწვების უდარდელობას!
ხელებო, ნუ დამიბნევთ დალალების სიქორფეს
და შენც, გულო, ნუ ამომსვრი სირცხვილის ლაფში!
– ეი, შენ, მთვრალო, არა სასმელით,
ახლოვდება შეხვედრის წამი.

სპარსულიდან თარგმნა
ნინო თუშიშვილმა

ფორუმი ფაროხზადი (1935-1967)

ფორუმი ფაროხზადი თანამედროვე სპარსული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი თეირანში დაიბადა. მის გამოჩენას პოეზიის არენაზე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, რადგან მიიჩნევდნენ, რომ მისი ლექსები ქალის უფლებების გაცხადების საკმაოდ ღია და მოურიდებელ მცდელობას წარმოადგენდა.

ფაროხზადის პოეზია არღვევს არა მარტო ტრადიციულად განსაზღვრულ ზნეობრივ ნორმებს, არამედ კანონიკური სპარსული ლექსის სისტემა-საც და ე.წ. „ახალი პოეზიის“ მიმდევრად გვევლინება. მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, პოეტმა ლექსების ხუთი კრებული დაუტოვა თავის მკითხველს.

ფორუმი ფაროხზადი კინემატოგრაფიის სფეროშიც მოღვაწეობდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი რეჟისორული ნამუშევარი – დოკუმენტური ფილმი „მრუმეა სახლი“, რომელიც ლეპროზორიუმის ცხოვრებას ეხება და რომელმაც 1963 წელს ობერჰაუზენის კინოფესტივალზე პირველი პრემია დაიმსახურა.

ყვავი, რომელმაც თავზე გადაგვიფრინა

ყვავი,
რომელმაც თავზე გადაგვიფრინა
და დაეშვა მოხეტიალე ღრუბლის მშფოთვარე ფიქრში
და, პატარა შუბივით, თავისი ყრანტალით გაკვეთა ჰორიზონტი,
ქალაქში თან წაიღებს ჩვენს ამბავს ჭორად.

ყველამ გაიგო,
ყველამ იცის,
მე და შენ იმ ცივი პირქუში ნაპრალიდან
ბალი რომ დავინახეთ
და ხის კენწეროს მიუწვდომელი ტოტიდან
ვაშლი მოვწყვიტეთ.
ყველას ეშინია...

ყველას ეშინია, მაგრამ მე და შენ
სანთელს, წყალსა და სარკეს შევერწყეთ
და არ შეგვეშინდა.

მთავარი არ არის ორი სახელის ერთმანეთთან სუსტი კავშირი
და ძველ ფურცლებზე მათი გვერდიგვერდ დასმა,
მთავარი ჩემი ბედნიერი ნაწავებია,

შენი კოცნით დამწვარი საფეთქლები
და ამ ცხოვრების სიყალბეში
ჩვენი სხეულების გულწრფელობა.
მთავარი ჩვენი სიშიშვლის ნათებაა,
თევზის ფარფლივით რომ ციალებს წყალში;
მთავარი სიმღერის ვერცხლისფერი სიცოცხლეა,
რომელსაც პატარა შადრევანი მღერის გარიურაჟზე.
ჩვენ იმ მოლივლივე მწვანე ტყეში
ერთ ლამეს გარეულ კურდღლებს,
იმ შეუბრალებელ მღელვარე ზღვაში
მარგალიტებით სავსე სადაფებს
და იმ გულზვიად, მიუვალ მთაში
ახალგაზრდა არწივებს ვკითხეთ:
გვირჩიეთ, რა ვქნათ?!

ყველამ გაიგო,
ყველამ იცის,
ჩვენ დავადექით სიმორლის¹ ცივი და მშვიდი ძილის გზას
და ჭეშმარიტება ვიპოვეთ პატარა ბალის
ერთი უსახელო ყვავილის დარცხვენილ გამოხედვაში,
და გადარჩენის გზა კი – იმ ერთ უსასრულო წამში,
როდესაც ორ მზეს ერთმანეთზე გაუშტერდა თვალი.

მთავარი არ არის წყვდიადში შემზარავი ჩურჩული...
მთავარი დღეა, ღია ფანჯრები, სუფთა ჰაერი
და ის ბუხარი, რომელშიც უსარგებლო ნივთები იწვის,
და კიდევ მიწა, რომელიც დაორსულდა სულ სხვა თესლით,
ქვეყნად მთავარია დაბადება, სრულყოფა და ღირსების გრძნობა,
მთავარი ჩვენი შეყვარებული ხელებია –
სურნელების, სხივისა და ნიავის გზავნილებით
ლამეებზე ხიდი რომ გადეს.
მოდი მდელოზე,
იმ ვრცელ მდელოზე
და, როგორც ქურციკი უხმობს თავის მეწყვილეს,
შენც მიხმე აკაციის სუნთქვის საბურველიდან.

ფარდებს ჩუმი ბოლმა ახრჩობთ,
უმანკო მტრედები კი
მიწას დასცქერიან
თავიანთი თეთრი კოშკების მწვერვალებიდან.

¹ სიმორლი – ზღაპრულ-მითოლოგიური ფრინველი, ფრინველთა მეფე.

გაეცევა და ტკივილი

წავედი შენგან, მაპატიე და ნუ იტყვი, რომ არ ვარ ერთგული;
 არ დამრჩენოდა სხვა გზა, შენგან გაქცევის მეტი;
 უიმედობის ტკივილით სავსე ჩემი უგონო სიყვარული
 თვალახვეული მიექანებოდა ცოდვებისა და სიგიჟის უფსკრულში.

წავედი შენგან, რომ ცრემლებით ბაგეებიდან ჩამომერეცხა
 შენი ვნებიანი კოცნის სიმხურვალე;
 წავედი შენგან, რომ ნაწყვეტად მაინც დავრჩენილიყავ ამ სიმღერაში;
 წავედი შენგან, რომ დუმილით ჩემი თავისთვის დამედო ფასი.

წავედი შენგან მალულად, ჩუმად და ნულარ მკითხავ, თუ რა მიზეზით.
 სირცხვილი იყო –
 ჩემი გრძნობა, შენი ფიცი და ჩვენი მგზნებარე სიყვარული;
 სიბნელისა და მდუმარების ფარდიდან განთიადის სხივით
 ერთბაშად გარეთ გაიჭრა ჩვენი ფარული ტრფობის ამბავი.

წავედი შენგან, რომ ჩავიკარგო ცხოვრების შავ-ბნელი კალთის წიაღში,
 როგორც მდულარე ცრემლის ეული წვეთი;
 წავედი შენგან, რომ გავექცე ამქვეყნიურ ვნებათაღელვას
 ყველასგან მიტოვებული საფლავის წყვდიადში.

მე გავექეცი შენს სიყვარულით ანთებულ, ცრემლიან თვალებს
 და ქარიშხალის გავეშებულ, დამცინავ ხარხარს;
 მე გავექეცი სინდისის ქენჯნას ვნების მხურვალე სარეცელიდან
 ამ განშორების ცივი მკერდისკენ;

გულო, დაიწვი მოგიზგიზე საკუთარ ცეცხლში
 და ნულარ ეძებ ჩემში წარსულ ვნების ალს;
 ცეცხლის ალივით მიველტვოდი თავისუფალებას,
 თუმც გალიაში დატყვევებულ ფრინველად დავრჩი.

მე ის მშფოთვარე სული ვარ, ერთხელაც ღამით
 ნუგეშის მყუდრო კალთაში მწარედ რომ აქვითინდა,
 და საკუთარი სიტყვებისა და ცოდვების სინანულით დამძიმებული
 მიხვდა, რომ შენი და შენი სიყვარულის არ არის ღირსი.

ცხოვრების გზა

ცხოვრების გზავ, ეს მე ვარ
შენი ამაოებით პირთამდე სავსე.
არა, არ ვფიქრობ, გავნევიტო სიცოცხლის ძაფი,
და არც შენგან გაქცევას ვლამობ.

მხურვალე ლექსო, შენგან იწვის
ჩემი მიწიერი სხეულის ყოველი ნაკვთი,
უღრუბლო ზეცას რომ გაურბიან,
რათა აივანონ დღის მათრობელი ღვინით.

შენს სიმღერას მღერის
ასკილის ბუჩქის ათასი კვირტი,
და ბალში მონაპერ ნიავს
მასთან მიაქვს შენი სალამი.

მე არ გეძებდი ზღაპრულ ოცნებებში,
გეძებდი შენში,
მე ძლივს მოვთავსდი შენს ხელებში
და ავივსე სრულად მაგ სილამაზით.

ავივსე შავი სიმღერებით,
ავივსე თეთრი სიმღერებით,
სურვილის ათასობით ნაპერწკლით,
იმედის ათასი ყლუპით.

იმ დღეებს ვნატრობ, მტერივით
სიძულვილით როცა გიმზერდი,
არად ვაგდებდი შენს დაგებულ მახეს...
გაგფლანგე უმიზნოდ, უშენოდ დავრჩი.

ვერ ვხვდებოდი – შენ უცვლელი ხარ,
მე კი წყალივით წარვედინები,
გავქრები ნისლში არარადქმნილი
და გავუყვები წყვდიადით მოცულ სიკვდილის ბილიკს.

ცხოვრების გზავ, მე სარკე ვარ,
ან შენი მზერით აივსება ჩემი თვალები,
ანდა სიკვდილი ჩაიხედავს უმალვე ჩემში
და შავად აირეკლება ჩემი სულის სარკეში.

შეყვარებული ვარ ცისკრის ვარსკვლავზე,
მოხეტიალე ღრუბლებზე,
შეყვარებული ვარ წვიმიან დღეებზე
და ყველაფერზე, რასაც შენი სახელი ჰქვია.

ჩემი მწყურვალი სხეულით ვისრუტავ
შენი დროის წამთა მხურვალე სისხლს,
და იქამდე ავისრულებ სურვილებს შენგან,
სანამ შენს ღმერთს არ განვარისხებ!

სიყვარული

შენზე ოცნებით შეიღება ღამე მთლიანად,
მკერდი დამძიმდა ტყუპისცალის ნაზი სურნელით,
ჩემს თვალებში იზმორება შენი ფიგურა;
სიხარულსა მგვრის მეტისმეტი სევდა-ნაღველი
და, როგორც წვიმა დედამიწას ჩამოჰქმდანს სხეულს,
ისე აშორებს დარდი ჩემს არსებას ჭუჭყსა და ტალახს.

შენ ჩემი სხეულის მწველი გულისცემა ხარ,
ჩემი წამწამების ჩრდილქვეშ გაჩენილი ხანძარი,
ხორბლის თავთავებზე უფრო სავსე ხარ
და უფრო დახუნძლული ოქროს ტოტებზე.
მზეებისათვის კარს ლიას ტოვებ
ეჭვთა წყვდიადის შემოტევისას...
შენ გვერდით მყისვე ქრება ტკივილის შიში,
მაგრამ არა ბოლომდე,
ტკივილისა და ტანჯვის გარეშე ქვეყნად
განა არსებობს ბედნიერება?

ნუთუ ეს გული მონატრებამ და სხივთა სიმძიმემ აავსო ასე?
ნუთუ ცხოვრების ორომტრიალი მისწვდომია საფლავის სიღრმეს?

შენი თვალები ამწვანებული მდელოა ჩემთვის,
ჩემს თვალებს შეხვდა შენი ცხელი და მგზნებარე მზერა.
ჩემს არსებაში მყოლოდი აქამდეც წეტავ,
სხვებში ხომ აღარ დაგიწყებდი ამაოდ ძებნას.

ყრუ ტკივილსა გრძნობ, ვნების ტანჯვას როცა განიცდი
და სასოწარკვეთა გეუფლება განშორებისას,

როდესაც მსხვერპლად ეწირები ღვარძლიან გულებს
 და წმინდა გული იძირება შურის წუმპეში,
 როცა ალერსი იშხამება გველის ნაკბენით
 და გესლი ერევა გულითადი მეგობრის ღიმილს,
 როდესაც ოქრო უვარდებათ თაღლითებს ხელში,
 ან იკარგები ბაზრის ხალხმრავალ მოედნებს შორის.

შენ ჩემი სულის ნაწილი ხარ,
 სამარის მრუმე კედლებიდან რომელმაც მიხსნა
 და ოქროსფრთიანი ანგელოზივით მომევლინა
 ზეცის შორეული სივრცეებიდან.
 შენით ჩემს მარტოობას მოეღო ბოლო,
 ჩემმა სხეულმა შენი შეხების სურნელი იგრძნო,
 წყალი იგემა ჩემი მკერდის დამშრალმა წყარომ
 და ადიდდა კალაპოტი ჩემი ძარღვების,
 და მაშინ ბავშვივით გამოგყევი ფეხდაფეხ, უკან
 ამ გულქვა, ბნელ სამყაროში.

შენ ბუდობ ჩემში
 და, როგორც სისხლი, ჩემს ძარღვებში მიედინები.
 შენი ალერსის ცეცხლით იწვის ეს ნაწნავები,
 სურვილთა მხურვალებით ალენილა ჩემი ღანგები.
 ჩემი სხეულის მწვანე მდელოების მესაიდუმლევ,
 უცხოა შენთვის ჩემი სამოსი,
 შენ ჩაუმქრალი მზე ხარ, მანათობელი,
 სამხრეთ მიწების სასურველი, ხშირი სტუმარი,
 დილის სიოზე უფრო გრილი, სასიამოვნო,
 გაზაფხულზე უფრო ნორჩი ხარ, უფრო ცვრიანი,
 ეს სიყვარული აღარ არის, ეს სიგიჟეა,
 ჩირალდანივით რომ ანათებს ჩაუამულ წყვდიადს.
 როდესაც გულში სიყვარულმა გამოიღვიძა,
 მას შევეწირე მსხვერპლად ჩემივე ნებით...
 ეს მე აღარ ვარ, დამიჯერე, ეს მე აღარ ვარ...
 ოჳ, როგორ მწყდება გული იმ წარსულ დროზე,
 როდესაც ჩემი თავისთვის ვცხოვრობდი მხოლოდ.

ჩემი ტუჩები შენი კოცნის სავანედ იქცა,
 სუნთქვაშეკრული რომ გასცერის
 შენი კოცნის გზას...
 ჩემს სხეულში შემოპარული სიამოვნების ჟრუანტელი ხარ,
 შენი სხეულის ყოველი ნაკვთის შეხებას გრძნობს ჩემი სამოსი.

ოჰ, როგორ მინდა, ვტკბებოდე ცხოვრების ყოველი წამით
და სიხარულს დაუსრულებლად ვღებავდე დარდით,
ოჰ, როგორ მინდა, უბრალოდ ავდგე
და ღრუბელივით პირი მოვხსნა ცრემლების გუდას.

ნუთუ მონატრებამ და დარდის ნისლმა დაფარა გული?
ნუთუ საკრავთა ჰანგებით ავსებულა საძინებელი?
ნუთუ ამ გაშლილ სივრცეებში ფრენენ ფრინველნი?
ნუთუ ჩიტების ურიამული არხევს ღამის სიმშვიდის ამ მყუდრო ფარდას?

შენი მზერა განთიადის იავნანას ჰეგავს
და ჩვილი ბავშვის აკვნის რწევას,
შენი სუნთქვა მთვლემარე ნიავს წააგავს,
ჩემი ტანიდან მღელვარების თრთოლვა რომ ჩამორეცხა,
ბაგეზე ღიმილით რომ ჩასძინებია ჩემს ხვალეებში
და ჩასწვდომია ჩემი სამყაროს უძირო სიღრმეებს.

შენ შემაზავე ლექსს მხურვალე გრძნობით,
მერე ეს გრძნობა ჩამიღვარე ლექსის მორევში,
ციებასავით შეეყარე შენ ჩემს სიყვარულს
და ჩემი ლექსი უნებურად ცეცხლში დაწვი, ფერფლად აქციე.

შენით ვკვდებოდი

შენით ვკვდებოდი,
მაგრამ შენვე იყავი ჩემი სიცოცხლის წყაროც...
შენ ჩემთან ერთად დადიოდი,
ჩემში მღეროდი,
როდესაც უმიზნოდ დავეხეტებოდი
ქუჩებში.
შენ ჩემთან ერთად დადიოდი,
ჩემში მღეროდი...
თელის ხეებიდან
შეყვარებულ ბეღურებს ეპატიუებოდი
ფანჯრის განთიადში,
როდესაც ღამე უსასრულოდ მეორდებოდა,
როდესაც ღამეს ბოლო არ უჩანდა...
შენ თელის ხეებიდან
შეყვარებულ ბეღურებს ეპატიუებოდი
ფანჯრის განთიადში.
შენი სანთლებით მოდიოდი ჩვენს ქუჩაზე,
შენი სანთლებით მოდიოდი,

როდესაც ბავშვები მიდიოდნენ,
 თეთრი აკაციის ყვავილებს უშფოთველად ეძინათ,
 მე კი სარკეში ვრჩებოდი მარტო...
 შენ შენი სანთლებით მოდიოდი.
 შენ შენს ხელებს მჩუქნიდი,
 შენს თვალებს მჩუქნიდი,
 ალერსს მჩუქნიდი,
 როცა მშიერი ვიყავი.
 საკუთარ სიცოცხლეს მჩუქნიდი,
 შენ იყავი გულუხვი მზის სხივის დარი.
 შენ ბუდეებს შლიდი
 და ჩემს ნაწნავებს მოსავდი,
 როდესაც ისინი
 სიშიშვლით თრთოდნენ...
 შენ ბუდეებს შლიდი.
 შენ სახით ეკვროდი
 ჩემი მკერდის მღელვარებას,
 როდესაც შენთვის უკვე აღარაფერი მქონდა სათქმელი...
 შენ სახით ეკვროდი
 ჩემი მკერდის მღელვარებას
 და უსმენდი
 ჩემს ძარღვებში მგლოვიარედ მდინარე სისხლს
 და ქვითინით მომაკვდავ ჩემს სიყვარულს.
 შენ მისმენდი,
 მაგრამ ვერ მხედავდი.

სპარსულიდან თარგმნა
ნინო თუშიშვილმა

ჰუშანგ გოლშირი (1937-2000)

თანამედროვე სპარსული მოდერნისტული პროზის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ჰუშანგ გოლშირი ისპაპანში დაიბადა. გოლშირი მრავალი რომანის და მოთხრობების კრებულის ავტორია. იგი დაჯილდოებულია არაერთი პრემიით სამშობლოში და საზღვარგარეთ. მისდამი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებაა გოლშირის სახელობის ფონდის დაარსება ირანში, რომელმაც, თავის მხრივ, მწერლის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია დააფუძნა.

ჩემი პატარა სამლოცველო

სანამ პატარა ვიყავი, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ იყო, მაგრამ ამას ჩემთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან არ მანუხებდა. ფეხზე წინდას რომ ვიხდიდი, მარცხენა ტერფი, უბრალოდ, ცოტა უნდა მომეხარა – ისე, როგორც ახლა ვხრი, რომ დამენახა, ისევ იქ იყო თუ რა. კაცმა რომ თქვას, როგორ უნდა გაამხილო, რომ ფეხზე ექვსი თითი გაქვს. ერთი უფრჩისილო, წითელი ხორცმეტი მარცხენა ფეხის ნეკა თითთან. აი, სწორედ ასეთი. ის ხომ ადრეც იყო, ყოველთვის იყო. დედა მეუბნებოდა: „წინდა არასდროს გაიხადო, გესმის, არასდროს!“ მეუბნებოდა, უცხოებთან არ გაიხადო. არადა, ჩემთვის საკუთარი თავისა და, შეიძლება ითქვას, მამაჩემის გარდა, ყველა უცხო იყო. მე და მამა საბანაოდ როცა მივდიოდით, საერთო აბანოში არასდროს შევსულვართ. დედა გვიკრძალავდა. ჩვენს უბანში არავინ იცოდა ამის შესახებ. დედა, ალბათ, ამიტომაც მაფრთხილებდა, უბნის ბავშვებთან ერთად არ იცურაო.

დღემდე ვერ ვხვდები, დიდი და პატარა მორევების გამო იყო თუ ჩემი პატარა თითის გამო, მაგრამ, როდესაც მდინარეზე მივდიოდი, ეგრევე ტანსაცმლიანად ვხტებოდი წყალში და როცა,

ბოლოს და ბოლოს, ზევით ამოსვლა მინევდა, მაშინვე ფეხით სილას ვთხრიდი, რათა ის არავის დაენახა. სინამდვილეში, როდესაც ადამიანმა არ იცის რაიმეს არსებობის შესახებ, ის მას ვერც ამჩნევს, ან, შეიძლება, ისეთი მცირე რამ იყოს, რომ თვალში არავის ხვდებოდეს. მის გამო ამბობდა დედა, ამ უბნიდან აუცილებლად უნდა წავიდეთო.

და ჩვენც აქ გადმოვედით საცხოვრებლად. აქაურმა ბავშვებმა არაფერი იცოდნენ მის შესახებ. რომ სცოდნოდათ, დავუშვათ, ერთ-ერთ მათგანს რომ დაენახა, როგორც ეს ძველ უბანში მოხდა, მაშინ ხომ აქაც მოვიდოდნენ სახლის წინ და აყვირდებოდნენ: „ექვსთითა ჰასანი, ექვსთითა ჰასანი!“.

აქ კი ჩემთვის ასე არავის დაუძახია – სიმართლე რომ ვალიარო, თუ ამ ბოლო შემთხვევას არ ჩავთვლით. რაც მოხდა, ჩემი ბრალია. ის სულ ერთი ციდა იყო, ძალიან გამხდარი, ფერმკრთალ შუბლზე ერთი ბლუჯა შავი თმა ჩამოშლოდა. ალბათ, მისი ალალი და ნათელი თვალების გამო ვითიქრე, უცხო არაა-მეთქი. ჩემთვის უცხონი ისინი იყვნენ, რომლებსაც წელამდე ძლივს ვწვდებოდი, ანდა ჩემი თავი მათ ხელისგულში თავისუფლად დაეტეოდა და, თუ ისურვებდნენ, შეეძლოთ, შუბლზე ჩამოშლილ თმაზეც გაეკ-

რათ ჩემთვის თითი. თავიც რომ არ ამენია, მათი თვალების დანახვა მაინც შემეძლო. სახე ან მტვერში ჰქონდათ ამოს-ვრილი, ან სისხლში. მასავით უფერულები და ლოყებჩაცვენილები არ იყვნენ, ყავარჯენი რომ თავისი სახლის წინ, ქვის მერხთან მიეყუდებინა, თვითონ კი სკა-მის კუთხეში ჩამომჯდარიყო.

— ფეხზე რა მოგივიდა? — ვკითხე.

— რა, ვერ ხედავ? — კითხვითვე მი-პასუხა და გვერდზე გაიხედა. იქ არაფერი იყო. მხოლოდ უკაცრიელი ქუჩა მოჩანდა. კედელებიდან დაცემული ჩრდილები ქუჩის ნახევარს აბნელებდა. ვკითხე: “თაბაშირში ჩაგისვეს?” ვერ ვხედავ-დი, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ შეიძლებოდა, ფეხი კოჭში ჰქონოდა მოტეხილი. მხოლოდ თავი დამიქნია. ისევ გვერდზე იყურებოდა, ქუჩის სიღრმეში. თუმცა ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ერთი ხე ან ერთი ძალლი მაინც რომ ყოფილიყო, ჩრდილის ზოლს გავუყვებოდი. ვუთხარი: “მალე მოგირჩება”.

— არა, უკვე მეორედ ჩამისვეს თა-ბაშირში, — მიპასუხა მან.

მარცხენა კოჭი მეტად წვრილი ჰქონდა, იმდენად წვრილი და თეთრი, სალამური გეგონებოდათ, ან კიდევ მი-სი მარჯვენა კოჭის პატარა ტყუპისცალი. სწორედ ისეთი, როგორიც ჩემი პა-ტარა თითის ტყუპისცალია. ვუთხარი: “გინდა, რაღაცას გაჩვენებ?”

არც კი შემოუხედავს, ისე მკითხა:

— რას?

— ჩემს ფეხს.

შემომხედა და მკითხა:

— რა მოუვიდა?

— არ ვიცი, მაგრამ უნდა ნახო, — ვუთხარი და ფეხსაცმლის თასმის გახ-სნა დავიწყე.

— მოტეხილი გაქვს? — მკითხა.

— არა, მაგრამ სიტყვა მომეცი, რომ არავის ეტყვი.

არაფერი უთქვამს. უბრალოდ, შე-

მომხედა და, როდესაც მარცხენა ფეხზე წინდას ვიხდიდი, გავითიქრე, რომ არ უნდა დამეფიცებინა მისთვის. რა თქმა უნდა, არავის ეტყოდა. სიფრიფანა, პა-ტარა და წითელი ტუჩები ჰქონდა. მითხრა: „კი, მაგრამ ვერაფერს ვხედავ”.

ვუთხარი:

— შეხედე, მე...

და თითი ვუჩვენე. ფეხის ორ თითს ხელი მოვკიდე და მაღლა ავწიე, ჩემი უფრჩილო წითელი ხორცმეტიც გა-მოჩანდა. ყველაზე პატარა თითი მსოფ-ლიოს უმცირეს თითებს შორის, ტყუპი კარტოფილის ან კიტრის მსგავსი, ხომ გინახავთ? ზოგჯერ დევს ხოლმე სხვა კარტოფილებს ან კიტრებს შორის, ზოგ კიტრს ყვავილიც კი აქვს თავზე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ტყუპისცალი კიტრი და კარტოფილი იგივე კიტრი და კარტოფილია. მე კი თითის მსგავსი უბ-რალო ხორცმეტი მაქვს და ისიც — უფ-რჩილო. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ექ-ვსთითა ჰასანს არ უნდა მეძახდნენ.

იმ ბიჭის თვალებში ამოვიკითხე, რომ ის ნამდვილად არის. მერე ხომ სხვებმაც თქვეს. ლამით დასაძინებლად რომ ვემზადებოდი, ფეხზე წინდას ვიხ-დიდი და ზუსტად ისე ვუყურებდი, რო-გორც ის ბიჭი. ისიც კი ვცადე, მასავით დამცინავად შემეხედა. ახლაც ასე ვიქ-ცევი — ახლა, როცა უკვე ოცდათხუთმე-ტი წლის ვარ. თითს ვაცურებ მის ქვეშ და საკუთარ თავს ვუჩვენებ. მაგრამ და-ცინვით აღარ ვუყურებ. როგორც უკვე ვთქვი, ერთი წითელი ხორცმეტია. თქვენ გგონიათ, არასდროს მიფიქრია — თუნდაც ერთი წუთით — მისთვის რამე მექნა?

მაგრამ ახლა, როცა მახსენდება, მარჯვენა ხელი მიცახცახებს. სწორედ იმ უბანში იყო. მართლაცდა, დედას დროზე რომ არ მოესწრო, აუცილებ-ლად მოვიჭრიდი. ხელში სამზარეულოს დანა რომ დამინახა, მკითხა:

- რის გაკეთებას აპირებ?
- არაფრის.
- სიმართლე მითხარი, რის გაკეთებას აპირებ?

წინდა ფეხზე მეცვა, მაგრამ მაინც მიხვდა. იქნებ ჩემს თვალებში ამოიკითხა. როგორც მე ამოვიკითხე მაშინ იმ ბიჭის თვალებში, რომ უცხო იყო – ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ადამიანი. სწორედ ამიტომ გადმოვედით საცხოვრებლად აქ. მამამ თქვა: „ყველას აქვს. ყველას, ვისაც ხედავ გარშემო, რაღაც აქვს ზედმეტი ან ნაკლები“.

მამას არ ჰქონდა. როდესაც სახეზე საპონს ისვამდა და თვალების დახუჭვა უწევდა, ვიკუზებოდი და ფეხზე ვუყურებდი. ვფიქრობ, დედასაც არ ჰქონდა. ბევრ სხვასაც არ ჰქონდა. თუმცა მამა ისე დარწმუნებით მეუბნებოდა, თითქოს ყველასი ენახოს. იქნებ ჩემ გამო ამბობდა. მაგრამ, მე რომ მქონდა, ეს კი ცხადი იყო. მქონდა ისეთი რამ, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ. მაშინაც კი, როდესაც წინდა არ მეცვა. ყოველთვის – თუმცა ახლა აღარ – როდესაც ვინმეს ვესაუბრებოდი, ვფიქრობდი, ყველა მათგანისთვის სხვათა შორის მეთქვა: “შეხედე, მე ექვსი თითი მაქვს, ოღონდ მეექვსე თითი არ არის. მოითმინე, გაჩვენებ”.

ახლა უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ახლა ჩემთვის ის განსაკუთრებული რამაა, ისეთი რამ, რომლის შესახებაც მხოლოდ მე ვიცი. დედ-მამა ათითორმეტი წელია, გარდამეცვალა. იმ უბნის ბავშვებსაც უკვე დავიწყებული ექნებათ. შეიძლება, მეც კი დამივიწყეს. მხოლოდ მე ვიცი, რომ არის. ისეთი რამ მაქვს, რაც სხვებისგან განმასხვავებს. პირდაპირ სარკის წინ ვჯდები ხოლმე, ერთ სარკესაც მარცხენა ფეხთან ვდგამ, შემდეგ ორი თითით მას მაღლა ვწევ ისე, რომ შევძლო ქვევიდან ტერფსა და ხორცმეტს შორის არსებული

გამყოფი ხაზის დანახვა. შემდეგ ცხელ წყალს ტაშტში ვასხამ. იმიტომ კი არა, თითქოს ფეხზე სუნი მქონდეს. არა. ფეხებს წყალში ვყოფ, ჯერ ველოდები, სანამ ცხელი წყლისგან ორივე ფეხი არ გამინითლდება. მერე ვიწყებ ფეხების დაზელას. დიდი თითებიდან ვიწყებ, მაგალითად, ჩემი მარჯვენა ფეხის ცერიდან. მაგრამ ყოველთვის ისე ხდება, ჯერ მარცხენა ფეხზე არ ვარ ხოლმე გადასული, რომ მოთმინებას ვკარგავ და პირდაპირ მისკენ გამირბის ხელი. ნელა ვიწყებ მის დაზელას და მხოლოდ მას ვსაპნი. ფეხებს რომ ვიმშრალებ, კვლავ მას ვუყურებ სარკეში – ორივე სარკეში. ის იქ არის, ყოველთვის იქ არის.

დაბნეული ადამიანი არ ვარ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქოლგა დამეკარგოს, ან კალამი. ზოგი სწორედ ასეთია. შფოთავენ და განიცდიან, რომ, ვაითუ, ქუდი თავზე არ ახურავთ, ან წამოლება დაავიწყდათ, ანდა ტაქსიში დარჩათ. თუმცა მეც მუდამ რაღაცაზე ვნერვიულობ, განვიცდი. ადრეც ასე ვიყავი. ყოფილა, გამლვიძებია და მიფიქრია, რომ რაღაც დავკარგე, ან შუალამით წამოვმხტარვარ საწოლიდან იმ აზრით, რომ ის აღარ არის – ის რაღაც, თავიდან რომ ვერც კი ვხვდებოდი, რაიყო. მაგრამ საკმარისი იყო, შუქის აუნთებლად ხელი წამელო ფეხისკენ, იმ წუთშივე ვხდებოდი, რომ ის იქ იქნებოდა – პატარა, წითელი და უფრჩილო: ბუხარში ცეცხლიც რომ ჩამქრალიყო, დედა – თავისი გამხდარი სახითა და მუდამ წამტირალევი თვალებით – რომ მომკვდარიყო; ამქვეყნად არც ერთი ადამიანი რომ აღარ ყოფილიყო მარტოსული, იმდენად მარტოსული, რომ ოთახი დაპატარავებულიყო და ფანჯარა, თავისი დაშვებული ფარდებით, დახურულიყო; ეს ფანჯრები კვლავ რომ გაღებულიყო და ფარდა გადაწეულიყო, ზეცა კი მაინც ღრუბლიანზე ღრუბლია-

ნი ყოფილიყო და მსოფლიოს ყველა სახლის ნათურა – ჩამქრალი...

დიახ, ასეთი რამეებიც ხდება და კიდევ ისეთიც, როდესაც... არ ვიცი. თუმცა ნამდვილად ვფიქრობ, რომ ცვალებადი ხასიათი მაქვს, ანუ ზოგჯერ მხიარული ვარ, სხვებთან ერთად ვხუმრობ და ვერთობი, არაყს ვსვამ, აქეთიქით დავდივარ, მაგრამ შეიძლება ყველაფერი წამში შეიცვალოს – იმიტომ კი არა, რომ ის მახსენდება – სადმე კუთხეში შევიყუშები განმარტოებით, ანდა სახლში მივდივარ, ოთახში ჩავიკეტები, ვჯდები სანოლზე და მას ვუყურებ იქამდე, სანამ თვალთ არ დამიბნელდება; ანდა თვალები ცრემლით არ ამევსება; ან არ ვიწყებ იმაზე ფიქრს, რომ ის უკვე აღარ არის, ისე დაპატარავდა ეს ჩემი ხორცმეტი, რომ სრულიად გაქრა. როგორც, მაგალითად, შეიძლება, ერთხელაც გაქრეს ადამიანის ფეხის ნეკა თითი. რა თქმა უნდა, ფეხსაცმლის სივიწროვის, ანდა მისი ფორმის გამო კი არა, ვიწრო ცხვირები რომ აქვთ, სადაც თითქოსდა მხოლოდ ოთხი თითის ადგილი იყოს და არა ხუთის. ან იქნებ ხუთისაც იყოს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ერთ დღესაც გამიქრება. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ხომ შეიძლება, ყველა ადამიანს ერთ მშვენიერ დღეს ნეკა თითი ისე დაუპატარავდეს, რომ საერთოდაც გაუქრეს?

სწორედ ასეთი რაღაცების გამოა, რომ უმიზეზოდ მოვიწყენ ხოლმე. ზაფხულობით შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვარ თასმებიანი ფეხსაცმლით და წინდების გარეშე. იქნებ ამას არც ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან, როგორი ფეხსაცმელიც არ უნდა მეცვას, მაინც ყოველთვის ვიცი, ის სად არის. როდესაც ვინმესთან ერთად მივდივარ ან ვსაუბრობ, ან თუნდაც სკოლაში – ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მასწავლებელი ვარ – უცებ გუნება მიფუჭდება, მაშინ

საკმარისია, უბრალოდ დავიხედო ფეხის იმ ადგილას, სადაც ვიცი, რომ ის არის – ეს წითელი, წვეტიანი, ქორფა წანაზარდი – და უკვე აღარ ვარ იძულებული, სხვებივით სიგარეტი მოვწიო ანდა რომელიმე პატარა მყუდრო სამიკიტნოში შევიარო – ერთადერთი მაგიდითა და ერთი სკამით.

თუმცა, დიახაც, საქმე სწორედ ამაშია. საერთოდ, კაცი როდესაც მეძავთან მიდის, სულაც არაა საჭირო, მან წინდა გაიხადოს. მახსოვს, ერთმაცალ ფეხზე გაიხადა, მეორეზე, მარცხენაზე კი შავი ნეილონის წინდა კოჭამდე ჩაინია. ვკითხე, მაგ ფეხზე რა გჭირს-მეტეი.

– რას გულისხმობ? – მკითხა მან.

– არაფერს.

– არა, მართლა, მითხარი!

– დამიჯერე, არაფერს.

– არა, მითხარი, რას ფიქრობდი! ლაქა ან ეგზემა მექნებოდა, ჰა? თუ, იქნებ, დამწვრობა? ჩემი ხელისგულისოდენა დამწვრობა მექნებოდა, წითელი-წითელი? წითელი ხორცები, ჰა?

– რას გაილექსე? რატომ არ გაჩერდები? ხომ გითხარი, ცუდი არაფერი მიგულისხმია.

როდესაც ტირილი დაიწყო, ერთი კი გავიფიქრე, მოდი, ვაჩვენებ-მეტქი, უკვე ხელიც წავიღე წინდის გასახდელად, რომ უცებ რაღაცამ – იქნებ ქუთუთოებზე ფანქრით გავლებულმა ხაზებმა, არ ვიცი, ან იქნებ მისმა აშკარად ხელოვნურად დაგრძელებულმა წამწამებმა, მაგრამ, ვფიქრობ, განსაკუთრებით ორმა ცრემლმა, რომლებსაც გუთნის ხნულებივით დაეღარათ მის ლოყებზე წასმული პუდრის, ფერუმარილისა და კიდევ სხვა რაღაცების სქელი ფენა, მთელი ძალით რომ გაჰყვიროდნენ, „ის უცხოაო”, შემაჩერა. წინდა ჯერ მარცხენა ფეხზე ამოვიწიე, შემდეგ კი იძულებული გავხდი, ტანსაცმე-

ლიც ჩამეცვა. ამიტომ ვამბობდი, რომ ცვალებადი ხასიათი მაქვს, ან იქნებუაზროდ ეჭვიანი ვარ და არავის ვენდობი.

აი, თუნდაც, ტანსაცმლის ქვეშ ვინ რას მალავს? მაგრამ მათაც ხომ ჩემსავით აქვთ უფლება, არავის მისცენ ნება, რომ ამის შესახებ გაიგოს და, მით უმეტეს, ნახოს. მე მას იმიტომ კი არ ვმალავ, რომ მეშინია. განა ვინ ეტყვის ზრდასრულ ადამიანს, შე ექვსთითაო, თუმცა ვინ იცის, იქნებ უთხრას კიდეც – სწორედ ისე, როგორც ეს იმ პატარა უცხომ მითხრა თავისი ფერმკრთალი შუბლითა და ერთიანად წითელი ტუჩებით. ისე მითხრა, რომ სიტყვა არ დაუძრავს...

მერე... ამ რამდენიმე თვის წინ დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ ის აღარ იყო უცხო, არც თავიდან ყოფილა... და ახლაც... მართლაც, ზოგჯერ ფიქრობ ადამიანი, რომ ისინი რამდენჯერმე ნახე სიზმარში, მაგრამ როცა იღვიძებ, აღარ გახსოვს, როგორ მოხდა ყველა-ფერი. როცა კვლავ ხუჭავ თვალებს და ცდილობ, გაიხსენო, ხედავ, რომ არც ერთი მათგანი აღარ არის და ესენიც – ის ყავისფერთმიანი ქალი და ის მეორეც, ჰუდრის, ფერუმარილისა და კიდევ რაღაცების სქელი ფენით დაფარული კანით, უცხონი გამხდარან და აღარ არსებობენ შენთვის. როდესაც ის პირველად დავინახე, მივხვდი, რომ უცხო არაა. შავი თმები ჰქონდა. მგონი, თვალებიც – შავი. თუმცა შავი კი არა, უფრო ყავისფერი, ერთი შავი წერტილით, რომლის გრძელი წამწამების ჩრდილი ჩემს გამოსახულებას შტრიხავდა, როგორც მზის დისკოს გარშემო დახატული სხივები. და ახლა ჩემს ყველაზე საშინელ სიზმრებში მხოლოდ მას ვხედავ – თხელი დაწვებით, მოცუცქნული, პატარა ნიკაპითა და ტუჩებით, რომლებიც ყოველი აღელვებისას სატირლად ეზადებიან. მისი სახელია... არა, ჯერ

ამის სათქმელად ისევე არა ვარ მზად, როგორც ჩემი მარცხენა ფეხის ხორცმეტის უცხოებისთვის საჩვენებლად. მგონი, სიყვარული ინყება ხმებს შორის განსხვავების გარჩევის უნარით და, როდესაც ის ინყება, შეგიძლია, თვალდახუჭულმა იარო ქუჩებში. ისე, რომ არ ჩაეჭიდო მის პატარა გათოშილ ხელს.

– დარწმუნებული ვარ, ყველაფერი არ გითქვამს ჩემთვის, – მეუბნებოდა ის.

– დამიჯერე, მეტი არაფერია, – ვარწმუნებდი.

– მეგობარი გოგონა?

– არა.

– შეუძლებელია, – მითხრა მან, – შენ ხომ არც შეუხედავი ხარ და არც... მდგომარეობითაც არა გიშავს.

– მორცხვი ვიყავი.

– ეგ კი. მაგრამ როდესაც არაყს სვამ, როგორც იმ ღამით, მაშინ რაღა გემართება?

იმ ღამეზე ამბობდა. მივსეირნობდით. ქუჩის ცენტრში პატარა სკვერი იყო გაშენებული. იქნებ ზედმეტად გრილოდა, ან ბევრი ფოთოლი ეყარა ჩემს ფეხქვეშ და ისეთი სასიამოვნო სევდა ტრიალებდა ჰაერში, როდესაც ადამიანს არ შეუძლია, უბრალოდ, ვერ შეძლებს არ თქვას, რომ ახლა ყველა განათებული ან, გინდაც, ყველა დახურული ფანჯარა უყვარს.

– მითხარი, რომ გიყვარვარ.

– მაინცდამაინც უნდა გითხრა, ისე ვერ ხედავ?

რატომ ხდება, რომ, სანამ ადამიანი არ იტყვის, ისე არ სჯერათ მისი. აი, იმ გამხდარი ბიჭივით, ფეხი რომ მოიტეხა. ვუთხარი, შეხედე-მეთქი.

მითხრა:

– ეს ხომ არაფერია.

ორი თითი ქვევიდან მოვკიდე და ამოვნიე. დარწმუნებული ვარ, დაინახა და მაინც მკითხა:

— მერე?

ვუთხარი:

— ვერ ხედავ, ექვსთითა ვარ?

ის უკვე აღარ იყო უცხო, მაგრამ თქმის მაინც მეშინოდა. რომ მეთქვა, ვაითუ, ყველაფერი დასრულებულიყო. ალბათ, ამიტომაც მითხრა, შენ შესახებ ყველაფერი არ გითქვამსო.

მართალს ამბობდა, საქმე მარტო ამ ჩემი ფეხის თითში არ იყო. ყველგან და ყოველთვის არსებობს ისეთი რამ, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს. მაგალითად, ახლა ღამე რომ არ იყოს, ამ ხეებს უკან აუცილებლად რამეს დავინახავდით. ჩემს ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდებს უკანაც არის რაღაც, სამზარეულოს დაკეტილ კარადაში კი არ არის? იქნებ სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ვერ ვეუბნები ამქვეყნად ყველაზე კარგ გოგონას, რომ მიყვარს.

ახლა, გინდაც მარჯვენა ყურის ბიბილოს ქვეშ შავი ხალი ჰქონდეს, არ აქვს მიშვნელობა.

— რატომ არ დარეკე? — მკითხა.

— საქმე მქონდა.

— რა საქმე? შენ ერთთავად იმ შენს ბინაში გარბიხარ... არ ვიცი, მაგას თუ ეძახი საქმეს?! მარტოობის მაინც არ გეშინია?

არა, მთლად ასეც არ იყო საქმე, არაყს დავლევდი თუ არა, მაშინვე მივდიოდი ხოლმე. არა, ის კი არ იფიქროთ, რომ მხოლოდ მთვრალს შემეძლო წასვლა და იმ ბნელი კუთხეების მოჩხრეკა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ იქ მართლაც ისეთი არაფერი იყო, ერთი უმნიშვნელო რამის გარდა, როგორიცაა, მაგალითად, ერთი პატარა კენჭი, სადღაც კუთხეში მიგდებული რომ მოჩანს ქუჩის ლამპიონების შუქზე.

მე მხოლოდ ვუყურებ და, რაც

მსურს, იმას წარმოვიდგენ ხოლმე. ბოლოს ვფიქრობ, რომ ყველა საგანს რაღაც აკლია ან ზედმეტი აქვს და ეს რაღაც თავად ამ საგანზე უფრო მნიშვნელოვანიც კია, მასზე მეტად საინტერესო და, თუ ის გამორჩება და ყველა შეძლებს მის დანახვას, მასზე უკვე ველარ იტყვიან, რომ ის ზედმეტია. როდესაც ის ამ საგნის აგებულების ნაწილიც ხდება, კაშკაშა სინათლეზე უკვე სრულიად შიშველი ჩანს. როგორც ოთახი, რომელსაც მხოლოდ ჭერი და ოთხი კედელი აქვს და სხვა არაფერი – არც თაროები, არც ნიშა – ანუ მარტოსულია, ყველაზე საცოდავი იმ ოთახთაგან, რომლებიც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. მორწმუნე რომ ვყოფილყავი, დიდგვაროვანთა მსგავსად, ჩემთვის უსათუოდ მოვაწყობდი ერთ პატარა სამლოცველოს მოჩუქურთმებული კარით, მოჩითული ფარდით, პატარა გუმბათითა და მობათქაშებული მიჰრაბით¹.

რა თქმა უნდა, მას ბრალს ვერავინ დასდებდა. განა ჩვენ ყველანი ასეთები არ ვართ? როდესაც ჩვენთვის რაიმე საიდუმლო გაცხადდება, ამით მთავრდება ყველაფერი და, სიყვარული რომ დარჩეს კიდეც, ის უკვე მხოლოდ სიბრალულის გამოღა რჩება. ამქვეყნად ყველა ქალზე მეტად მაინც იმ მეძავისთვის მინდოდა ამის გამხელა, შავი ნეილონის წინდა მარცხენა ფეხის კოჭამდე რომ ჰქონდა ჩანეული, ხოლო მასში (გოგონაზე ვამბობ) იყო რაღაც მოუხელთებელი საიდუმლო. ამიტომაც შევთავაზე, რომ ცოლად გამომყოლოდა. მეუბნებოდა: ნუ იჩქარებ, უკეთ უნდა გავიცნოთ ერთმანეთიო.

დიახ, როდესაც დავფიქრდებოდი, ვხვდებოდი, რომ მის შესახებ ვერ მო-

¹ მიჰრაბი – სალოცავი ნიშა მეჩეთში, რომელიც ქაბას მიმართულებას უჩვენებს, საითაც უნდა იყურებოდეს მლოცველი ლოცვისას.

ვუყვებოდი. არ მინდოდა მომეტყუებინა, ან რაიმე დამემალა მისთვის, მაგრამ არის ისეთი რაღაცებიც, რაც მხოლოდ ცალკეული ადამიანის კუთვნილებაა, რაც მხოლოდ მას ეხება, ანუ ძალიან პირადულია. ახლა დავუშვათ, რომ მსოფლიოში ყველაზე კარგი და ლამაზი გოგონა შენ გვერდით იჯდეს და შენ შეგებლოს, მისი თმის რამდენიმე ლერი თითზე დაიხვიო, ანდა ქათქათა თეთრი ნაზი მკლავები დაუკოცნო. ვინმეს შეუძლია კი, დაიფიცოს, რომ ერთი წამიც არ აღმოჩნდება ისეთი, რომ აღარ ეცოდინება, საკუთარი ხელები სად წაიღოს? და რადგანაც წელიწადში ოთხი დროა და უსათუოდ შემოდგომაზე ცვივა ფოთოლი; და ზოგჯერ ისე გცივა და ზეცაც ისეა მოქუფრული, რომ... მაშინ ხვდები, რომ საკმარისია, ადამიანმა ხელი გაინოდოს – უკუნი სიბნელეც რომ იყოს – და თავისი მარცხენა ან მარჯვენა ხელის ცერა და საჩერებელი თითების შეხებით იგრძნოს, რომ ის ნამდვილად იქ არის, მხოლოდ ამ ადამიანს ეკუთვნის და მის შესახებ სხვამ არავინ არაფერი იცის. და თუ რაიმე სისულელეს არ ჩაიდენს, ეს მხოლოდ მის საიდუმლოდ დარჩება. ამიტომაც, როდესაც ვინმე ამბობს: „მე მარტოსული ვარ”, ან „გულზე სევდა შემომაწვა”, მაშინვე იმ ოთახს წარმოვიდგენ ხოლმე, რომელსაც მხოლოდ ოთხი კედელი და ერთი ჭერი აქვს.

რაღას იზამ? ის რომ არ ყოფილიყო, ასე ერთიანად ციცქნა და წითელი, იმ გოგონას შუბლზე ჩამოშლილ თმებს აუცილებლად ხელით გავეთამაშებოდი. ის არ ამბობდა, რომ მარტოსული იყო, ან... ხომ ვთქვი, რომ ცოლობა შევთავაზე.

მიპასუხა, რომ სიჩქარე არ ივარგებდა.

დილით ჩემზე ადრე გაღვიძებოდა. ძირს იჯდა, საწოლთან, და ჩემს ფეხს უყურებდა. მგონი, მისი ორი ცივი თითის შეხებამ გამაღვიძა.

ვკითხე:

– რა ხდება?

მკითხა:

– რა?

მარცხენა ფეხის თითები შევატყუპე, ისეთნაირად, რომ ვერ მიმხვდარიყო, ახლახან რა დაინახა. არც კი მიცდია, ფეხი მომეხარა, ან თუნდაც მესარგებლა ლეიბის სირბილეში წარმოქმნილი ნაოჭით და დამემალა... ის მაინც ჩანდა და ამიტომ აზრი აღარ ჰქონდა – ამით ყველაფერი დამთავრდა, მე მისთვის აღარ ვარსებობდი. გამახსენდა, რომ მის ამ გამოხედვას შემდგომ ყოველდამ ვხედავდი სიზმრად. გამაურულა და მივხვდი, რომ მიყვარდა.

ვერ ხვდებოდა, ანდა, უბრალოდ, არ უნდოდა, მიმხვდარიყო. სხვადასხვა ლექსიკონში ადამიანის სხეულის ნაწილების დასახელებების (თავი, კისერი, მკერდი და ფეხი. ორი ფეხი. და მარცხენა ფეხზე ხუთი თითი) გვერდით დაბეჭდილია „მისი” ფოტოებიც.

– შეხედე, საყვარელო, შეგიძლია, მითხრა, რატომ მოგწონს ღრუბელი? – ვკითხე.

– ხო, იმიტომ, რომ ლამაზია და მუდმივად იცვლის ფორმას, – მიპასუხა მან.

– ზუსტად ვერ განსაზღვრე.

ერთი სული მქონდა, მეთქვა: „იმიტომ, რომ ექვსი თითი აქვს”.

– აბა, რატომ გაჩუმდი?

– იმიტომ, რომ ერთი ისეთი ზედმეტი რამ აქვს, რაზეც ახლა რამდენიც არ უნდა იფიქრო, ის უკვე გამქრალია და ხვდები, რომ ან საერთოდ არ არსებობს, ანდა ეს-ესაა იცვალა სახე.

– მეც ეგ არ გითხარი?

– კი, მაგრამ ხომ აგიხსენი, ზუსტი არაა-მეთქი. აი, უყურე, მაგალითად, იმ პირველ ლამეს მე რომ შენ შესახებ ყველაფერი გამეგო, ჩემთვის აღარ იქნებოდი საინტერესო.

– ანუ ეს, ეს სწორედ ის...

და მასზე ისეთი დაცინვით დაიწყო ლაპარაკი, თავად ვერც კი ხვდებოდა. მე კი ვფიქრობ, ის ყველაფერშია – ნახატებშიც, ნაწარმოებებშიც. ადამიანებს, მათ ნაწილს მაინც, ეს კანქვეშ აქვთ. უნდა ჰქონდეთ კიდეც.

დავშორდით. ეშინოდა. იქნებ ჰქონდა კიდეც ამის უფლება. მითხრა:

– მერე, ჩვენი შვილები? აუცილებლად ოპერაცია უნდა გაიკეთო. რა ძნელი ეგაა!

შვილები კი, მაგრამ მე? მე რაღა ვქნა? როგორი იქნება ამის შემდეგ ჩემთვის ყოველი მზის ჩასვლა, როდესაც წყვდიადი მოიცავს ხოლმე არა მთლიანად დედამიწას, არამედ ადამიანთა ხედვის ჰორიზონტს? დღის სინათლეზე

ყველაფერი ის არის, რაც არის – სხვა რაღაცებისგან ცალკე მყოფი, მაგრამ, როდესაც სიბნელეა, ან კიდევ ჩრდილი, მაშინ საგანი თვითონ საგანი არ არის. კონტურები იშლება და ყველაფერი ერთ მთლიანობად მოჩანს.

თავისი საჩვენებელი და ცერა თითო დაიჭირა, სწორედ ისე, როგორც მკვდარ თაგვს იჭერენ ხოლმე კუდით, რომ შორს მოისროლონ.

ახლა მე ბედნიერი ვარ და ერთადერთი რამ, რაც მანუხებს, ისაა, რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცის. მხოლოდ ერთმა იცის, რომ ერთი ზედმეტი თითი მაქვს და მხოლოდ იმ ერთს ვყავარ ნანახი სრულიად შიშველი. ეს კი ძალიან სამწუხაროა.

სპარსულიდან თარგმნა
ნინო თუშიშვილმა

ჰუშანგ მორადი-ქერმანი (დაიბ. 1944 წ.)

საბავშვო და საყმანვილო უანრის გამოჩენილი ირანელი პროზაიკოსი ჰუშანგ მორადი-ქერმანი დაიბადა ქერმანის პროვინციის სოფელ სირჩში. მისი წიგნები: „მაჯიდის ამბები“, „ბრონეულის ღიმილი“, „ქვევრი“, „ტკბილი მურაბა“, „თქვენ ხომ უცხო არ ხართ“ და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ირანში. ჰ.მორადი-ქერმანის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. იგი არის სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის ნამდვილი წევრი. მისი რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმები. მწერალს მიღებული აქვს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდო. მათ შორის აღსანიშნავია ჰანს ქრისტიან ანდერსენის პრემია (ბერლინი, 1992წ.). გთავაზობთ დაჯილდოების ცერემონიალზე ჰუშანგ მორადი-ქერმანის მიერ ნაწარმოთქმული სიტყვის თარგმანს.

გულების სარჩე

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო,

გრძელ, მკაცრ ზამთარში, როდე-საც თოვლი ქალაქის გზას კეტავდა, ჩვენი სახლი სნეული ბავშვების ამბულატორიას ემსგავსებოდა. დიდედაჩემი სოფლის ექიმბაში გახლდათ. ავად-მყოფს მთის ბალახების უგემურ ნაყენს ასმევდა, მყრალი ზეთებით შუბლსა და სხეულს უზელდა და საბოლოოდ ფეხზე აყენებდა. მაშინ რვა წლის ვიყავი და ბებოს ვეხმარებოდი.

შეშინებული ავადმყოფების თვალ-წინ დიდედა მკურნალობის ყველა ხერხსა და მანიპულაციას თავდაპირველად ჩემს სხეულზე ცდიდა, რათა ბავშვები გამხნევებულიყვნენ და ექიმის ნებას დაჰყოლოდნენ. ზოგჯერ – ვიდრე წამალი მოქმედებას დაიწყებდა – ჩემი შეთხული ან სოფლელი ქალებისაგან მოსმენილი ზღაპრებითა და ლექსებით ბავშვების შექცევა მიხდებოდა. და თუ ზრდასრულ ასაკში ჯანმრთელობის სამინისტროს თანამშრომელი გავხდი, სწორედ ამ გამოცდილების დამსახურება. ჰატარებისა და მოზარდებისთვის

მოთხრობების წერაც იქიდან დაიწყო. იმთავითვე მიტაცებდა ზღაპრები, ხალხური ლექსები, სოფლელთა ადათ-წესები. საკუთარ ტყავზე მაქვს გამოცდილი ბავშვური ცხოვრების ტანჯვა და სიმწარე – ყოველთვის ეს არის ჩემი მოთხრობების მთავარი წყარო. ამბავთა შორის, იმ დროიდან მოყოლებული ჩემს გულში რომ დაიდეს ბინა და არასოდეს მავიწყდებიან, ერთი ობოლი, უპატრონო გოგონას არაკიც არის, რომლის მთელი ავლა-დიდება დედის სახსოვარი ერთა-დერთი სარკე იყო. გოგონა ცხვრებს მწყემსავდა, წველიდა, წყაროდან წყალს ეზიდებოდა და პურს აცხობდა. ბავშვებთან სალაპარაკოდ და სათამაშოდ ვერ იცლიდა. ძალიან მგრძნობიარე და მეოცნებე იყო. რასაც ხედავდა, კველაფერზე არაკე თხზავდა – ადამიანებზე, მთებზე, ვარკვლავებსა და წყაროებზე, ძროხებსა და ცხვრებზე... მაგრამ არავის უყვებოდა. ვიდრე ერთმა მოხეტიალე ბოშა ქალმა არ დაინახა გოგონას გაფანტული მზერა, გამხდარი, ფერდაკარგული სახე და მიხვდა, რომ მის გულსა და გონებაში მრავალი არა-

კი, ლექსი და სათქმელი იმაღლებოდა. ეს ყველაფერი დღითი დღე ისე მატულობდა, რომ გოგონას გამოფიტული სხეული ვეღარ შეძლებდა მათ ზიდვას და, ერთ დღესაც, ლექსები და არაკები მას ბოლოს მოუღებდნენ. ბოშა ქალმა დარიგა: „პურის გამოსაცხობად ცომს რომ მოგცემენ, იმით კაცუნა გამოძერწე, შენი არაკები და ლექსები მას მოუყევი და თავად შვებას იგრძნობ“. გოგონა ასეც მოიქცა. ყოველდღიურად პურს იკლებდა და კაცუნას ძერწავდა. დედისეული სარკე დაამსხვრია და მის ნატეხებს კაცუნებს მკერდში უდებდა. ძილის წინ მათ ლექსებსა და არაკებს უამბობდა და სარკის თითოეულ ნატეხში დედას ხედავდა. როცა გოგონას ჩაეძინებოდა, ამბებით სავსე კაცუნები გარეთ გადიოდნენ და სოფლის შარაგზებით სხვა სოფლებისა და ქალაქებისკენ მიემართებოდნენ. გოგონას უფრო მეტი არაკის მოსათხობად სულ უფრო დიდი კაცუნების კეთება უხდებოდა, პური კი დღითი დღე ილეოდა. საკუთარ სხეულს აკლებდა, სამაგიეროდ ყოველი არაკის მოყოლის შემდეგ სული უფრო უმსუბუქდებოდა და მშვიდდებოდა. არაკის ბოლოს კაცუნებს ერთ სოფლურ ლექსაც აყოლებდა საგზლად:

ჩემგან მოძღვნილი ყვავილის
შეიგრძენ ნაზი სურნელი.
ნაწნავთა შორის ჩაინან.
სადაც იყო და ვერ მნახო,

არ მოიწყინო, ნუ მეღლი.
იქვე ჩამოჯექ, ამ ყვავილს
უთხარ აქამდე უთქმელი.

არ ვიცი, როგორ დასრულდა გოგონას ამბავი. მისთანა გოგო-ბიჭები ყველგან და ყოველთვის არიან, კაცუნები კი მათ ამბებს აქეთ-იქეთ დაატარებენ.

ჩემი კაცუნები ჩემი სოფლიდან მოდიან. ირანის სოფლები და ქალაქები მოუვლიათ, პატარებთან და დიდებთან უსაუბრიათ – მათთან, ვისაც ბავშვური სული აქვს. დღეს უკვე ქვეყნების საზღვრებიც გადაულახავთ და ქრისტიან ანდერსენის საერთაშორისო პრემიის ჟიურისთან მოსულან. ჟიურის წევრებს ჩემი კაცუნების გულების სარკეში მსოფლიოს ბევრი სოფლის, განსაკუთრებით – აზიის ქვეყნების სოფლელი ბავშვების სახეები დაუნახავთ და მათი სათქმელი და ამბები გულთან ახლოს მიუტანიათ.

მე – როგორც ირანელი მწერალი, მადლობელი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი კაცუნები – უკაცრავად – ჩემი სადა მოთხოვები მოგწონებიათ.

ჩემი ქვეყნისა და მსოფლიოს ყველა სოფლიდან უამრავი კაცუნა მოაბიჯებს გზაზე და გეზი თქვენკენ უჭირავს.

მეგობრებო, გაშალეთ მკლავები მეზღაპრე კაცუნების გულში ჩასაკრავად!

სპარსულიდან თარგმნა
ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| აზერბაიჯანული ლიტერატურა | |
| ელჩინ ეფენდიევი, წითელი ბელი. თარგმანი ოქტაი ქაზუმოვისა..... | 6 |
| | |
| არაბული ლიტერატურა | |
| ხატიბ ბადლა, ნოველები. თარგმანი იზოლდა გრძელიძისა | 14 |
| მიხაელ ნუაიმე, გუგულის საათი. თარგმანი ნინო სურმავასი..... | 19 |
| | |
| თურქული ლიტერატურა | |
| აბდულჰაკ ჰამიდი, საფლავი. თარგმანი ასმათ ჯაფარიძისა..... | 35 |
| რეშათ ნური გუნთექინი, სასიყვარულო ბარათები. თარგმანი მერი წიკლაურისა | 39 |
| ომერ სეიფედინი, აპენდიციტი. თარგმანი ნინო გორგაძისა | 41 |
| თურქი პოეტები ჰატიარებს, შვილებსა და შვილთაშვილებს. თარგმანი ქეთევან ტომარაძისა | 43 |
| | |
| სომხური ლიტერატურა | |
| კულმოჭრილი მელია, ხალხური ზღაპარი. თარგმანი ვერონიკა ხითარიანისა.... | 57 |
| | |
| სპარსული ლიტერატურა | |
| მას'უდ სა'ად სალმანი, ლექსები. თარგმანი მაგალი თოდუასი | 60 |
| მუ'ეზი, რასაც იესო იქმოდა. თარგმანი მისივე..... | 63 |
| სანაი, სიცოცხლის ტყვე ვარ. თარგმანი მისივე | 64 |
| საყანი შირვანელი, ლექსები. თარგმანი მისივე..... | 65 |
| ნიზამი განჯელი, არ მომკა ღვარძლი. თარგმანი მისივე..... | 67 |
| ათთარი, ლექსები. თარგმანი მისივე | 69 |
| აჰმად შამლუ, საფლავის ქვა. თარგმანი ნინო თუშიშვილისა | 70 |
| მეჰდი ახავან სალესი, შეხვედრის წამი. თარგმანი მისივე..... | 71 |
| ფორუყ ფაროხზადი, ლექსები. თარგმანი მისივე | 72 |
| ჰუშანგ გოლშირი, ჩემი ჰატიარა სამლოცველო. თარგმანი მისივე | 80 |
| ჰუშანგ მორადი-ქერმანი, გულების სარკე. თარგმანი ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა..... | 88 |

ყდაზე: აზერბაიჯანული ხალიჩა, ყარაბაღული სკოლა. აზერბაიჯანის ხალიჩისა
და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



9 772346 641005